# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

# MINISTRY OF AGRICULTURE OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის პროგრამის „აგროსექტორის მდგრადი განვითარების“ ქვეპროგრამის ,,აგროსექტორის განვითარების საჭიროებათა კვლევები და სტრატეგიის” ფარგლებში „მეოცე საუკუნეში აჭარის რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პოტენციალის კვლევა“

შპს „იბერჯეს კონსალტინგი“
www.iberges.ge

6010 ბათუმი
აკ. მ. კომახიძის ქ. N 119
+995 (0422) 24 78 41
adjara.gov.ge

6010 Batumi, Georgia
Ac. M. komakhidze Str. No119
+995 (0422) 24 78 41
adjara.gov.ge

კვლევა მოამზადა

შპს „იბერჯეს კონსალტინგმა“

www.iberges.ge

# სარჩევი

1. მეოცე საუკუნეში აჭარის რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მათი ანალიზი: ..... 3

1.1. ჩაი ..... 5

1.2. თამბაქო ..... 18

1.3. ტუნგი ..... 26

1.4. დაფნა ..... 33

1.5. ბამბუკი ..... 42

1.6. აბრეშუმის პარკი ..... 47

1.7. სამკურნალო მცენარეები ..... 60

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პოტენციალის ანალიზი: ..... 74

2.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კლასიფიკაცია: ..... 74

2.1.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც საქართველოში და მათ შორის გამოკვეთილად აჭარაში კვლავ იწარმოება: ..... 75

2.1.1.1. ჩაი ..... 75

2.1.1.2. თამბაქო ..... 81

2.1.1.3. დაფნა ..... 86

2.1.2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც საქართველოში და მათ შორის გამოკვეთილად აჭარაში აღარ იწარმოება: ..... 95

2.1.2.1. ტუნგი ..... 95

2.1.2.2. ბამბუკი ..... 103

2.1.2.3. აბრეშუმის პარკი ..... 113

2.1.2.4. სამკურნალო მცენარეები ..... 128

3. დავიწყებული ქართული პროდუქტების რებრენდინგისა და კვლავწარმოების პერსპექტივა: ..... 134

3.1. წარსულში ცნობადი ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რებრენდინგი, კვლავწარმოება და მათთან დაკავშირებული ინვესტირების გეგმის შედგენა. ..... 134

3.1.1. ტუნგი ..... 134

3.1.2. ბამბუკი ..... 136

3.1.3. აბრეშუმის პარკი ..... 138

3.1.4. სამკურნალო მცენარეები ..... 140

3.2. ანალიზი, დასკვნები, რეკომენდაციები. ..... 151

## 1. მეოცე საუკუნეში აჭარის რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მათი ანალიზი:

სუბტროპიკული მეურნეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. რესპუბლიკის ეკონომიკაში, დიდი და მრავალმხრივია სუბტროპიკული კულტურების წარმოების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. იგი გვაძლევს კვებისათვის აუცილებელ ძვირფას და სასარგებლო პროდუქტებს, ხოლო მრეწველობის რიგი წამყვანი დარგისათვის ნედლეულს. ეს სექტორი ოდითგანვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მოსახლეობისა და ქვეყნის შემოსავლებს, რადგან მოყვანილი პროდუქციის მოცულობის საკმაოდ დიდი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებას ატარებდა.

სუბტროპიკული კულტურები საქართველოში ფართოდაა გავრცელებული როგორც შავი ზღვის სანაპიროს ტენიან ისე აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ სუბტროპიკულ ზონაში (ლაგოდეხის რაიონი).

სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აჭარის ეკონომიკაში, თუმცა მისი წილი რეგიონის მთლიან შიდა პროდუქტში, დასაქმებასა და უცხოურ სავალუტო შემოსავლებში საკმაოდ მოკრძალებულია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია სულ 290 ათასი ჰექტარია, საქართველოს ტერიტორიის 4.1 %-ი. აქედან 80% მთას უკავია, 15% მთისწინეთს და დაბლობი მხოლოდ 5%-ია (14.5 ათასი ჰა).

აჭარის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, მათ შორის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები ჩაი, ციტრუსები, ხილი და ბოსტნეულია. ციტრუსები პირველ ადგილზეა საექსპორტო კულტურებს შორის. აჭარაში ასევე აშენებდნენ სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურებს: ტუნგს, დაფნას, ბამბუკს, ევკალიპტს. შექმნილი იყო ტუნგის სპეციალური საბჭოთა მეურნეობა. 1979 წელს ტუნგის პლანტაციის ფართობი შეადგენდა 1,517 ჰა-ს, დაფნის - 360 ჰა-ს, ბამბუკის - 172 ჰა-ს.

მემინდვრეობაში აჭარაში მთავარ ტექნიკურ კულტურას წარმოადგენდა თამბაქო. ხარისხიანი თამბაქოს მოყვანით აჭარა საქართველოში მეორე ადგილზე იყო (აფხაზეთის შემდეგ). თამბაქოს, 1980 წლის მონაცემებით, ეჭირა 1.7 ათასი ჰა. ძირითადად გავრცელებული იყო 2 ჯიში „სამსუნი“ და „ტრაპიზონი“. თამბაქო მთიანი აჭარის კოლმეურნეობების ძირითადი შემოსვლის წყარო იყო. (წყარო. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ. გვ. 330)

ნაშრომში განხილულია აჭარის რეგიონში მეოცე საუკუნეში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ჩაი, თამბაქო, ტუნგი, დაფნა, ბამბუკი, აბრეშუმის პარკი და სამკურნალო მცენარეები (თირკმლის ჩაი, ალოე, ევკალიპტი, ხარისშუბლა, კალანჰოე და პასიფლორა), რომელთა რეალიზაცია ხდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ;

აღნიშნული სუბტროპიკული კულტურები თავიანთი ძირითადი დანიშნულების, სამეურნეო გამოყენების და მათგან მიღებული და მოხმარებული პროდუქციის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება იქნას დაჯგუფებული:

- ტექნიკურ-საკვებ-სურნელოვანი – ჩაი და დაფნა;
- ცხიმზეთოვანი – ტუნგის ხე;
- ეთერზეთოვანი – დაფნა და ევკალიპტი;
- მერქნოვან-ტექნიკური - ბამბუკი და ევკალიპტი;
- სამკურნალო მცენარეები – თირკმლის ჩაი, ალოე, ევკალიპტი, ხარისშუბლა, კალანჰოე და პასიფლორა.

1980 წლისათვის აჭარაში იყო 69 კოლმეურნეობა და 18 საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც აწარმოებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ კულტურებს. ძვირფასი მრავალწლოვანი კულტურების ფართობის მიხედვით აჭარას საქართველოში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს (დამუშავებული მიწის 60%). იგი სპეციალიზებულია სუბტროპიკულ კულტურებზე. ყველაზე მეტად განვითარდა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა და მევენახეობა.

## 1.1.ჩაი

მეჩაიეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. ეს სექტორი ოდითგანვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და მთლიანად ქვეყნის შემოსავლებს, რადგან მოყვანილი ჩაის მოცულობის საკმაოდ დიდი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებას ატარებდა.

ჩაის კულტურა აჭარაში XIX საუკუნის ბოლოს გავრცელდა. საქართველოსა და მთელი რუსეთის იმპერიაში სამრეწველო ჩაის საპლანტაციო მეურნეობის განვითარება პირველად აჭარაში დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში 1,000 ჰა-მდე ჩაის პლანტაცია იყო. აქედან 924 ჰა აჭარაზე მოდიოდა. მეჩაიეობის დარგის მძლავრი განვითარება საბჭოთა პერიოდს უკავშირდება.

1921 წლის მონაცემებით საქართველოში ჩაის პლანტაციების ფართობი შეადგენდა 1,017 ჰა. ფოთლის საერთო მოსავალი 380 ტონა, ხოლო მზა პროდუქცია 88.7 ტონა შეადგინა. (ჩხაიძე გენო-სუბტროპიკული კულტურები. წიგნი 1, გვ.80-83, თბილისი-1994).

აჭარაში 1980 წლის მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით ჩაის კულტურის ფართობი 8.1 ათას ჰა-ს შეადგენდა (საქართველოს ჩაის ფართობების 11.4 %) 1979 წელს აჭარამ სახელმწიფოს მისცა 61.4 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. უმთავრესად გავრცელებულია ჩინური და ინდოჩინური ჩაის ჯიშები, ხოლო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ინერგებოდა ქართული ჩაის ახალი ჯიშები ქართული-1, ქართული-2, მსხვილფოთლიანი, კლონი 257, კოლხიდა და სხვა.

1970–დან 1990–წლამდე ჩაის პლანტაციები ინტენსიურ ექსპლუატაციას განიცდიდა, ხოლო 1990 წლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ მეჩაიეობის სრული დეგრადაცია გამოიწვია, რაც მკვეთრად აისახა რეგიონში მეჩაიეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებზე.

დამოუკიდებელობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ნელი ტემპით მიმდინარე საბაზრო ურთიერთობებმა, დარგში შესაბამისი საკანონდებლო ბაზის უქონლობამ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში არსებულმა ქაოსმა განაპირობა ის, რომ 1990 წლიდან ქვეყანაში არსებული ჩაის წარმოება მკვეთრად შემცირდა.

საქართველოში მეოცე საუკუნის ბოლოს ჩაის წარმოებით დაკავებული იყო 26 ადმინისტრაციული რაიონი. 1990 წლის მონაცემებით რესპუბლიკაში არსებულ 50.7 ათას ჰა სრულმოსავლიან პლანტაციაში მოიკრიფა 516,000 ტონა ფოთოლი. მიღებული მოსავლიდან დამზადდა 104,700 ტ. შავი და 24,000 ტონა მწვანე ბაიხის ჩაი, გარდა ამისა

გამოშვებული იქნა აგურა, ხსნადი და გრანულირებული ჩაი, მატონიზებელი სასმელები.

| ცხრილი # 1 ჩაის წარმოება საქართველოში (1940-2000 წ) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წლები | ჩაის მთლიანი ფართობი (ათასი ჰა) | მათ შორის მოსავლიანი (ათასი ჰა) | ჩაის მთლიანი მოსავალი (ათასი ტონა) | მოსავლიანობა ჰა-ზე ტონა | ჩამოწერილი ფართობების რაოდენობა (ჰა) |
| 1940 | 49.6 | - | 51.3 | 2.29 | 24.9 |
| 1945 | 51.5 | 40.2 | 20.3 | 0.5 | - |
| 1950 | 48.6 | 40.2 | 83.7 | 2.08 | 3,081 |
| 1955 | 66.1 | 43.1 | 117.4 | 2.72 | 2,103 |
| 1960 | 55.6 | 49.1 | 156.8 | 3.19 | 2,182 |
| 1965 | 62.6 | 50.6 | 186.1 | 3.66 | 1,686 |
| 1970 | 64.8 | 54.5 | 258.9 | 4.85 | 1,170 |
| 1975 | 65.8 | 55.1 | 334.6 | 6.04 | 836 |
| 1980 | 66.8 | 55.8 | 501.7 | 9.0 | 1,050 |
| 1985 | 65.9 | 54.6 | 581.7 | 10.18 | 68.2 |
| 1990 | 61.0 | 50.7 | 516.0 | 9.02 | - |
| 1995 | 52.5 | 44.3 | 36.8 | 0.84 | - |
| 2000 | 47.3 | 39.4 | 23.0 | 0.49 | - |
| წყარო: ჯაბნიძე რეზო - ჩაი და ციტრუსები, წიგნი, გვ. 34, თბილისი 2004 | | | | | |

1990 წლისათვის ჩაის პლანტაციებს აჭარაში 6,500 ჰექტრამდე ფართობი ეჭირა, ზოგიერთ ფართობზე საჰექტრო მოსავალი 5-6 ტონიდან 10 ტონამდეც კი გაიზარდა, ყოველწლიურად საშუალოდ იკრიფებოდა 67-70 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რომლის გადამუშავების შემდეგ მიიღებოდა 16-18 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქცია, შავი ბაიხის ჩაის, მწვანე ბაიხის და მწვანე აგურა ჩაის სახით. რეგიონში ჩაის დარგს შეუფერხებლად ემსახურებოდა პირველადი გადამუშავების 21 ჩაის ფაბრიკა, ერთი აგურა ჩაისა და ერთი გადამწონი ფაბრიკა, რომელთა მიერ წარმოებულ პროდუქციას ყოველთვის ჰქონდა თავისი გასაღების ბაზრები და უპრობლემოდ რეალიზდებოდა როგორც რესპუბლიკის შიგნით, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის

ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისათვის მეჩაიეობის დარგში დასაქმებული იყო ათეულ ათასობით მუშახელი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაი ძირითადად გაშენებულია ქობულეთის, ბათუმის (ხელვაჩაური შედიოდა ბათუმში) და ქედის რაიონებში.

| ცხრილი # 2 ჩაის კულტურის გავრცელება აჭარის რაიონების მიხედვით (1966წ) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| # | რაიონები/მწარმოებლები | კოლმეურნეობა | | საბჭოთა მეურნეობა | | სულ ფართობი ჰა |
| | | რაოდენობა | ფართობი ჰა | რაოდენობა | ფართობი ჰა | |
| 1 | ბათუმის რაიონი | 25 | 1,902 | 8 | 289 | 2,191 |
| 2 | ქობულეთის რაიონი | 31 | 2,929 | 9 | 1,526 | 4,455 |
| 3 | ქედის რაიონი | 35 | 253 | - | - | 253 |
| 4 | შუახევის რაიონი | - | - | - | - | - |
| 5 | ხულოს რაიონი | - | - | - | - | - |
| **6** | **სულ** | **91** | **5,084** | **17** | **1,815** | **6,899** |
| წყარო: Земелъный фонд Грузинской ССР. по состоянию  на 1 ноября 1966 г | | | | | | |

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1935-1974 წლებში 1.08 ტონიდან გაიზარდა 5.68 ტონამდე. ე.ი 5.2-ჯერ. ქობულეთის რაიონში 6.77ტ. ხელვაჩაურში 5.42ტ. ქედაში 3.6ტ. 1974 წ. წარმოებული ჩაის ფოთლიდან 63% ქობულეთის კოლმეურნეობებზე მოდის, 34.7 % ხელვაჩაურის, ხოლო 2.3% ქედის რაიონზე.

| ცხრილი # 3 ჩაის ფოთლის დამზადების დინამიკა აჭარაში (ტ) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **წლები** | **1935** | **1940** | **1950** | **1960** | **1965** | **1970** | **1974** | **ზრდის კოეფ.** |
| ქობულეთი | 1108.7 | 1458 | 7245 | 11218.8 | 13297 | 15220 | 18632 | 16.8 |
| ხელვაჩაური | 217.1 | 1634.3 | 3237.6 | 5249.2 | 5550.3 | 7995.5 | 10268.7 | 47.3 |
| ქედა | - | 0.03 | 3.5 | 150 | 278 | 610 | 671.8 | - |
| **სულ** | **1325.8** | **3092.33** | **10516.1** | **16518** | **19145,3** | **23825.9** | **29572.2** | **22.3** |
| წყარო: ბეჟანიძე ი.ბ - ჩაის მეურნეობის ადგილი აჭარის ასსრ კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ჟ. სუბტროპიკული კულტურები. 1975წ. #3 | | | | | | | | |

საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე 5.78 ტონას შეადგენდა. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა, კერძოდ ქობულეთის სოფ. დაგვის კოლმეურნეობაში 1965-1974 წლებში 7.96 ტონა შეადგინა. ასევე სოფ. აჭყვას კოლმეურნეობამ 1974 წელს ჰა-ზე საშუალოდ 8.8 ტონა შეადგინა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში იკრიფებოდა 500 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს მეჩაიეობის ქვეყნებს შორის მე-4-5 ადგილს იკავებდა. ფუნქციონირებდა 150 პირველადი გადამუშავების, 22 დამფასოებელი, აგურა და ფილა ჩაის მწარმოებელი ფაბრიკა. დარგს გააჩნდა მძლავრი საწარმოო ინფრასტრუქტურა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. მზა პროდუქციის უდიდესი ნაწილი (100-120 ათასი ტონა) ექსპორტზე (ძირითადად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში) გადიოდა. მეჩაიეობაზე მოდიოდა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 18%-ზე მეტი.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებისთვის ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო მეჩაიეობის დარგმა დაკარგა პროდუქციის გასაღების სტაბილური ბაზარი და ექსტრემალურ პირობებში აღმოჩნდა. ქვეყანას არ გააჩნდა ფინანსური და მატერიალური სახსრები, რათა დარგი ეხსნა სრული კატასტროფისაგან. პერიოდს შესაძლებელია ეწოდოს დარგის დეგრადაციისა და ქაოსის ეტაპი. ამ პერიოდისათვის საქართველოში 104 ჩაის გადამამუშავებელი საწარმო იყო, მათ შორის 21 აჭარაში.

1. ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი. ქობულეთის რ-ნი, სოფ. ოჩხამური;
2. სალიბაურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი. ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. სალიბაური;
3. გონიოს ჩაის ფაბრიკა. ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. გონიო;
4. სალიბაურის ჩაის ფაბრიკა. ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. სალიბაური;
5. ქობულეთის ჩაის ფაბრიკა #2, ქობულეთი;
6. ქობულეთის ჩაის ფაბრიკა #3, ქობულეთი;
7. ჩაქვის ჩაის ფაბრიკა #2, ქობულეთის რ-ნი, დაბა ჩაქვი;
8. ბობოყვთის ჩაის მიკროფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ბობოყვათი;
9. ხუცუბნის ჩაის ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ხუცუბანი;
10. აჭყვის ჩაის ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. აჭყვა;
11. მუხაესტატეს ჩაის ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. მუხაესტატე;
12. ბათუმის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, ბათუმი, ვაჟა ფშაველას 57;
13. ჩაქვის ჩაის საპრესი-საწნეხი ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, დაბა ჩაქვი, საზღვაოს 43;
14. ქაქუთის ჩაის ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ქაქუთი;

15. გვარას მიკრო ჩაის ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. გვარა;
16. ჩაქვის აგროსამრეწველო კომბინატის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, ქობულეთის რ-ნი, დაბა ჩაქვი;
17. ბობოყვათის ჩაის ფაბრიკა, ქობულეთის რ-ნი, სოფ. ბობოყვათი;
18. ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკა, ხელვაჩაურის რ-ნი;
19. ურეხის ჩაის ფაბრიკა, ხელვაჩაურის რ-ნი. სოფ.ურეხი;
20. მახოს მიკრო ჩაის ფაბრიკა, ხელვაჩაურის რ-ნი. სოფ. მახო;
21. ქედის ჩაის ფაბრიკა. ქედის რაიონი;
22. კვირიკეს ჩაის ფაბრიკა. ქობულთის რ-ნი, სოფ. კვირიკე.

წყარო: Справочник фирмы, организации и предприатия, ANAKO Ltd, Тбилиси 1993

**ცხრილი # 4 ჩაის ფოთლის წარმოება მსოფლიოსა და საქართველოში 1994-2001 წლებში (ათასი ტონა)**

| შინაარსი | წლები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
| ჩაის ფოთლის წარმოება მსოფლიოში | 2633,2 | 2618,0 | 2689,3 | 2764,9 | 2990,4 | 3088,6 | 3086,4 | 3081,2 |
| ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში | 60,7 | 38,5 | 34,0 | 33,2 | 47,2 | 60,0 | 24,0 | 23,0 |
| საქართველოს წილი მსოფლიო ჩაი წარმოებაში | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,2 | 1,6 | 2,0 | 0,8 | 1,0 |
| საქართველოს ადგილი მსოფლიო ჩაის წარმოებაში | 8 | 12 | 13 | 13 | 12 | 10 | 4 | 13 |

წყარო: FAOSTAT

| ცხრილი # 5 საქართველოში ჩაის პლანტაციების ფართობების, მოსავლისა და მოსავლიანობის დინამიკა 1980-2000 წლებში | | | |
|---|---|---|---|
| წლები | ჩაის პლანტაცია, ათასი ჰა | მოსავლიანობა ც/ჰა | მოსავალი ათასი ტ |
| 1980 | 66,8 | 90,0 | 501,8 |
| 1985 | 65,9 | 101,0 | 581,7 |
| 1990 | 68,0 | 90,0 | 501,7 |
| 1992 | 68,0 | 41,6 | 212,3 |
| 1994 | 67,7 | 17,6 | 60,7 |
| 1996 | 67,7 | 10,4 | 34,0 |
| 1998 | 59,7 | 17,0 | 47,2 |
| 2000 | - | - | 24,0 |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები | | | |

| ცხრილი # 6 ჩაის ფართობები მუნიციპალიტეტების მიხედვით (2004-2011) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაჩვენებლები | წ ლ ე ბ ი | | | | | | | |
| | **2004** | **2005** | **2006** | **2007** | **2008** | **2009** | **2010** | **2011** |
| **ჩაი ფართობი სულ (მიწის ბალანსით)** | 5616 | 5616 | 5616 | 5616 | 5616 | 5616 | 5616 | 5616 |
| ქობულეთი | 3528 | 3528 | 3528 | 3528 | 3528 | 3528 | 3528 | 3528 |
| ხელვაჩაური | 1969 | 1969 | 1969 | 1969 | 1969 | 1969 | 1969 | 1969 |
| ქედა | 119 | 119 | 119 | 119 | 119 | 119 | 119 | 119 |
| **აქედან, ფოთოლსაკრეფი** | 1713 | 1708 | 1605 | 1100 | 250 | 250 | 328 | 520 |
| ქობულეთი | 1358 | 1358 | 1200 | 1000 | 250 | 250 | 300 | 470 |
| ხელვაჩაური | 350 | 350 | 400 | 100 | | | 28 | 50 |
| ქედა | 5 | | 5 | | | | | |
| წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | | | | | |

**ნედლეულის დღევანდელი სიტუაცია:**

1990 წლისათვის ჩაის პლანტაციებს აჭარაში 6,500 ჰექტრამდე ფართობი ეჭირა, დღეის მდგომარეობით აღნიშნული ფართობების უმეტესობა პრივატიზირებული არის პატარა ზომის ნაკვთებად (საშუალოდ 0,75-1,5 ჰექტარი), რომლებზეც ძირითადად ერთწლიანი კულტურებია გაშენებული, ხოლო 2016 წლის მაჩვენებლებით აჭარაში მხოლოდ 678 ჰექტარზე არის ჩაის კულტურა გავრცელებული.

| ცხრილი # 7 ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში (ათასი ტონა) | | |
|---|---|---|
| წელი | საქართველო | აჭარის არ |
| 2012 | 2,6 | 1,1 |
| 2013 | 3,3 | 1,1 |
| 2014 | 1,8 | 0,2 |
| 2015 | 2,1 | 0,9 |
| 2016 | 3,0 | 0,8 |
| წყარო: საქსტატი (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა) | | |

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად საქართველოში ჩაის კულტურა გაშენებულია 10,031 ჰექტარზე, მათ შორის აჭარის ა/რ-ში 678,41 ჰექტარზე, რაც შეადგენს მთლიანი ფართობის 6,7%. უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლიანობა გაცილებით მაღალია აღნიშნულ რეგიონში და შეადგენს 1,26 ტონას ჰექტარზე და შესაბამისად მთლიანი მოსავლის 30% აღემატება.

| ცხრილი # 8 ოპერატიული ინფორმაცია საქართველოში 2016 წელს ჩაის ფართობის და მოსავლის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | რეგიონი | ჩაი | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 3,608.94 | 865.23 | 0.24 |
| 2 | იმერეთი | 3,205.60 | 137.50 | 0.12 |
| 3 | გურია | 2.538.06 | 950.10 | 0.37 |
| 4 | აჭარის ა/რ | 678.41 | 854.62 | 1.26 |
| **სულ** | | **10.031.01** | **2,807.45** | **0.28** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |




ზემოთაღნიშნული ფართობი და ჩაის მოსავალი აჭარის ა/რ-ში მოდის ორ მუნიციპალიტეტზე, ესენი არიან: ქობულეთი 650 ჰექტარი და 812 ტონა და ხელვაჩაური 28,4 ჰექტარი და 42,6 ტონა.

| ცხრილი # 9 ოპერატიული ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2016 წელს ჩაის ფართობის და მოსავლის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | მუნიციპალიტეტი | ჩაი | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | ქობულეთი | 650.0 | 812.0 | 1.2 |
| 2 | ხელვაჩაური | 28.4 | 42.6 | 1.5 |
| **სულ** | | **678.4** | **854.6** | **1.3** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ.

| ცხრილი # 10 ოპერატიული ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ჩაის ფართობის და მოსავლის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | ტერიტორიული ორგანო | ჩაი | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | დ.ოჩხამური | 520 | 650 | 1.25 |
| 2 | ხუცუბანი | 130 | 162 | 1.24 |
| **ჯამი** | | **650** | **812** | **1.24** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შესახებ.

| ცხრილი # 11 ოპერატიული ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ჩაის ფართობის და მოსავლის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | ტერიტორიული ორგანო | ჩაი | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | მახინჯაური | 0.67 | 1.005 | 1.5 |
| 2 | ზედა ახალშენი და ხეღრუ | 3.5 | 5.25 | 1.5 |
| 3 | მახო, სიმონეთი | 6.35 | 9.525 | 1.5 |
| 4 | აგარა, ზედა თხილნარი, მურმანეთი | 10.74 | 16.11 | 1.5 |
| 5 | თხილნარი, ომბოლო | 1.19 | 1.785 | 1.5 |
| 6 | ჭარნალი | 0.21 | 0.315 | 1.5 |
| 7 | აჭარისწყალი, მაღლაკონი | 1.32 | 1.98 | 1.5 |
| 8 | კირნათი, კობალეთი | 0.25 | 0.375 | 1.5 |
| 9 | მარადიდი, ძაბლავეთი | 4 | 6 | 1.5 |
| 10 | ქედქედი/ სინდიეთი | 0.18 | 0.27 | 1.5 |
| **სულ** | | **28.41** | **42.615** | **1.5** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

**ექსპორტი**

ჩაის რეალიზაცია ხდებოდა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. იწარმოებოდა საკმაოდ ფართო ასორტიმენტი – ზაიხის, აგურა, ხსნადი, მშრალი ჩაი, ჩაის ექსტრაქტი და კონცენტრატი, ჩაის გამაგრილებელი სასმელები. დღეს ქართული ჩაის ძირითადი მომხმარებლები არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები: უზბეკეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, მონღოლეთი, რუსეთი, ბელორუსია და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად შემცირდა ჩაის წარმოება – გაიზარდა მისი სარეალიზაციო გეოგრაფია. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გარდა ქართული ჩაი იყიდება გერმანიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, ამერიკაში, მონღოლეთსა და სხვა ქვეყნებში.

დაუფასოვებელი შავი და მწვანე ჩაი მიეწოდებოდა მოსკოვის, რიაზანის, უფას, ოდესის, სამარყანდის, კომპანია „კოლოსის" ჩაის გადამწონ ფაბრიკებს და შემდგომ ნაწილდებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში. მზა მწვანე აგურა ჩაი, რომლის ექსპორტმა 80-იან წლებში შეადგინა 10,000 ტონა იგზავნებოდა რუსეთში (ყალმუხეთის  და დაღესტნის რესპუბლიკაში) და მონღოლეთში. (წყარო: Справочник фирмы, организации и предприатия, ANAKO Ltd, Тбилиси 1993).

ქართული ჩაის ექსპორტმა პიკს 1984 წელს მიაღწია ამ წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა ექსპორტირებული იყო 26,271 ტონა ჩაი, მათ შორის მონღოლეთში - 5,719 ტონა, პოლონეთში 5,250 ტონა, ინგლისში 5,500 ტონა და ნიდერლანდებში 6,000 ტონა.

1984-91 წლებში ექსპორტი 8,5 - ჯერ შემცირდა. 1991 წელს ექსპორტირებული იქნა 3,000 ტონა მწვანე აგურა ჩაი (მხოლოდ მონღოლეთში).

2001-2003 წლებში, საქართველოს ჩაის ძირითად მომხმარებლად კვლავ რუსეთი  და მონღოლეთი დარჩა. 2003 წლის ექსპორტის მოცულობამ შეადგინა შესაბამისად: რუსეთში  2,373 და მონღოლეთში 1,584 ტონა.

| ცხრილი # 12 ქართული ჩაის ექსპორტი ვმო-ს წევრ ქვეყნებში (%-ში) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნების დასახელება | წლები | | | | | | | |
| | **1994** | **1995** | **1996** | **1997** | **1998** | **1999** | **2000** | **2001** |
| ლატვია | 0.11 | 0.15 | 0,04 | - | 0.21 | 0,04 | 0,12 | 0,34 |
| ლიტვა | | | | 0,03 | 0,05 | | | |
| ესტონეთი | 0,06 | | | | | | | |
| მოლდავეთი | 0,76 | 0,56 | 0,07 | 0,30 | 0,25 | 0,15 | 0,84 | 0,59 |
| ჩეხეთი | | | | | 0,27 | | 0,86 | 1,15 |
| პოლონეთი | 0,61 | 0,07 | 0,11 | 1,18 | 2,43 | 1,35 | 2,69 | 11,82 |
| ბულგარეთი | 0,13 | 0,11 | 0,11 | | 0,20 | | 0,07 | 0,27 |
| უნგრეთი | | | | | 0,08 | | | |
| გერმანია | | | 0,06 | 0,54 | 6,97 | 7,65 | 9,87 | 10,84 |
| დიდი | | | | 0,14 | | 0,64 | 2,49 | 0,20 |
| ნიდერლანდები | | | | 0,48 | 3,85 | | 0,71 | 0,51 |
| ესპანეთი | | | | | | | | |
| შვედეთი | | | | | 0,14 | | | |
| საბერძნეთი | | | | | | 0,50 | | |
| კვიპროსი | | | | | 0,13 | | | |
| ბრაზილია | | | | | | | 0,30 | |
| აშშ | | | | | 1,67 | 5,10 | 7,85 | 11,21 |
| ისრაელი | | | 0,06 | | | | | |
| შრილანკა | | | | | | | | 0,02 |
| მონღოლეთი | | 2,43 | 1.12 | 2,81 | 3,82 | 3,33 | 6,08 | 4,76 |
| თურქეთი | 1,28 | 0,21 | 0,12 | 0,23 | 2,08 | 0,46 | 0,73 | |
| ინდოეთი | | | | | 1,52 | | | |
| ინდონეზია | | | | 0,41 | | | | 1,66 |
| ეგვიპტე | | | | | 0,22 | | | |
| **სულ** | **2,94** | **3,52** | **1,69** | **6,12** | **23,88** | **19,21** | **32,63** | **43,38** |
| წყარო: დობორჯგინიძე ს. - ჩაის წარმოების განვითარების მიმართულებები საქართველოში-დისერტაცია, თბილისი 2008. | | | | | | | | |

| ცხრილი # 13 ჩაის ექსპორტი საქართველოდან 2001-2007 წ.წ. | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | 2001 | | 2003 | | 2005 | | 2007 | |
| | ათასი აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | ტონა |
| აშშ | 642,4 | 1170,5 | 727,9 | 1259,7 | 257,6 | 540,0 | 85,7 | 140,0 |
| აზერბაიჯანი | – | – | 14,1 | 3,5 | – | – | 28,2 | 30,0 |
| ბელარუსი | 40,8 | 79,0 | 66,8 | 141,8 | 19,8 | 29,0 | 49,3 | 32,9 |
| ბულგარეთი | 15,4 | 28,0 | – | – | – | – | – | – |
| ჩეხეთი | 66,1 | 71,9 | 7,5 | 15,0 | – | – | – | – |
| გაერთ. სამეფო | 11,6 | 20,0 | 9,3 | 22,0 | – | – | 3,9 | 0,2 |
| გერმანია | 663,5 | 752,5 | 438,2 | 564,2 | 809,1 | 1187,8 | 170,2 | 184,6 |
| ინდოეთი | – | – | 13,5 | 18,5 | – | – | – | – |
| იტალია | – | – | – | – | 11,9 | 5,5 | – | – |
| კანადა | | | | | | | 151,2 | 180,0 |
| ლიტვა | 19,6 | 31,8 | | | | | | |
| მოლდოვა | 34,0 | 87,0 | 21,6 | 45,0 | 20,3 | 46,2 | – | – |
| მონღოლეთი | 272,7 | 872,8 | 493,9 | 1584,4 | 352,7 | 1 030,0 | 184,6 | 576,4 |
| ნიდერლანდები | 29,4 | 70,0 | 34,2 | 84,0 | | | 5,4 | 10,4 |
| პოლონეთი | 677,6 | 1270,3 | 140,1 | 325,2 | 71,6 | 159,8 | – | – |
| პორტულაგია | 60,7 | 141,3 | | | | | | |
| რუსეთი | 2069,1 | 2635,7 | 1394,2 | 2373,2 | 879,7 | 1702,0 | – | – |
| სერბეთი-მონტ. | | | | | | | 5,8 | 10,0 |
| სომხეთი | 37,3 | 13,2 | 47,3 | 4,3 | 11,7 | 0,1 | 7,2 | 16,0 |
| შრი-ლანკა | 1,1 | 1,0 | | | | | | |
| ტაჯიკეთი | 93,0 | 213,9 | 143,8 | 452,5 | 89,2 | 291,9 | 194,0 | 434,3 |
| თურქეთი | | | | | 17,8 | 20,9 | | |
| თურქმენეთი | 140,5 | 243,6 | 259,4 | 428,4 | 148,4 | 191,6 | 95,4 | 119,2 |
| უკრაინა | 526,9 | 1007,7 | 425,6 | 877,3 | 397,1 | 790,6 | 311,9 | 547,5 |
| უზბეკეთი | 266,9 | 552,7 | 120,0 | 265,0 | – | – | – | – |
| ყაზახეთი | 91,1 | 216,0 | 8,4 | 28,0 | 7,1 | 22,0 | 17,3 | 21,1 |
| **სულ** | **5855** | **9838** | **4365** | **8471** | **3095** | **6018** | **1310** | **2303** |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | | | | | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ პერიოდში საქართველოდან ჩაის ექსპორტი ძირითადად ხდებოდა 25 ქვეყანაში. მათ შორისაა, როგორც ტრადიციული დსთ-ს, ასევე ახალი ქვეყნები, რაც იმედის მომცემი ფაქტორია. ქართული ჩაი შევიდა აშშ-ის, გერმანიის, პოლონეთის ბაზრებზე. მაგალითად, 2003 წელს აშშ-ში ექსპორტირებული იყო 1,259.7 ტონა ჩაი. ამ ქვეყანაში პირველად ქართული ჩაი 1998 წელს გამოჩნდა 169 ტონის ოდენობით, ანუ 2003 წ. ექსპორტირებული იყო 7-ჯერ მეტი, ვიდრე 1998 წელს. ასევე შეიძლება ითქვას გერმანიაზეც, სადაც პირველად 1996 წელს 11.9 ტონა ქართული ჩაი შეიტანეს, 2005 წელს კი ექსპორტის მაჩვენებელმა შეადგინა 1,187.8 ტონა, ე.ი. დაახლოებით 100-ჯერ მეტი.

| ცხრილი # 14 საქართველოში ჩაის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა 1994-2007 წლებში (ათასი ტონა) | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **წლები** | | | | | | | | | | | | | |
| | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 |
| **ექსპორტი** | 11,6 | 8,4 | 16,8 | 15,3 | 10,2 | 14,6 | 9,6 | 9,8 | 8,9 | 8,5 | 7,2 | 6,0 | 3,8 | 2,3 |
| **იმპორტი** | 0,01 | 0,15 | 0,15 | 0,4 | 3,4 | 2,9 | 0,7 | 0,6 | 0,7 | 0,7 | 0,8 | 0,7 | 0,8 | 0,8 |
| **სხვაობა** | 11,59 | 8,25 | 16,7 | 14,9 | 6,8 | 11,7 | 8,9 | 9,2 | 8,2 | 7,8 | 6,4 | 5 | 2,0 | 1,5 |
| **%–ში** | 99,9 | 98,2 | 99,1 | 97,4 | 66,6 | 80,1 | 92,7 | 93,8 | 92,1 | 91,8 | 88,8 | 88,3 | 52,6 | 65,2 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | | | | | | | | | | | |

## 1.2.თამბაქო

თამბაქოს კულტურა საქართველოში XVII საუკუნის მიწურულს გავრცელდა, რასაც ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს გეოგრაფიაში" ბორჩალოს მაზრის აღწერა, რომელშიც მოხსენიებულია თამბაქოს წარმოება. ამასვე ადასტურებს გერმანელი მეცნიერი გულდენშტედტი 1772 წელს ხონის რაიონის აღწერისას. შემდგომში რუსეთმა საქართველო იმ ნედლეულის წარმოების ბაზად გადააქცია, რომელიც სპეციფიკურ კლიმატურ პირობებს მოითხოვდა. მათ შორის იყო თამბაქოც, ამიტომ XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის მთავრობამ შემოიტანა თამბაქოს საუკეთესო ჯიშების თესლი და დაურიგა რიგ ქართველ მემამულეებს ყველა კუთხეში. ასე გავრცელდა თამბაქოს კულტურა ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში. 1883 წლის კანონით კი რუსეთის მთავრობამ დაადგინა საქართველოში თურქული ჯიშების – ტრაპიზონისა და სამსუნის გავრცელება, რომლებიც თავდაპირველად კულტივირებული იქნა დასავლეთ საქართველოში. (წყარო - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბილისი, 1979. გვ. 582-583.)

საქართველოში თამბაქოს კულტურის წარმოებას სახნავი ფართობების მცირე ნაწილი აქვს დათმობილი, მაგრამ მემცენარეობის დარგიდან მიღებულ საერთო შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოში მოყვანილი თამბაქო (განსაკუთრებით აფხაზეთში და აჭარაში) გამოირჩევა საუკეთესო არომატითა და გემური თვისებებით, რაც უმაღლესი ხარისხის თამბაქოს ნაწარმის აუცილებელი კომპონენტია.




წყარო: ა. ჯაფარიძე, ო. დგებუაძე, მეთამბაქოეობა განათლება 1973. გვ.9-10

როგორც ცხრილიდან ჩანს მეთამბაქოეობამ სწრაფი აღორძინება 1925 წლიდან დაიწყო (11.9 ათასი ჰა) და პიკს 1941 წელს მიაღწია (20.8 ათასი ჰა), ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თამბაქოს ფართობები, მთავრობის გადაწყვეტილებით, თანდათან მცირდება 5000 ჰა-ით. მაგრამ ამავე დროს მიღებული იყო გადაწყვეტილება თამბაქოს მოსავლის ამაღლებისათვის სასწრაფო ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

სასათბურე მეურნეობის, სასუქების, ახალი ტექნიკის, უხვმოსავლიანი ჯიშების და თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ თამბაქოს მოსავლიანობამ თვალსაჩინოდ იმატა და შესაძლებელი გახდა ჰექტარზე სამსუნის ჯიშის 25 ცენტნერამდე და ტრაპიზონის ჯიშის 40 ცენტნერამდე მოსავლის გაზრდა.

| ცხრილი # 16 თამბაქოს ნარგავი ფართობი (ათასი ჰა) | | | |
|---|---|---|---|
| **ტერიტორიული ერთეული/წელი** | **1968** | **1969** | **1970** |
| ლაგოდეხი | 2.526 | 2.475 | 2.460 |
| მარნეული | 2.557 | 2.288 | 2.360 |
| ბოლნისი | 0.407 | 0.446 | 0.450 |
| აფხაზეთის ასსრ | 6.240 | 6.280 | 6.500 |
| აჭარის ასსრ | 1.508 | 1.479 | 1.450 |
| სულ | 13.249 | 12.968 | 13.220 |
| წყარო: ა. ჯაფარიძე, ო. დგებუაძე, მეთამბაქოეობა განათლება 1973. გვ.9-10 | | | |

თამბაქოს ნედლეულის წარმოება 1965 წლიდან, 13.2 ათასი ტონიდან, 1980 წლისათვის 18 ათას ტონამდე გაიზარდა. იმ კოლმეურნეობებში რომლებიც სპეციალიზირებულები იყვნენ მხოლოდ თამბაქოს მოყვანაზე, საშუალო მოსავლიანობამ 1975-1977 წლებში შეადგინა 13.2 ც/ჰა-ზე, ხოლო რენტაბელობის დონემ 27%, მაგრამ იმავე რაიონის კოლმეურნეობაში სადაც თამბაქოსთან ერთად მოჰყავდათ ჩაი და ციტრუსი იმავე წელს ფართობის ერთეულზე მიიღეს 4.5 ც/ჰა-ზე, ხოლო რენტაბელობის დონე არ აღემატებოდა 7.6%-ს. (წყარო.-რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ. თბილისი 1982).

მაღალხარისხოვანი თამბაქოს გავრცელებას კლიმატურ-ნიადაგური პირობები უწყობს ხელს. შიდამთიან აჭარაში, შავი ზღვის ზოლში, ზომიერი კონტინენტური ჰავაა, ხოლო ნიადაგი - ზომიერად ტენიანი, ამიტომაც აქ საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოდის, მაგრამ ზღვის სანაპირო ზოლი და მთის ზონა შედარებით ნაკლები ხარისხის ნედლეულს იძლევა, ვიდრე ამ მხარის შუა ზონა. თამბაქო აქ 900 მ სიმაღლემდე გვხვდება. (წყარო-ა. ჯაფარიძე, ო. დგებუაძე, მეთამბაქოეობა განათლება 1973. გვ.13). მისი ძირითადი მწარმოებლები ქედის, ხულოს და შუახევის რაიონები არიან. სწორედ აქაური თამბაქოს მაღალი ხარისხის გამო ააგეს ინგლისელებმა ბათუმში XIX საუკუნის

ბოლოს თამბაქოს ქარხანა, სადაც თამბაქოს ფერმენტაციით დაწყებული, მისი დამზადების ჩათვლით, ყველა პროცესი სრულდებოდა და სიგარეტი გასაყიდად უცხოეთში იგზავნებოდა.

საქართველოში, ინდუსტრიული თამბაქოს მრეწველობა იწყება XIX ს. 50-იანი წლებიდან. 70-80 წლებში დაინერგა თამბაქოს საჭრელი მექანიკური დაზგები, ხოლო 90-იან წლებში – პაპიროსის დასამზადებელი მანქანები. XIX ს. 90-იან წლებში საქართველოში იყო 7 შედარებით მსხვილი ფაბრიკა, 1900-იან წლებში 9. ყველა ეს საწარმო, ნედლეულად უპირატესად უცხოურ (ძირითადად თურქულ) და კავკასიურ თამბაქოს იყენებდა. საქართველოს თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია გადიოდა სამხრეთ კავკასიასა და რუსეთში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება თამბაქოს ნაწარმზე, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში თამბაქოს მრეწველობის გაფართოებას.

ეს პროცესი კიდევ უფრო განვითარდა XX საუკუნის დასაწყისში და 1930 წლისათვის თამბაქოს ფართობმა 19.9 ათას. ჰექტარს მიაღწია, ხოლო პროდუქციის წარმოებამ 10 ათას ტონას. 1932 წლისათვის კი საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგად თამბაქოს ძირითადი ფართობები (36.9%) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილად მოდიოდა. თამბაქოს კულტურის განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შემდეგ. თუ 1950 წელს მისი ფართობი 12.7 ათას ჰექტარს, ხოლო მოსავლიანობა 9.7 ც/ჰა შეადგენდა, 1960 წლისათვის უკვე 14.7 ათას ჰა-ზე მოსავლიანობამ 11.0 ც/ჰა მიაღწია, ხოლო 1985 წლისათვის ისევ შემცირდა 10.74 ათას ჰექტრამდე 19 ც/ჰა მოსავლიანობით. 1990 წელს კიდევ ერთხელ გაიზარდა თამბაქოს ფართობი და შეადგინა 14 ათასი ჰექტარი. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, თამბაქოს ფართობები ყოველწლიურად მცირდება, თუმცა ამის კომპენსაცია ხდებოდა მოსავლიანობის ზრდის ხარჯზე.

მოწინავე კოლმეურნეობებმა 1953 წ 1ჰა-ზე 25-45,6 ცენტნერამდე მოსავალი მიიღეს. გულრიფშის რ-ნის სოფ. ბაღნაშენის კოლმეურნეობა - 19,4 ც/ჰა-ზე, გაგრის რ-ნის გამარჯვების კოლმეურნეობა - 17,6 ც/ჰა-ზე, სოხუმის რ-ნის რუსთაველის კოლმეურნეობა - 17,6 ც/ჰა-ზე, გაგრის რ-ნის სტალინის სახ. კოლმეურნეობა - 20,3-29,5 ც/ჰა-ზე, 1964 წელს ლაგოდეხის რ-ნის კალინინის სახ. კოლმეურნეობა - 25-30 ც/ჰა-ზე. (წყარო- ა. ჯაფარიძე, ო. დგებუაძე, მეთამბაქოეობა, განათლება 1973)

საბჭოთა პერიოდში საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში მოქმედებდა 2 თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, საპასპორტო სიმძლავრით 8 ათასი ტონა წელიწადში (კერძოდ, ლაგოდეხში 4.5 ათასი ტონა და ბათუმში 3.5 ათასი ტონა), 4 თამბაქოს ფაბრიკა (თბილისში 2, ბათუმში 1 და სოხუმში 1), რომლებიც უშვებდნენ 16-17 დასახელების პროდუქციას. პაპიროსისა და სიგარეტის წარმოების საერთო მოცულობა შეადგენდა 16-17 მლრდ. ცალი წელიწადში, რომელიც მიეწოდებოდა ადგილობრივ (6 მილრდ. ც) და საბჭოთა რესპუბლიკების ბაზრებს (10-11 მლრდ. ც).

საფერმენტაციო ქარხნები ძირითადად განლაგებული იყო რესპუბლიკის მეთამბაქოეობის წამყვან რაიონებში და სავსებით უზრუნველყოფდა თამბაქოს ფოთლის გადამუშავებას. ამ ქარხნებში დამზადებული პროდუქცია – განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი თამბაქო „სამსუნი" და „ტრაპიზონი" – იგზავნებოდა სსრ კავშირის მთელ რიგ თამბაქოს ფაბრიკებში, სადაც მას საკუპაჟე მასალად იყენებდნენ მაღალხარისხოვანი თამბაქოს წარმოებისათვის. საქართველოს საფერმენტაციო ქარხნებში წარმოებული თამბაქო მნიშვნელოვანი რაოდენობით იგზავნებოდა საზღვარგარეთაც.

1980 წელს რესპუბლიკის თამბაქოს ფაბრიკებმა დაამზადეს 19,2 მლრდ. ც. სიგარეტი და პაპიროსი, რაც 2,6-ჯერ აღემატება ამ პროდუქციის წარმოების 1940 წ. დონეს, ხოლო ფერმენტირებული თამბაქოს წარმოებამ შეადგინა 1940 წ. – 17,7; 1950 წ. – 16,3; 1960 წ. – 16,3; 1980 წ. – 12,7 ათ. ტ. საქართველოს ხვ. წილი ფერმენტირებული თამბაქოს საერთო საკავშირო წარმოებაში შეადგენდა 8,2–8,5 %, ხოლო პაპიროსისა და სიგარეტის წარმოებაში 8,8%. საქართველოდან ექსპორტზე გადიოდა ადგილზე წარმოებული ფერმენტირებული თამბაქოს 60% და პაპიროსისა და სიგარეტის – 75%. XX ს. 90-იანი წლებიდან დარგის განვითარებაში მკვეთრად უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა. თანდათანობით დაეცა როგორც თამბაქოს ნედლეულის, ისე მისგან დამზადებული პროდუქციის წარმოება, კერძოდ, 1990–2005 თამბაქოს ნედლეულის წარმოება 23 ათ. ტ-დან 1,1 ათ. ტ-მდე, ხოლო პლანტაციების ფართობი – 14 ათ. ჰა-დან 0,5 ათ. ჰა-მდე შემცირდა.

ამჟამად თამბაქოს ნედლეული ძირითადად საოჯახო მეურნეობებში მოჰყავთ. საქართველოში წარმოებული თამბაქოს მოცულობის შემცირებისა და მისი დაბალი ხარისხის გამო ის სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება სიგარეტის ადგილობრივ წარმოებაში. დაიხურა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები. საქართველოში აღარ ხდება თამბაქოს ფერმენტაცია. მნიშვნელოვნად შემცირდა გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობაც. იგი 11,2 მლრდ. ღერი სიგარეტიდან (1990) 3,5 მლრდ. ღერამდე შემცირდა (2013). თუ ადრე საშინაო ბაზრის მოთხოვნილება ძირითადად ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმით კმაყოფილდებოდა, ამჟამად მწეველთა 75% იმპორტირებულ სიგარეტს მოიხმარს, რის შედეგადაც საქართველოდან ყოველწლიურად 100 მლნ. აშშ დოლარი გაედინება. (წყარო - http://georgianencyclopedia.ge/index.php/თამბაქოს_მრეწველობა).

საქართველოში მეთამბაქოეობის დარგის განადგურებამ გამოიწვია ის, რომ საქართველო თამბაქოს ექსპორტიორი ქვეყნიდან გადაიქცა თამბაქოს იმპორტიორ ქვეყნად.

1996 წელს „კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმების შესახებ" მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში გაკეთებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ 1993 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 68%-ს შეადგენდა, ხოლო 1994 წელს ამ მაჩვენებელმა 87%-ს მიაღწია. ტრადიციულად

საქართველო იყო კვების პროდუქტების ნეტო-ექსპორტიორი და ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისათვის ბოსტნეულის, ხილის, ჩაის, ღვინის, კონიაკის, თამბაქოსა და სხვა პროდუქციის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი. გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ქვეყნის წილი კვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით რესპუბლიკათაშორისო ვაჭრობაში 10%-ს შეადგენდა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის საქართველოს მხრიდან კვების პროდუქტების ექსპორტის ღირებულება 1.7-ჯერ აღემატებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან კვების პროდუქტების იმპორტის ღირებულებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდება საქართველოდან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და საერთაშორისო ბაზარზე მნიშვნელოვნად შემცირდა. ქვეყანამ დაკარგა თავისი მდგომარეობა საექსპორტო ბაზრებზე, რის შედეგადაც საქართველო კვების პროდუქტების ნეტო-იმპორტიორი გახდა. 1993-94 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენდა 1987 წლის (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაქსიმალური დონე) დონის მხოლოდ ერთ მესამედს. მე- XX საუკუნის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობაში 440 საწარმო ფუნქციონირებდა, მათგან 1993 წელს 7 თამბაქოს წარმოებით იყო დაკავებული.

**ცხრილი # 17 სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, 1993 წ.**

| დარგი | საწარმოთა რაოდენობა | მ.შ. პრივატიზებულ საწარმოთა რა-ობა |
|---|---|---|
| ჩაის წარმოება | 147 | 55 |
| მეღვინეობა | 108 | 78 |
| კონსერვების წარმოება | 54 | 30 |
| ხორცისა და რძის წარმოება | 79 | 22 |
| თამბაქოს წარმოება | 7 | 4 |
| მინერალური წყლებისა და წვენების წარმოება | 27 | 11 |
| კვების მრეწველობის სხვა საწარმოები | 18 | 12 |
| **სულ:** | **440** | **212** |

წყარო: მსოფლიო ბანკის „კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმების შესახებ“ კვლევა

**ცხრილი # 18 თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებელთა რაოდენობა 1995-2004 წ.წ.**

| წლები | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაოდენობა | 7 | 7 | 7 | 7 | 9 | 11 | 12 | 12 | 13 | 13 |

წყარო: ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი - 2005

ნედლეულის დღევანდელი სიტუაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად საქართველოში თამბაქოს კულტურა გაშენებულია 116 ჰექტარზე, მათ შორის აჭარის ა/რ-ში 65 ჰექტარზე, რაც შეადგენს მთლიანი ფართობის 56%. უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლიანობა გაცილებით მაღალია აღნიშნულ რეგიონში და შეადგენს 2,87 ტონას ჰექტარზე და შესაბამისად მთლიანი მოსავლის 64% აღემატება.

1970 წლისათვის აჭარაში თამბაქოს კულტურა გაშენებული იყო 1450 ჰექტარზე. ამჟამად თამბაქოს ნედლეული ძირითადად საოჯახო მეურნეობებში მოჰყავთ.

| ცხრილი # 19 ოპერატიული ინფორმაცია საქართველოში 2016 წელს თამბაქოს ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | რეგიონი | თამბაქო | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | ქვემო ქართლი | 51.00 | 102.00 | 2.00 |
| 2 | აჭარის ა/რ | 65.00 | 186.60 | 2.87 |
| **სულ** | | **116.0** | **288.6** | **2.5** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

| ცხრილი # 20 ოპერატიული ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2016 წელს თამბაქოს ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | მუნიციპალიტეტი | თამბაქო | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | ქედა | 65.0 | 186.6 | 2.87 |
| **სულ** | | **65.0** | **186.6** | **2.87** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ.

| ცხრილი # 21 ოპერატიული ინფორმაცია ქედის მუნიციპალიტეტში 2016 წელს თამბაქოს ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | ადმინისტრაციული ერთეული | თამბაქო | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | დანდალო | 11.50 | 30.00 | 2.60 |
| 2 | ცხმორისი | 16.70 | 48.00 | 2.80 |
| 3 | წონიარისი | 15.50 | 42.00 | 2.70 |
| 4 | ზვარე | 15.80 | 51.80 | 3.20 |
| 5 | დაბა ქედა | 3.00 | 8.60 | 2.80 |
| 6 | მერისი | 1.50 | 4.00 | 2.60 |
| 7 | ოქტომბერი | 1.00 | 2.20 | 2.20 |
| **სულ** | | **65.00** | **186.60** | **2.87** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

საქართველოს სოფლის მეორნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციით თამბაქოს მოსავალი აჭარის ა/რ-ში მოდის ერთ მუნიციპალიტეტზე, ქედა 65 ჰექტარი და 186.6 ტონა, ხოლო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით თამბაქოს კულტურა ასევე შუახევში - 20 ჰექტარს და 42 ტონას და ხულოში 7 ჰექტარს და 14,7 ტონას შეადგენს.

| ცხრილი# 21.1 ინფორმაცია თამბაქოს შესახებ 30.12.2016 | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | მაჩვენებელი | ზომის ერთ. | შუახევი | ხულო |
| 1 | ფართობი | ჰა | 20 | 7 |
| 2 | მოსავლიანობა ჰა-ზე | ტონა | 2,1 | 2,1 |
| 3 | სულ მოსავალი | ტონა | 42 | 14,7 |
| წყარო: აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

**ექსპორტი**

2000–2004 წლების განმავლობაში საქართველოში განუხრელად იზრდება თამბაქოს ნედლეულის იმპორტი და მცირდება ექსპორტის მოცულობა. 2003 წელს თამბაქოს ნედლეულის იმპორტმა 2139 ტონას მიაღწია, ხოლო ექსპორტი დაეცა 112

ტონამდე. თამბაქოს ნედლეულის იმპორტ-ექსპორტის დინამიკა მოცემულია ცხრილში. 2004 წლიდან თითქმის აღარ ხდება ნედლეულის ექსპორტი.

| ცხრილი # 22 2000–2004 წლების თამბაქოს ნედლეულის ექსპორტ–იმპორტი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ექსპორტი | | იმპორტი | | სალდო | |
| წელი | ტონა | 1000$ | ტონა | 1000$ | ტონა | 1000$ |
| 2000 | 723 | 778 | 1645 | 4225 | -921 | -3448 |
| 2001 | 447 | 380 | 1295 | 4740 | -848 | -4360 |
| 2002 | 597 | 910 | 1598 | 4216 | -1001 | -3307 |
| 2003 | 112 | 406 | 2139 | 2017 | -2027 | -1611 |
| 2004 | 60 | 120 | 2340 | 3108 | -2280 | -2988 |
| წყარო: ალექსანდრე შალუტაშვილი, ჰანა როსი, ჯუდით ვოთი, სტეფანი ჰილბორნი, გიორგი ბახტურიძე, გელა კობეშავიძე, ზაზა გრიგალაშვილი - თამბაქოს ეკონომიკის კვლევა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში - თბილისი 2007 | | | | | | |

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თამბაქოს ნედლეულის იმპორტის მოცულობის განუხრელი ზრდის და ექსპორტის მოცულობის შემცირების მიუხედავად, რომელმაც 2004 წელს მიმალურ მაჩვენებელს მიაღწია, მცირდება სალდო იმპორტსა და ექსპორტს შორის, რაც მიუთითებს იმას რომ ქართული თამბაქოს ბაზრის არაკონკურენტუნარიანობის გამო ქვეყნის შიდა ბაზარს იკავებს იმპორტული უფრო იაფი და დაბალი ხარისხის თამბაქოს ნედლეული. კერძოდ, უარყოფითი სალდო 4.3 მილიონი დოლარიდან (2001 წელი) შემცირდა 2.9 მილიონ დოლარმდე (2004 წელი) რამაც მოცულობით გამოსახულებაში 848 ტონიდან 2280 ტონას მიაღწია იმავე პერიოდში.

## 1.3.ტუნგი

საქართველოში ტუნგის მცენარე 1896 წელს იაპონიიდან პროფესორ კრასნოვის ექსპედიციამ შემოიტანა. იაპონიიდან ჩამოტანილი რამდენიმე ნერგი დარგეს ჩაქვის მაშინდელ საუფლისწულო მამულში, გზის გასწვრივ, მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობით. ხოლო იაპონური ტუნგის პირველი სამრეწველო პლანტაცია 1ჰა ფართობზე, გაშენდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 1927 წელს. ამ კულტურის სამრეწველო განვითარება ქვეყანაში, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. პირველ წლებში პლანტაციებს იაპონური ტუნგისგან აშენებდნენ, ხოლო ჩინური ტუნგის პირველი საცდელი ნარგაობა აჭარაში მხოლოდ 1932 წელს გაშენდა. ამასთან გამოვლინდა ჩინური ტუნგის უპირატესობა იაპონურ ტუნგთან შედარებით. ტუნგის პლანტაციები შენდებოდა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, განსაკუთრებით: ოზურგეთში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, წალენჯიხაში, აფხაზეთის რაიონებში და სხვაგან. ტუნგი მოჰყავდათ ლაგოდეხშიც. 1949-50 წლების ცივმა ზამთარმა და სხვა ხასიათის ფაქტორებმა ტუნგის პლანტაციებს სერიოზული ზიანი მიაყენა. შემდგომ წლებში თანდათან დაიწყო ტუნგის წარმოების აღორძინება და გასული საუკუნის 80-იან წლებში ტუნგის პლანტაციების მოცულობამ 10 ათას ჰექტარს გადააჭარბა. (წყარო: ხაზეიშვილი ვ.-სუბტროპიკული კულტურების აგრონომიის საფუძვლები., ჟ. ახალი აგრარული საქართველო # 10.)

ტუნგი მეოცე საუკუნეში სუბტროპიკული მეურნეობის ერთ-ერთ რენტაბელურ კულტურად იქცა, რადგან კარგად ხერხდებოდა მისი შეთანაწყობა ისეთ ძირითად კულტურებთან როგორიცაა ჩაი და ციტრუსი.

ტუნგის პლანტაციას აშენებენ 1 წლიანი ნერგებით, იზრდება სწრაფად და მე-3-4 წელს იწყებს მოსავლის მოცემას. მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა 30-35 წელია. 1 ჰა-დან იძლევა საშუალოდ 9-10 ტ. მოსავალს, რისგანაც მზადდება 1 ტ ზეთი. (წყარო: Сельскохозяйственная Енциклопедия, # 6, стр.299 )

ტუნგის პლანტაციის გასაშენებლად შერჩეული უნდა იქნეს ზღვის დონიდან 300-400 მ სიმაღლეზე მდებარე ბორცვიანი ადგილები, რომელთა შუა და ზედა მონაკვეთები საუკეთესოდ ითვლება, ფერდობების დაქანება არ უნდა აღემატებოდეს $30^0$-ს. ვაკე ადგილებში, სადაც ნიადაგი და კლიმატი ხელსაყრელია ტუნგისათვის აუცილებელია მელიორაციული ღონისძიებების გატარება ზედმეტი ტენის მოსაცილებლად. (წყარო - რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ. თბილისი 1982)

საქართველოში გავრცელებულ მრავალწლიან სუბტროპიკულ მცენარეთა შორის ტუნგს დაკავებული ფართობებითა და სახალხო სამეურნეო მნიშვნელობით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ტუნგის ხის ნაყოფის გულიდან (თესლიდან) მიიღება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ტექნიკური ზეთი, რომელსაც მრეწველობის სხვადასხვა დარგში მრავალმხრივ იყენებენ. ტუნგის ზეთი სწრაფად შრება, მისგან საუკეთესო სანდალოზი (ლაქი), მინანქარი, საღებავები, რომლებიც არაჩვეულებრივი გამძლეობით, სიმტკიცით, ელასტიურობით და წყალგაუმტარობით

გამოირჩევა. მასზე არ მოქმედებს ტენი, სიმჟავე, მარილი, ელექტრომუხტი და სხვა. ტუნგის ზეთი ლითონს იცავს კოროზიისგან, ხოლო ხის ნაკეთობებს — ლპობისგან.

ტუნგის ზეთზე დამზადებული სანდალოზითა და საღებავებით ღებავენ თვითმფრინავებს, მსუბუქ ავტომანქანებს, სამგზავრო ვაგონებს, ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ჰიდროტურბინების წყალქვეშა ნაწილებს. ტუნგის ზეთისგან დამზადებული საღებავები იცავს გემების წყალქვეშა ნაწილებს დაჟანგვისგან, ამასთან გალაქულ ზედაპირს ვერ ეკვრება ზღვის ნიჟარები, რომლებიც გემის მოძრაობას ანელებენ. ტუნგის ზეთისგან მზადდება კაუჩუკის შემცვლელი, იყენებენ ტექნიკური რეზინის წარმოებაში, მსუბუქ მრეწველობაში, ლინოლიუმის, მუშამბის, ხელოვნური ტყავის, წყალგაუმტარი ქსოვილების დამზადებაში და სხვა. ტუნგის ზეთს იყენებენ როგორც ინსექტიციდს. ზეთის წარმოების ნარჩენები სათანადო გადამუშავების შემდეგ გამოიყენება სასუქად, ხოლო ნაჭუჭის და ზეთის ნამწვი საუკეთესო მასალაა უმაღლესი ხარისხის მელნის და ტუშის დასამზადებლად.

ამასთანავე ტუნგის მცენარე თაფლოვანი მცენარეა, ადრე ყვავილობს, ამიტომ მეფუტკრეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი კულტურაა. მერქანი წყალზე უფრო მსუბუქია, წყლის მოქმედებით დეფორმაციას არ განიცდის, მისგან ამზადებენ ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმებტებს.

1930 წელს ქობულეთის რაიონში საკავშირო ლაქსაღებავი მრეწველობის ტრესტის „ლაკოკრასკამ" საწარმოო მიზნით გააშენა 15 ჰა იაპონური ტუნგის პლანტაცია, ხოლო ერთი წლის შემდეგ აჭარის ასსრ-ში 180 ჰა-ს მიაღწია. 1932 წლიდან იაპონურ ტუნგთან ერთად უფრო ფართო გავრცელება დაიწყო ჩინურმა ტუნგმაც, 1932 წელს გაშენდა 7 ჰა პლანტაცია აჭარაშიც. რადგან ეს ჯიში ზეთის ხარისხით, მოსავლიანობით და ყინვაგამძლეობით უკეთესი აღმოჩნდა. 1937 წლისათვის აჭარის რაიონებში გაშენებული იყო 2677 ჰა ტუნგის პლანტაცია, აქედან 1621 ჰა კოლმეურნეობებში. (წყარო; ჯაფარიძე შ. ი. სუბტროპიკული მეურნეობის განვითარება აჭარაში. ჟ. სუბტროპიკული კულტურები1971. #2, გვ.97)

ტუნგის სამრეწველო პლანტაციები ძირითადად გაშენდა სამ ჯიხანჯურის, კოხის და მოქვის (ოჩამჩირის რ-ნი) სპეციალურ საბჭოთა მეურნეობებში. აქვე შეიქმნა სანერგე მეურნეობებიც, რამაც ხელი შეუწყო ტუნგის პლანტაციების გავრცელებას კოლმეურნე-გლეხობის სექტორშიც. აშენდა ქობულეთის (დაბა ოჩხამური) და ოჩამჩირის (მოქვის) ტუნგის ზეთის გადამამუშავებელი ქარხნები, რომელიც გათვლილი იყო ჯამურად, წლიურად 5000 ტონა ზეთის საწარმოებლად. შეიქმნა ტუნგის ნაყოფის საშრობი ნაგებობები, გამოგონებულ იქნა ტუნგის ნაყოფისაგან ნაჭუჭის გამცლელი მანქანა. 1940 წელს პირველად იქნა მიღებული 137 ტ. ტუნგის ზეთი, 1944 წელს 274 ტ., 1948 წელს 411 ტ, ხოლო 1959 წელს 800 ტონა.

| ცხრილი # 23 საქართველოში ტუნგის ფართობების ზრდის დინამიკა ჰა (1931-1936წწ) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორგანიზაცია | წლები | | | | | |
| | 1931 | 1932 | 1933 | 1934 | 1935 | 1936 |
| კოლმეურნეობა | 42,03 | 306,43 | 772,28 | 1305,3 | 1831,5 | 2038,65 |
| საბჭ.მეურნეობა | - | 22,14 | 540,80 | 3019,46 | 7601 | 10471,25 |
| **სულ** | **42,03** | **328,57** | **1313,08** | **4324,76** | **9432,5** | **12509,90** |
| წყარო: დოლონაძე რ.ი. - ტუნგის კულტურის განვითარების მორიგი ღონისძიებები. ლიმონის, ტუნგის კულტურა, IV პლენუმის მასალები. მოსკოვი. 1940. გვ.65 | | | | | | |

| ცხრილი # 24 საქართველოში არსებული ტუნგის ფართობების განაწილება (1940წ) | | | |
|---|---|---|---|
| მეურნეობა | მეურნეობების რაოდენობა | ნაკვეთების რაოდენობა | საერთო ფართობი ჰა |
| საბჭ. მეურნეობა | 30 | 928 | 1751 |
| სხვა ორგანიზაციები | 11 | 27 | 27 |
| კოლმეურნეობა | 362 | 4159 | 4159 |
| საკარმიდამო | 2469 | 2066 | 2066 |
| **სულ** | **2469** | **7180** | **8675** |
| წყარო: სერგევი ა.მ. დასვლეთ საქართველოში ტუნგის ზეთის წარმოების ასამაღლებლად. ჟ.სუბტროპიკული კულტურები 1963,#4, გვ64 | | | |

ტუნგის ნარგაობათა ფართობი ქობულეთის რ-ნის კოლმეურნეობებში ჩქარი ტემპით განვითარდა და 1940 წლისათვის 1409 ჰა-ს მიაღწია.

| ცხრილი # 25 ტუნგის ფართობების დინამიკა ქობულეთში ჰა (1950-1969 წწ) | | | |
|---|---|---|---|
| წლები | სულ ფართობი | მათ შორის | |
| | | საბჭ. მეურნეობა | კოლმეურნეობა |
| 1950 | 2038 | 796 | 1342 |
| 1955 | 1930 | 761 | 1169 |
| 1960 | 1527 | 675 | 852 |
| 1965 | 1504 | 671 | 833 |
| 1969 | 1377 | 647 | 730 |
| წყარო: ბეჟანიძე ი.ბ. ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1972 | | | |




როგორც დიაგრამიდან ჩანს, ტუნგის ფართობები, ქობულეთის რაიონში 20 წლის განმავლობაში შემცირებას განიცდის, განსაკუთრებით კოლმეურნეობებში. მიუხედავად პლანტაციების შემცირებისა მისი პროდუქცია იზრდება მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე. ასე მაგალითად, 1940 წელს ტუნგის საჰექტარო მოსავლიანობა იყო 2,1 ცენტნერი, 1970 წლისათვის მან მიაღწია 22,9 ცენტნერს და სულ მიღებული იქნა 16780 ცენტნერი. ტუნგის კულტურის თვითღირებულების, მოსავლიანობის და ეფექტიანობის შესწავლის მიზნით გამოყოფილ სამ მიკრო ზონაში დაგვას, ხუცუბნის და ლეღვას ტიპიურ კოლმეურნეობებში (1966-1970წ) ჩატარდა დაკვირვებები და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები: ქობულეთის რაიონის, ისევე როგორც სხვა სუბტროპიკული მიმართულების კოლმეურნეობათა ეკონომიკაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტუნგის კულტურა. მას ჩაისა და ციტრუსების შემდეგ მესამე ადგილი უკავია.

რაც შეეხება ტიპიურ და ცალკეულ კოლმეურნეობებს ტუნგის მოსავლიანობა შედარებით მაღალია და ცალკეულ წლებში 111 ცენტნერს აღწევდა. ხუთი წლის (1966-1970) საშუალო მონაცემებით ტუნგის მოსავლიანობა ქობულეთის რაიონში იყო 21,6 ცენტნერი. ტიპიურ კოლმეურნეობებს შორის ტუნგის მოსავლიანობა მაღალია ხუცუბნის კოლმეურნეობაში - 32,1 ც. დაბალია ლეღვას მეურნეობაში - 12,6 ც.

| ცხრილი # 26 ტუნგის მოსავლიანობის დინამიკა (1953-1970წწ) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | წლები | | | | |
| | 1953 | 1962 | 1964 | 1967 | 1970 |
| მოსავლიანობა (ცენტნ) | 4,8 | 16,7 | 61,1 | 17,1 | 22,9 |
| წყარო: ბეჟანიძე ი.ბ. ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1972 | | | | | |

ტუნგის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში დადგენილია, რომ 1 ჰა-ზე უნდა იყოს 360 ძირი ტუნგის ხე და საშუალო მსხმოიარობის პირობებში თითოეული უნდა

იძლეოდეს 25-30კგ-ს. რაც 1 ჰა-ზე შეადგენს 8-10 ტონას. ჩვენი პირობებისათვის შენდებოდა 200-360 ძირი მცენარე. თუ ამ კუთხით განვიხილავთ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებს, კერძოდ დაგვას, კოლმეურნეობამ 1970 წელს ტუნგის თითოეულ ხეზე საშუალოდ მიიღო 11,5კგ და საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 34 ცენტნერი. ეს მონაცემი ჩვენი პირობებისათვის კარგ მაჩვენებლად ითვლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტუნგის ხის მოსავლიანობა 20 წლის ასაკის შემდეგ კლებულობს, ხოლო 30 წლის ასაკის შემდეგ თითქმის სრულებით არ იძლევა მოსავალს. (წყარო: ბეჟანიძე ი.ბ. ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1972, #5 გვ.163)

ტუნგი დასავლეთ საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო 21 რაიონში. ტუნგის ფართობების სიდიდით და მოსავლიანობით გამოირჩეოდნენ მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ჩოხატაურის რაიონები. დასავლეთ საქართველოს გარდა ტუნგი მცირე რაოდენობით გავრცელდა კრასნოდარის მხარეში და აზერბაიჯნში სულ 1500 ჰა. (წყარო; დოღონაძე რ, კომახიძე ვ, ბერაია ი. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები. თბილისი 1964. გვ.235)

1945 წლისათვის ტუნგის ხის ფართობებმა შეადგინა 12000 ჰა, არსებული პლანტაციებიდან 82% იყო ჩინური ტუნგის ნარგაობა. ხოლო 18 % იაპონური. 1957-58 წლებში ჩატარებული პაასპორტიზაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში მთლიანად დაკავებულია 8675 ჰა ტუნგის ფართობიდან 7322 ჰა (84,4%) ჩინური ტუნგი იყო, ხოლო 1353 ჰა (15,6%) იაპონური ტუნგი. 1958 წელს ტუნგის ფართობი შემცირდა 28 %-ით 1945 წელთან შედარებით.

| ცხრილი # 27 ტუნგის ნარგაობის განაწილება ჯიშების მიხედვით (1960წ) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ/ფართობი | ფართობი ჰა | | | მცენარეთა რაოდენობა (ცალი) | | |
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | ფორდი | კორდატა | | ფორდი | კორდატა |
| სულ | 8675 | 7322 | 1353 | 2098731 | 1759409 | 339322 |

გ. ხუციშვილის მონაცემებით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში იაპონური ტუნგის მოსავალი 11 წლის ასაკში (ჰა-ზე) შეადგენდა 3430 კგ-ს, ხოლო ჩინური ტუნგი 7 წლის ასაკში - 11220 კგ. სამწუხაროდ ტუნგის პლანტაციებში ბევრია უნაყოფო და ნაკლებმსხმოიარე ხეები, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ 40% აღწევს, რაც დიდ გავლენას ახდენს საშუალო მოსავლიანობაზე. (წყარო; ჩხაიძე გ. - სუბტროპიკული კულტურები. თბილისი 1996 წ. ნაწილი 3, გვ 71-84.)

| ცხრილი # 28 ტუნგის ნაყოფის დამზადება, ტონა (1958-1962წწ) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | მიღებულია პუნქტში | | | საშუალოდ 1 ჰა-ზე | | |
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | ფორდი | კორდატა | | ფორდი | კორდატა |
| 1958 | 15544,5 | 14407,3 | 1137,2 | 1,70 | 1,97 | 0,84 |
| 1959 | 8963,0 | 8166,9 | 796,1 | 1,03 | 1,12 | 0,59 |
| 1960 | 8016,2 | 6531,9 | 1484,7 | 0,92 | 0,89 | 1,10 |
| 1961 | 25129,5 | 24520,1 | 609,5 | 2,90 | 3,38 | 0,45 |
| 1962 | 1727,7 | 1203 | 524,2 | 0,20 | 0,16 | 0,39 |
| საშუალოდ | 11876,1 | 10965,8 | 910,3 | 1,37 | 1,50 | 0,67 |
| წყარო: სერგეევი ა.მ. დასვლეთ საქართველოში ტუნგის ზეთის წარმოების ასამაღლებლად. ჟ.სუბტროპიკული კულტურები 1963,#4, გვ64 | | | | | | |

1969 წელს ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობაში 1948 წელს გაშენებული პლანტაციიდან აღრიცხულ იქნა იაპონურ ტუნგ კორდატას მოსავალი, რომელიც 1 ძირ ხეზე მერყეობდა 1-12 კგ-მდე, მაშინ როცა ჩინური ტუნგ ფორდის სადედე ხეებიდან აღრიცხული მოსავალი იცვლებოდა 2,5-26 კგ-ის ფარგლებში. (წყარო: ჭანუყვაძე მ.ა. - ჟ. სუბტროპიკული კულტურები, 1970 #6, გვ.135)

ტუნგის კულტურას ეკონომიკური თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ჩაისა და ციტრუსოვან კულტურასთან ერთად, თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ტუნგის პლანტაციის 1,0 ჰექტარზე 10 ტონაზე მეტი ნაყოფის მიღება შეიძლება. გარდა მაღალი რენტაბელობისა, საყურადღებოა შრომითი რესურსების განაწილების მხრივ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ტუნგის პლანტაციაში ნაყოფის შეგროვება და გარჩევა გვიან შემოდგომაზე მიმდინარეობს, მაშინ, როცა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დამთავრებულია.

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში, სინთეტიკური აპკწარმომქმნელი დამცავი საშუალებების გამოჩენის შემდეგ, რომელიც მზადდებოდა ნავთობისაგან, ტუნგის კულტურის მიმართ ყურადღება შეასუსტა. მიღებული ზეთი არაფრით არ ჩამორჩებოდა ტუნგის ზეთს. ამან გამოიწვია ტუნგის ფართობების და მოსავლის სერიოზული შემცირება. 1965 წლისათვის დარჩენილი იყო 7000 ჰა-მდე ტუნგის პლანტაცია, 1968 წლის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1970-1975წწ ტუნგის პლანტაციები უნდა გაზრდილიყო 4310 ჰექტრით. ამ დადგენილების საფუძველზე 1970 წელს ჩამოყალიბდა ორი ახალი ტუნგის საბჭოთა მეურნეობა (აბასთუმნის-ზუგდიდის რაიონში და აგუბედიის-ოჩამჩირის რაიონში), ახალი მეურნეობების შექმნა განძრახული იყო კოლხეთის დაბლობზეც. ამ მიზნით შეიქმნა ზუგდიდის ტუნგის დამამზადებელი საწარმო, სადაც იგეგმებოდა ტუნგის ზეთის წარმოებაც რომელიც შემდგომში ტუნგისადმი ნაკლები ყურადღების გამო გადაკეთდა ეთერზეთების კომბინატად. საქართველოში წარმოებული ტუნგის ზეთის ძირითადი მომხმარებელი საბჭოთა კავშირში არსებული ლაქსაღებავის მწარმოებლი ქარხნები იყო. (წყარო: კობახიძე შ, სუბტროპიკული მცენარეული ნედლეულის შენახვა და გადამუსავება. თბილისი 1986. გვ.379)

ქართული წარმოების ტუნგის ზეთი არაფრით ჩამორჩებოდა ამერიკული წარმოების ზეთს, ზოგ შემთხვევაში აღემატებოდა კიდეც. სწორედ ამის გამო იყო გაზრდილი მოთხოვნილება ჩვენთან წარმოებულ ზეთზე. ჩინური ტუნგის (ჯიში ფორდი) აბსოლუტურად მშრალი გულიდან, ზეთის გამოსავლიანობა შეადგენდა საშუალოდ 63-64 %-ს, ხოლო იაპონური ტუნგის (ჯიში კორდატა) შესაბამისი მაჩვენებელი იყო 72-73 %. (წყარო: სმოლსკი ნ.ბ. - ტუნგის კულტურის განვითარების მორიგი ღონისძიებები. ლიმონის, ტუნგის კულტურა, IV პლენუმის მასალები. მოსკოვი. 1940. გვ.73-74).

**ნედლეულის დღევანდელი სიტუაცია**

1965 წლისათვის დარჩენილი იყო 7000 ჰა-მდე ტუნგის პლანტაცია, ხოლო 2004 წლის მონაცემებით ქობულეთის რაიონის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების 268 ჰა ტუნგს უკავია (წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო).

ბოლო მონაცემებით საქართველოში ტუნგის ზეთის წარმოება ხდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭოღაში ფერმერ ხვიჩა შენგელიას მიერ, ნედლეულის მიღება ხდება 30 თეთრის ფარგლებში. 1 ჰა-ზე სრულმსხმოიარე 7-8 წლის პლანტაცია იძლევა 10-12 ტონა ნედლეულს, რაც ფულად გამოხატულებაში 3000-3600 ლარია.

## 1.4.დაფნა

დაფნა მარადმწვანე, მრავალწლიანი მცენარეა და უძველესი დროიდანაა შეტანილი კულტურაში. მის სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს და მცირე აზიის ქვეყნები. საქართველოში დაფნა არა მარტო კულტურაშია შეტანილი, არამედ ველურადაცაა გავრცელებული, ამიტომ დაფნის სამშობლოდ, მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით, საქართველოც ითვლება. კულტურული ნარგაობების სახით დღეისათვის იგი საქართველოს ყველა რაიონში ხარობს.

წარსულში დაფნის ბუნებრივ ტყეებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობები ეჭირა ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთისა და ქუთაისის რაიონებში. ამჟამად დაფნას ველურად ძირითადად სამეგრელოში ურთის მთაზე ვხვდებით, სადაც ის ადგილობრივი ტყის ჯიშებთან ერთად გაფანტულია მთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე დაახლოებით 9 ათას ჰექტარზე (წყარო: Воронцов, 1964: Кутубидзе, Харебава, 1990).

ამჟამად კეთილშობილი დაფნა ტანდაბალი, 2-12 (ზოგჯერ 20 მეტრამდე) სიმაღლის ხე ან ბუჩქია. ველურად იზრდება კოლხეთსა და სამხრეთ ყირიმში, ზღვის დონიდან 400-500 მ-მდე სიმაღლეზე. სუბტროპიკული ტენიანი და მშრალი ჰავის პირობებში, ჩვეულებრივ კირქვიან ნიადაგზე ზოგჯერ ქმნის წმინდა კორომს.

მე-19 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში დაფნა ექსპორტის საგანს წარმოადგენდა – ცალკეულ პერიოდში გატანილი დაფნის ფოთლის რაოდენობა 700-800 ტონით განისაზღვრებოდა. მეფის რუსეთში კვების მრეწველობის მოთხოვნილება დაფნაზე ყოველწლიურად 1200 – 1300 ტონას შეადგენდა (წყარო; Эбаноидзе, Гецадзе, 2007; Гумбаридзе, 1960). საქართველოს დასავლეთ რაიონებიდან დაფნა გავრცელდა აღმოსავლეთ რაიონებში და აზერბაიჯანში. თბილისში ის გვხვდება, როგორც დეკორატიული დანიშნულების მცენარე, ხოლო კახეთის რაიონებში ის გაავრცელეს საწარმოო მიზნით. დაფნის ხმელი ფოთლის სამრეწველო წარმოების ძირითადი ცენტრი ყოველთვის იყო საქართველოს დასავლეთი რაიონები (წყარო: Ибрагимов, 1960, შორენა კაპანაძე-კეთილშობილი დაფნის აგროტექნოლოგია და გენეტიკურად დეტერმინირებული ნიშან-თვისებების კორელაცია მის პროდუქტიულობასთან - დისერტაცია, ქუთაისი 2014).

კეთილშობილი დაფნის მცენარე ძველთაგანვე მრავალმხრივ გამოყენებას პოულობს მშრალი ფოთლის სახით კვების მრეწველობაში, მედიცინაში, პარფიუმერია-კოსმეტიკაში და სახალხო მეურნეობის რიგ სხვა დარგებში. მოგვიანებით დაიწყო დაფნის გამოყენება მისი ფოთლებიდან გამოხდილი ეთეროვანი ზეთის სახით. ამ სახით მისი გამოყენება უფრო მოსახერხებელი, ეფექტური და ეკონომიურად მომგებიანია.

ეთეროვანი ზეთი ყველაზე მეტი რაოდენობით დაფნის ფოთოლშია, რომელსაც გამხმარი სახით გადაუმუშავებლად ხმარობენ და რომელიც ჰერმეტულად დახურულ, მშრალ პირობებში რამოდენიმე წლის მანძილზე ინახება. ეთეროვანი ზეთი დაფნის ფოთლიდან ხსნარში გადადის და საჭმელს ნაზ არომატს აძლევს. იგი სასიამოვნო

არომატის გარდა, საჭმელს ამდიდრებს ვიტამინებით, ხოლო ფიტოცინდური თვისებების გამო ახანგრძლივებს მზა კერძის შენახვის ვადას.

დაფნის ეთეროვანი ზეთი, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი, ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში ოდეკოლონის, სუნამოსა და სხვა საპარფიუმერიო ნაწარმის დასამზადებლად. ის აგრეთვე ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო წარმოებაშიც. ამ მცენარის ეთეროვანი ზეთისაგან დამზადებულ ესენციას ხმარობენ ნამცხვრების, კანფეტებისა და სხვა ტკბილეულის გასაგემოვნებლად. (წყარო; კომახიძე, 1969; კომახიძე, კაჭახიძე, 1966).

მეოცე საუკუნის 40-იან წლებში მსოფლიოში იწარმოებოდა 50-60 ათასი ტონა დაფნის მშრალი ფოთოლი, მათ შორის 1000 ტონა საქართველოში. დასავლეთ საქართველოში დაფნის სამრეწველო ფართობები შეადგენდა 400-500 ჰა-ს, ასევე 500 ჰა ბუნებრივი ნარგაობა და ეს ფართობები იძლეოდა 700-1000 ტ ფოთოლს. (წყარო: ალექსეევი ვ.პ, ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1954, #2.)

დაფნის მცენარის ბუნებრივი ნარგაობები საკარმიდამო ნაკვეთებსა და სამრეწველოდ გაშენებულ პლანტაციებზე ძირითადად გვხვდება საქართველოს შემდეგ მხარეებში: სამეგრელო - ზუგდიდის, ხობის, სენაკის, მარტვილის მუნიციპალიტეტები; გურია - ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები; იმერეთი - ქუთაისის, ვანის, სამტრედიისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, აჭარაში - ქობულეთი, ხელვაჩაური, ასევე მცირე მასშტაბით კახეთში - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (აღმ. საქართველო).

დაფნის ფოთლის წარმოება განვითარებულია დასავლეთ საქართველოში, სადაც კლიმატი (ტენიანობა და სუბტროპიკული ჰავა) იდეალურია დაფნის ფოთლის საწარმოებლად. შესაბამისად, წარმოება და ნედლეულის შეგროვება კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოში.

| ცხრილი # 29 დაფნის ფართობები რაოდენობა საქართველოში ჰა 1951 წ | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | რაიონები | სულ | მათ შორის | | | | | |
| | | | სექტორების მიხედვით | | | ნარგავების სახეობის მიხედვით | | |
| | | | საბჭოთა მეურნეობ | კოლმე ურნეობა | კერძო ბაღებში | პლანტა ცია | ერთეული ნარგაობა | ბუნებრ. აღმონაც |
| 1 | აჭარა | 36,5 | 5,5 | 30,5 | 0,5 | 36 | 0,5 | - |
| 2 | აფხაზეთი | 150,3 | 59 | 87 | 4,3 | 90 | 4,3 | 56 |
| 3 | ხობი | 503 | 33 | 382 | 88 | 268 | 2 | 233 |
| 4 | ზუგდიდი | 197 | - | 139 | 58 | 133 | 6 | 58 |
| 5 | ცხაკაია | 107 | 2 | 91 | 14 | 57,5 | 6,5 | 43 |
| 6 | აბაშა | 67 | - | 65 | 2 | 66,5 | 0,5 | - |
| 7 | გეგეჭკორი | 29 | - | 28 | 1 | 28 | 1 | 28 |
| 8 | ჩხოროწყუ | 42 | - | 37,5 | 4,5 | 40 | 2 | - |
| 9 | წალენჯიხა | 29 | - | 28 | 1 | 29 | - | - |
| 10 | ფოთი | 32 | 10 | 15 | 7 | 18 | 14 | - |
| 11 | ქუთაისი | 175,5 | - | 171,5 | 4 | 172,5 | 3 | - |
| 12 | წყალტუბო | 53 | - | 51,5 | 1,5 | 51,5 | 1,5 | - |
| 13 | ზესტაფონი | 65,5 | - | 65 | 0,5 | 65 | 0,5 | - |
| 14 | ტყიბული | 4 | - | 4 | - | 4 | - | - |
| 15 | წულუკიძე | 42 | - | 41 | 1 | 40,5 | 1,5 | - |
| 16 | სამტრედია | 207 | - | 195 | 12 | 181,5 | 13,5 | 12 |
| 17 | ვანი | 294,3 | - | 281,8 | 12,5 | 256,3 | 8 | 30 |
| 18 | მაიაკოვსკი | 8 | - | 6 | 2 | 5 | 3 | - |
| 19 | ჩხარა | 62 | - | 62 | - | 61 | 1 | - |
| 20 | ორჯონიკიძე | 23 | | 23 | - | 23 | - | - |
| 21 | ლანჩხუთი | 61 | - | 54,5 | 6,5 | 58 | 2 | 1 |
| 22 | მახარაძე | 6,5 | - | 5,0 | 1,5 | 5,0 | 1,5 | - |
| 23 | ჩოხატაური | 51 | - | 50 | 1 | 50 | 1 | - |
| | სულ | 2245,6 | 109,5 | 1913,3 | 222,8 | 1739,3 | 73,3 | 433 |
| წყარო: Сванидзе Е.К. - Култура лавра в СССР. 1951 Тбилиси. стр. 22 | | | | | | | | |

1958 წელს საქართველოში დამზადდა 712 ტონა დაფნის ხმელი ფოთოლი, 1964 წელს 3452 ტ. ხოლო 1965 წელს 3047ტ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროდუქციის უმეტესი ნაწილი მოსახლეობის ნაკვეთებიდან იქნა შესყიდული. კერძოდ 1964 წელს 3452 ტონიდან 3260 ტონა მოსახლეობიდან იქნა შესყიდული. ამ პერიოდისათვის საქართველოში ძირითადი მწარმოებელი ზუგდიდის რაიონი იყო (მთლიანი წარმოების 30%), ხოლო საუკეთესოდ ითვლებოდა ხეთის სუბტროპიკული მეურნეობა. რომელსაც გააჩნდა 137 ჰა სრულმოსავლიანი დაფნის პლანტაცია. ასევე კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ტეხურის და გაგრის მეურნეობებს. ქვეყნის მასშტაბით უმრავლეს მეურნეობებში და კოლმეურნეობებში მოსავლიანობა მაინც საკმაოდ დაბალი იყო 1ჰა-ზე 6 ცენტნერი ხმელი ფოთოლი. (წყარო: ქაჩიბაია ი.დ. - ჟ. სუბტროპიკული კულტურები.1966, #2, გვ. 7-10).

1960 წლისათვის საქართველო ითვლებოდა ერთადერთ რესპუბლიკად სსრკ-ში სადაც გაშენებული იყო დაფნის სამრეწველო პლანტაციები. ამის შემდგომ დაიწყო გავრცელება აზერბაიჯანში, ყირიმში და კრასნოდარის მხარეში.

საქართველოში მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში გააშენეს 3.2 ათასი ჰა. დაფნის სამრეწველო პლანტაცია რამაც ჯამში შეადგინა 6.2 ათასი ჰა. აქედან 50% საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიოდა.

| ცხრილი # 30 დაფნის პლანტაციების განაწილება საქართველოში ჰა (1979) | | | |
|---|---|---|---|
| კოლმეურნეობა | საბჭ. მეურნეობა | მოსახლეობა | სულ |
| 1700 | 1500 | 3000 | 6200 |
| წყარო: Воронцов В.В – Биологические основы возделывания благородного лавра. 1979. Сочи стр. 24 | | | |

| ცხრილი # 31 დაფნის ხმელი ფოთლის დამზადება საქართველოში 1960-1965წ | |
|---|---|
| წლები | მოსავალი, ტონა |
| 1961 | 1252 |
| 1962 | 1384 |
| 1963 | 2024 |
| 1964 | 3364 |
| 1965 | 3047 |
| წყარო: Воронцов В.В – Биологические основы возделывания благородного лавра. 1979. Сочи стр. 24 | |

ამ დროისათვის დაფნის ფოთლის დამზადებას საქართველოში აწარმოებდა 18 რაიონული სამომხმარებლო კავშირი, რომელთაც გააჩნდათ მიმღები პუნქტების დიდი ქსელი. ფოთლის დამზადებას, გადამუშავებას, დახარისხებას და დაფასოებას აწარმოებდა 122 მიმღები პუნქტი და 4 დაფნის კომბინატი - სოხუმში, ხობში, სამტრედიაში და ქუთაისში. ასევე ამავე პერიოდში დაიგეგმა და მალევე აშენდა ზუგდიდის კომბინატი (1000 ტ. საწარმოო სიმძლავრით) დაფნის ხმელი ფოთლის საწარმოებლად. ხმელი ფოთლის დაფასოება ხდებოდა 10 და 25 გრამიან ქაღალდის და ცელოფანის პაკეტებში ხოლო დანარჩენი მასის გადატვირთვა, სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის (ცეკავშირი) მთავარ საკონსერვო საწარმოებში (წყარო: ჩარგეიშვილი.ვ.გ. - ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1966, # 2, გვ34)

| ცხრილი # 32 დაფნის ხმელი ფოთლის სახელმწიფო შესყიდვა (ტონა) | | | | |
|---|---|---|---|---|
| წლები | ხმელი ფოთოლი | კოლმეურნეობა | საბჭ. მეურნეობა | მოსახლეობა |
| 1971 | 4440 | 261 | 331 | 3890 |
| 1972 | 4385 | 196 | 320 | 4468 |
| 1973 | 5532 | 220 | 391 | 4921 |
| 1974 | 5942 | 240 | 363 | 5339 |
| 1975 | 6205 | 198 | 411 | 5596 |
| 1976 | 5904 | 181 | 358 | 5365 |
| 1977 | 5714 | 194 | 381 | 5139 |
| 1978 | 5518 | 231 | 392 | 1895 |
| 1979 | 5666 | 143 | 350 | 5173 |
| 1980 | 5830 | 153 | 338 | 5339 |
| 1981 | 5265 | 155 | 341 | 5769 |
| 1982 | 7497 | 114 | 367 | 7016 |
| **სულ** | 69540 | 2286 | 4344 | 62910 |
| წყარო: საქ. სსრ სტატისტიკური სამართველოს 1971-1982 წწ მონაცემები. ჩხაიძე დ.ქ.- საქართველოს სსრ-ში დაფნის კულტურის თანამედროვე მდგომარეობა და მისი მოსავლიანობის გადიდების გზები. ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1984, #2.გვ.103. | | | | |

აჭარის მაღალმთიანი რაიონებში, დაფნის ნარგაობებზე დაკვირვების შედეგად, მეცნიერების რეკომენდაციებით (ჩხაიძე დ. 1964) დაფნის სამრეწველო პლანტაციების გაშენება შესაძლებელია ზღვის დონიდან 200-750 მ სიმაღლემდე.

| ცხრილი # 33 აჭარის სხვადსხვა გეოგრაფიულ ნაკვეთებზე დაფნის მშრალი ფოთლის მოსავლიანობა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიმაღლე ზღვის დონიდან (მ) | პლანტაციის გაშენების დრო | მშრალი ფოთლის მოსავლიანობა კგ/ჰა | | | |
| | | 1960 | 1961 | 1962 | 1963 |
| 200 (ქედა) | 1958 | 65 | 112 | 367 | 850 |
| 450 (შუახევი) | 1958 | 135 | 381 | 831 | 2223 |
| 650 (ჭვანა) | 1958 | 123 | 239 | 1038 | 1900 |
| 750 (ყინჩაური) | 1958 | 85 | 205 | 400 | 1010 |
| 950 (ოქრუაშვილები) | 1959 | - | 55 | 98 | 163 |
| წყარო: ჩხაიძე ი.ი.- ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1964 | | | | | |

დაფნის ერთეული ნარგაობა გვხვდება ხულოს რაიონის მაღალ ზონაშიც სოფ. ღურტაში, 1000 მ. ზღვის დონიდან, ასევე შუახევის რაიონში სოფ. დღვანში 1100 მ. ზღვის დონიდან და სოფ. კვიახიძეებში 1330 მ. (წყარო: ჩხაიძე ი.ი.- ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1964, #2.) საბჭოთა პერიოდში აჭარის რეგიონში წარმოებული დაფნის ფოთოლი ერთერთი საუკეთესო იყო ეთერზეთების შემცველობით.

| ცხრილი # 34 დაფნის სრულმოსავლიანი პლანტაციების ფართობი და საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა აჭარაში რაიონების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაიონები | 1966 წ | | 1967 წ | | 1968 წ | |
| | ჰა | კგ/ჰა | ჰა | კგ/ჰა | ჰა | კგ/ჰა |
| ქობულეთი | 85 | 658 | 100 | 471 | 130 | 453 |
| ბათუმი | 56 | 1232 | 70 | 1051 | 89 | 741 |
| ქედა | 28 | 185 | 42 | 238 | 66 | 272 |
| შუახევი | - | - | - | - | 1,8 | - |
| ხულო | - | - | - | - | - | - |
| სულ | 169 | 691 | 212 | 587 | 286,8 | 489 |
| წყარო: ფუტკარაძე შ, თავდგირიძე გ, - ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1969,#4 ,გვ 79 | | | | | | |

| ცხრილი # 35 ეკოლოგიური ფაქტორების გავლენა დაფნის ფოთოლში ეთერზეთების შემცველობაზე | | | |
|---|---|---|---|
| ნაკვეთის მდებარეობა | ეთერზეთების შემცვე-ლობა % (საშუალო) | ნალექების რ-ობა სავე-გეტაციო პერიოდში | აბსოლუტური მინიმუმი |
| ჩაქვი | 2,96 | 2427 | -11 |
| ფოთი | 2,85 | 1639 | -11 |
| ზუგდიდი | 2.78 | 1501 | -17 |
| სოხუმი | 2.80 | 1330 | -12 |
| სოჩი | 2.69 | 1482 | -13 |
| შაუმიანი | 1.08 | 1766 | -29 |
| მაიკოპი | 0.95 | 744 | -34 |
| წყარო: Воронцов В.В – Биологические основы возделывания благородного лавра. 1979. Сочи стр. 127 | | | |

## ნედლეულის დღევანდელი სიტუაცია

საქართველოში მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში გააშენეს 3.2 ათასი ჰა. დაფნის სამრეწველო პლანტაცია რამაც ჯამში შეადგინა 6.2 ათასი ჰა. აქედან 50% საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიოდა.

2016 წლის მდგომარეობით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციის თანახმად საქართველოში დაფნა გაშენებულია 2,368.9 ჰექტარზე, მათ შორის აჭარის ა/რ-ში 24.9 ჰექტარზე, რაც შეადგენს მთლიანი ფართობის 1%. უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლიანობა გაცილებით დაბალია აღნიშნულ რეგიონში და შეადგენს 0.48 ტონას ჰექტარზე და შესაბამისად მთლიანი მოსავლის 0.27% აღემატება.

| ცხრილი # 36 ოპერატიული ინფორმაცია საქართველოში 2016 წელს დაფნის ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | რეგიონი | დაფნა | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | სამეგრელო - ზემო სვანეთი | 1825.50 | 3146.20 | 1.72 |
| 2 | იმერეთი | 374.54 | 657.70 | 1.80 |
| 3 | გურია | 144.00 | 544.50 | 3.78 |
| 4 | აჭარის ა/რ | 24.90 | 12.00 | 0.48 |
| **სულ** | | **2368.9** | **4360.4** | **1.8** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |




ზემოთაღნიშნული ფართობი და მოსავალი აჭარაში მოდის 2 მუნიციპალიტეტზე, ესენი არიან: ქობულეთი 21 ჰექტარი და 9.3 ტონა და ხელვაჩაური - 3.9 და 2.7.

| ცხრილი # 37 ოპერატიული ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2016 წელს დაფნის ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | მუნიციპალიტეტი | დაფნა | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | ქობულეთი | 21.0 | 9.3 | 0.4 |
| 2 | ხელვაჩაური | 3.9 | 2.7 | 0.7 |
| **სულ** | | **24.9** | **12.0** | **0.5** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ.

| ცხრილი # 38 ოპერატიული ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2016წელს დაფნის ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | ადმინისტრაციული ერთეული | დაფნა | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | დ.ოჩხამური | 1.9 | 0.5 | 0.3 |
| 2 | დ.ჩაქვი | 1.8 | 0.5 | 0.3 |
| 3 | ალამბარი | 0.7 | 0.6 | 0.8 |
| 4 | აჭყვისთავი | 0.8 | 0.2 | 0.3 |
| 5 | ბობოყვათი | 0.6 | 0.3 | 0.5 |
| 6 | გვარა | 0.8 | 0.5 | 0.6 |
| 7 | დაგვა | 0.5 | 0.4 | 0.8 |
| 8 | ზენითი | 0.9 | 0.3 | 0.3 |
| 9 | კვირიკე | 0.9 | 0.3 | 0.3 |
| 10 | ლეღვა | 0.8 | 0.3 | 0.3 |
| 11 | მუხაესტატე | 0.8 | 0.7 | 0.8 |
| 12 | საჩინო | 1.9 | 0.6 | 0.3 |
| 13 | ქაქუთი | 0.6 | 0.7 | 1.1 |
| 14 | ს.ქობულეთი | 0.8 | 0.6 | 0.7 |
| 15 | ჩაისუბანი | 0.8 | 0.6 | 0.7 |
| 16 | ციხისძირი | 0.9 | 0.5 | 0.6 |
| 17 | ჭახათი | 0.7 | 0.2 | 0.3 |
| 18 | ხალა | 0.6 | 0.2 | 0.3 |
| 19 | ხუცუბანი | 0.9 | 0.5 | 0.6 |
| 20 | წყავროკა | 0.9 | 0.4 | 0.3 |
| 21 | ქ.ქობულეთი | 2.4 | 0.4 | 0.2 |
| **სულ** | | **21** | **9.3** | **0.44** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შესახებ.

| ცხრილი # 39 ოპერატიული ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დაფნის ფართობის, მოსავლის და მოსავლიანობის შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| # | ადმინისტრაციული ერთეული | დაფნა | | |
| | | ფართობი (ჰა) | მოსავალი (ტონა) | საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე (ტონა) |
| 1 | ქვედა სალიბაური და სალიბაური | 2.4 | 1.7 | 0.7 |
| 2 | კაპრეშუმი | 0.3 | 0.2 | 0.5 |
| 3 | ორთაბათუმი და მასაური | 0.3 | 0.3 | 0.8 |
| 4 | ახალშენის მეურნეობა | 0.15 | 0.105 | 0.7 |
| 5 | მახო, სიმონეთი | 0.05 | 0.03 | 0.6 |
| 6 | აგარა, ზედა თხილნარი, მურმანეთი | 0.2 | 0.14 | 0.7 |
| 7 | თხილნარი, ომბოლო | 0.18 | 0.144 | 0.8 |
| 8 | აჭარისწყალი, მაღლაკონი | 0.012 | 0.0084 | 0.7 |
| 9 | მაჭახლისპირი, ხერთვისი, მირვეთი | 0.17 | 0.102 | 0.6 |
| 10 | მარადიდი, ძაბლავეთი | 0.03 | 0.021 | 0.7 |
| 11 | ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი | 0.1 | 0.06 | 0.6 |
| **სულ** | | **3.9** | **2.7** | **0.7** |
| წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | |

## 1.5.ბამბუკი

ბამბუკი სუბტროპიკულ რაიონებში ძვირფას მერქნიან მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის. ბამბუკის მკვრივი, მაგარი, ლამაზი და მსუბუქი მერქანი მრავალ დარგშია გამოყენებული. ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში და სხვა სუბტროპიკულ, ტროპიკულ ქვეყნებში ბამბუკის ღეროსგან მრავალ ნივთსა და ნაკეთობას ამზადებენ: ტალავერებს, ფანჩატურებს, კიბეებს, მსუბუქ ავეჯს; სკამებს, მაგიდებს, საწოლებს, სავარძლებს, პარკეტს. ბამბუკის ღერო დიდი რაოდენობით შეიცავს ცელულოზას, ჩინელები მისგან ამზადებენ მეტად ძვირფას ქაღალდს. ბამბუკის ტექნიკურად მწიფე 4 წლიანი ღერო სიმაგრით არაფრით არ ჩამოუვარდება ბზას, აკაციას, მუხას, წაბლს, წიფელს და სხვა. მართალია ბამბუკის ღერო ღრუა, მაგრამ მისი მუხლები და ღეროს შიგნით მოთავსებული დიაფრაგმები დიდ სიმტკიცეს აძლევს ღეროს. (წყარო: 1. ჩხაიძე გ.- სუბტროპიკული კულტურები, თბილისი 1996, ნაწილი 3, გვ.131. 2. დოღონაძე რ, კომახიძე ვ, ბერაია ი. -სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები თბილისი 1964, გვ 310.)

მეოცე საუკუნეში საქართველოში მრავალწლიან მერქნიან ტექნიკურ კულტურებს შორის ბამბუკს, დაკავებული ფართობებით და სახალხო სამეურნეო მნიშვნელობით საპატიო ადგილი ეკავა. მისი გავრცელების არეალი ნაკლებადაა შეზღუდული, ხოლო სამრეწველო კორომები შეიძლება გაშენდეს როგორც შავი ზღვისპირა ზოლში (კოლხეთის დაბლობი) ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, სადაც სხვა კულტურებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი ადგილებია.

ბამბუკის ახალგაზრდა ამონაყრებისგან, უმაღლესი ხარისხის ქაღალდს ამზადებენ, ხოლო მომწიფებული ღეროებიდან და სხვა ანარჩენებისგან იღებენ დაბალი ხარისხის ქაღალდს. ჩინეთში ბამბუკისგან ამზადებენ 90-მდე სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს. ჩვენს პირობებში 80-იან წლებში, ენგურის ქაღალდის კომბინატში ოქროსფერი ბამბუკის სახეობისგან მიღებულ იქნა უმაღლესი ხარისხის ქაღალდი.

ბამბუკის პლანტაციების ფართობებმა 50-იან წლებში 3000 ჰა-ს გადააჭარბა, მაგრამ შემდგომში თავი იჩინა გაშენების პირველ პერიოდში დაშვებულმა შეცდომებმა. მოვლის აგროტექნიკის დაბალმა დონემ, ნარგაობის უსისტემო და მტაცებლურმა ექსპლოატაციამ, გამოიწვია კორომების დასუსტება და ხშირ შემთხვევაში დაღუპვაც. (წყარო; კილასონია გ. - ბამბუკის კულტურა. 1996, ქუთაისი)

მეოცე საუკუნის ბოლოს ბამბუკის გამოყენება დაიწყეს ტექსტილის ინდუსტრიაში. კომპანიები გადამუშავებისას ბამბას სხვა ბოჭკოსთან ურევს, რათა შეარბილონ საბოლოო ტანსაცმელის მატერია. კალიფორნიაში არსებული კომპანიები (მაგ. „სინერჯი“) სთავაზობენ მომხმარებელს ორგანული ბამბის ნაზავს, რომელიც შეიცავს კანაფს და ბამბუკს და ზოგადად ინდუსტრია მიისწრაფის ეკო მეგობრული მცენარეული ბოჭკოების გამოყენებისკენ, რომელსაც გარემოზე ნაკლებად მავნე ზემოქმედება აქვთ. თუმცა ბამბუკის პოზიციები ტექსტილის საწარმოო ნედლეულად გამოყენების მიზნებისთვის შესუსტდა ბოლო პერიოდში, აღმოჩნდა რომ მის დაგრეხვას გადამუშავებისას ხელოვნური აბრეშუმისა და ვისკოზას მსგავსად დიდი

რაოდენობით ქიმიური გამხსნელები ესაჭიროება. (წყარო: http://www.economy.ge/uploads/gidg/teqstilis_sacarmo_1.pdf)

ბამბუკს სწრაფ ზრდაში ვერ შეედრება ვერც ერთი მცენარე. ჩვენს პირობებში 20 მეტრამდე, ხოლო თავის სამშობლოში 40 მეტრამდე სიმაღლეს აღწევს. ცნობილია, რომ ზოგიერთი სახის ბამბუკი საათში 2,5-3,4, ხოლო დღეღამის განმავლობაში 38-81 სმ-ს იზრდება. ერთხელ გაშენებული ბამბუკის პლანტაცია 60-80 და მეტი წლის განმავლობაში იძლევა პროდუქციას და გაშენებიდან 5-6 წლის შემდეგ ყოველწლიურად 1 ჰა-ზე შეიძლება მოგვცეს 1500-5000 ცალამდე ღერო.

საქართველო საბჭოთა კავშირში ერთადერთი რესპუბლიკა იყო სადაც ბამბუკს სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა. 1960-1970 წლებში ამზადებდნენ 1 მილიონზე მეტ ბამბუკის ღეროს, თუმცა მოთხოვნილება მასზე გაცილებით მეტი იყო.

საქართველოში ბამბუკი პირველად გაშენდა შავი ზღვის სანაპიროზე ჩაქვსა და სალიბაურში. ის შემოიტანა ი.ნ. კლინგენმა 1896 წელს. მანვე საფუძველი ჩაუყარა ბამბუკის კულტურის სამრეწველო გაშენებას ჩვენს ქვეყანაში. უკვე 1930 წელს ნარგაობით დაკავებული იყო 169 ჰა. 1940 წელს 839, ხოლო 1958 წელს ჩატარებული პასპორტიზაციით ბამბუკის ნარგაობამ ყველა სექტორში შეადგინა 874 ჰექტარი.

**ცხრილი # 40 ბამბუკის რენტაბელობის დონე საბჭოთა მეურნეობებში (1970წ)**

| # | საბჭ. მეურნ დასახელება | მიღებულია რეალიზაციით მან | რელიზებული პროდუქცის თვითღირებულ. | მოგება მანეთი | რენტაბელობის დონე % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ციხისძირი | 14617 | 6565 | 8051 | 122,9 |
| 2 | ცეცხლაური | 6300 | 2660 | 3640 | 136,8 |
| 3 | ურეკი | 24300 | 7978 | 16322 | 204,6 |
| 4 | ლაითური | 16700 | 11980 | 4720 | 39,3 |
| 5 | თხილნარი | 10000 | 4517 | 5483 | 121,3 |
| 6 | დიდიჭყონი | 5600 | 3075 | 2525 | 82,1 |
| წყარო: სურგულაძე გ.მ. - ბამბუკის კულტურის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ჟ.სუბტროპიკული კულტუები 1972,#3, გვ.134 | | | | | |

1969 წელს ჩატარდა ბამბუკის ნარგაობების პასპორტიზაცია, რომლის შესაბამისად რესპუბლიკაში ბამბუკის ნარგაობამ შეადგინა სულ 766 ჰა, რაც 1958 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით 108 ჰექტრით ნაკლებია.

| ცხრილი # 41 ბამბუკის პლანტაციის ფართობები 1969 წლის პასპორტიზაციით (ჰა) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავტ. რესპუბლ. და რაიონების დასახელება | სულ | მათ შორის | | | | |
| | | საბჭ. მეურნ | კოლმეურ ნ. | სატყეო მეურნ. | სხვა ორგანიზ | საკარმ იდამო |
| ხელვაჩაური | 39,3 | 29,2 | 3,4 | | 6,4 | 0,3 |
| ქობულეთი | 232,4 | 128,7 | 33,0 | 68,1 | 2,6 | - |
| სულ აჭარაში | 271,7 | 157,9 | 36,4 | 68,1 | 9.0 | 0,3 |
| გაგრა | 15,4 | 10 | 2,6 | 0,9 | 0,4 | 1,5 |
| გუდაუთა | 2,65 | 2,5 | - | - | 0,05 | 0,1 |
| სოხუმი | 15,6 | - | 0,6 | - | 15,0 | - |
| გულრიფში | 27,7 | 23,7 | 0,1 | 0,3 | 3,0 | 0,6 |
| ოჩამჩირე | 3,5 | 1,0 | 0,4 | - | 2,0 | 0,1 |
| გალი | 55,0 | 45,0 | 5,3 | - | - | 4,7 |
| სულ აფხაზეთში | 119,85 | 82,2 | 9,0 | 1,2 | 20,45 | 7,0 |
| მახარაძე | 152,2 | 107,5 | 35,2 | - | 5,0 | 4,5 |
| ლანჩხუთი | 30,1 | 5,0 | 15,1 | - | - | 10,1 |
| ზუგდიდი | 56,0 | 46,1 | 2,4 | - | 0,2 | 7,3 |
| წალენჯიხა | 50,6 | 50,2 | 0,4 | - | - | - |
| ჩხოროწყუ | 6,8 | 6,2 | 0,3 | - | - | 0,3 |
| ხობი | 22,8 | 19,4 | - | 0,1 | 1,8 | 1,5 |
| ცხაკაია | 12,0 | 12,0 | - | - | - | - |
| გეგეჭკორი | 26,3 | 24,6 | - | - | 1,5 | 0,2 |
| ლაგოდეხი | 8,2 | - | -- | 8,2 | - | - |
| თელავი | 2,0 | - | - | 2,0 | - | - |
| ყვარელი | 4,1 | - | - | 4,1 | 3,5 | - |
| წულუკიძე | 3,5 | - | - | - | 3,5 | - |
| **სულ** | **766,15** | **511,1** | **98,8** | **83,7** | **41,45** | **31,1** |
| წყარო: 1969 წელს ჩატარდა ბამბუკის ნარგაობების პასპორტიზაცია | | | | | | |

| ცხრილი # 42 ბამბუკის ნარგაობა სახეების მიხედვით (ჰა) 1969წ | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | მთლიანი ფართობი | მათ შორის | | | | | | |
| | | იაპონური მადაკე | ჩინური მადაკე | მოსო | მომწვანო მოცისფრ | ხაჩიკუ | ოქროს ფერი | სხვა |
| კოლმეურნ. | 98,8 | 37,1 | 46,5 | 4,7 | 9,8 | 0,1 | 0,6 | - |
| საბჭ. მეურნ | 511,1 | 189,3 | 219,5 | 21,5 | 53,9 | 10,7 | 7,2 | 9,0 |
| სატყ. მეურნ | 83,5 | 24,5 | 45,0 | - | 2,5 | 8,0 | 3,5 | - |
| სხვა მეურნ | 41,6 | 7,7 | 4,7 | 7,6 | 10,8 | 5,6 | 2,6 | 2,6 |
| საკარმოდამო | 31,1 | 9,2 | 13,3 | 1,6 | 3,3 | - | 0,1 | 3,6 |
| **სულ** | **766,1** | **267,8** | **329** | **35,4** | **80,3** | **24,4** | **14,0** | **15,2** |
| წყარო: 1969 წელს ჩატარდა ბამბუკის ნარგაობების პასპორტიზაცია | | | | | | | | |

როგორც ცხრილიდან ჩანს რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი ნარგაობა აქვს ქობულეთს, სადაც გაშენებულია 232,5 ჰა. მთელი ნარგაობის 30,3%, მახარაძის რაიონს 152 ჰა 19,9%, ზუგდიდის რაიონს 56,0 ჰა 7,3 %, წალენჯიხას 50,6 ჰა 6,6 %. სახეობების

მიხედვით ჩინური მადაკეს ხვედრითი წილი შეადგენს 43,7 %, იაპონური მადაკეს წილი 35 %. (წყარო: სურგულაძე გ.მ. - ბამბუკის კულტურის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ჟ.სუბტროპიკული კულტუები 1972,#3, გვ.135)

| ცხრილი # 43 ბამბუკის ნარაგობათა ფართობი აჭარაში მეურნეობების მიხედვით 1969 წ | | |
|---|---|---|
| # | მეურნეობა | საერთო ფართობი ჰა |
| 1 | ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა | 59,6 |
| 2 | ჩაქვის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | 3,33 |
| 3 | ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | 19,0 |
| 4 | ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა | 20,76 |
| 5 | ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობა | 8,8 |
| 6 | ქობულეთის სატყეო მეურნეობა | 68,0 |
| 7 | მუხაესტატეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | 11,03 |
| 8 | თხილნარის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | 10,4 |
| 9 | გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | 2,9 |
| 10 | მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა | 4,9 |
| 11 | სხვა მეურნეობები | 72,96 |
| **12** | **სულ** | **281,68** |
| წყარო: კუტუბიძე ვ. - ბამბუკის ყვავილობა, ჟ სუბტროპიკული კულტურები 1969, #4, გვ.86 | | |

საქართველოში ბამბუკის ძირითადი მწარმოებელია აჭარა, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი. მისი გაშენების დიდი პერსპექტივებია კოლხეთის დაბლობის ასათვისებულ მიწებზე, ასევე კახეთში და ალაზნის სანაპირო ზონაში.

| ცხრილი # 44 სხვადასხვა სახეობის ბამბუკის ზრდის დინამიკა (სმ) 1981წ | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თარიღი/ სახეობა | 30/04 | 10/05 | 20/05 | 30/05 | 10/06 | 20/06 | 30/06 | 10/07 | 20/07 | 30/07 | 10/08 | 20/08 |
| ჩინური მადაკე | - | 49,0 | 120,6 | 208,0 | 333,0 | 397,2 | 473,4 | 552,6 | 568,6 | 652,6 | 652.6 | - |
| იაპონური მადაკე | - | - | 37,0 | 114,6 | 140,0 | 281,0 | 365,0 | 513,0 | 545,6 | 564,4 | 621,6 | 621,6 |
| მწვანე-ცისფერი | 98,0 | 218,0 | 460,0 | 681,0 | 833,0 | 909,0 | 921,8 | 921,8 | - | - | - | - |
| ოქროს ფერი | - | - | 16,6 | 97,0 | 187,0 | 314,0 | 528,0 | 657,0 | 732,8 | 736,0 | - | - |
| წყარო; კილასონია გ. - ბამბუკის კულტურა. 1996, ქუთაისი | | | | | | | | | | | | |

| ცხრილი # 45 სხვადასხვა სახეობის ბამბუკის ბიომეტრიული მაჩვენებლები (1983წ) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახეობა/ მაჩვენებელი | ჩინური მადაკე | იაპონური მადაკე | მწვანე-ცისფერი | ოქროს ფერი | მოსო | ქართული |
| მცენარის საშუალო სიმაღლე სმ | 610 | 680 | 902 | 500 | 900 | 600 |
| ღეროს საშუალო წონა კგ | 1,390 | 1,650 | 3,3 | 1,102 | 4,6 | 1,340 |
| ღეროების რაოდენობა 1 ჰა-ზე | 5600 | 5500 | 5000 | 5200 | 4500 | 5400 |
| ღეროების სიგრძე მეტრი/ჰაზე | 34160 | 35750 | 45100 | 26000 | 40500 | 32400 |
| წყარო; კილასონია გ. - ბამბუკის კულტურა. 1996, ქუთაისი | | | | | | |

როგორც ცხრილიდან ჩანს ბამბუკის საჰექტარო მოსავლიანობა დამოკიდებულია სახეობების თავისებურებაზე. კერძოდ; ღეროების რაოდენობა ყველაზე მეტია ჩინური მადაკესა (5600ცალი) და იაპონურ მადაკეს (5500ცალი) შემთხვევაში, ხოლო ღეროს სიგრძე 1 ჰა-ზე გაანგარიშებით ყველაზე მაღალია მწვანე-ცისფერისა (45100მ) და მოსოს (40500მ) შემთხვევაში.

ბამბუკის ექსპორტი ალექსეევის ვ.პ. მონაცემებით 1954 წლისთვის არ განხორციელებულა, მომდევნო წლებშიც ძირითადად ბამბუკს ადგილობრივი მრეწველობის სხვადასხვა დარგები იყენებდნენ, სოფლის მეურნეობაში ჭიგოების სახით. მხოლოდ ავეჯის საწარმოებლად მცირე პარტიებით გადიოდა მოძმე რესპუბლიკებში.

**ფართობების დღევანდელი სიტუაცია**

1969 წელს ჩატარდა ბამბუკის ნარგაობების პასპორტიზაცია, რომლის შესაბამისად რესპუბლიკაში ბამბუკის ნარგაობამ შეადგინა სულ 766 ჰა.

ამჟამად ძალიან მცირეა ბამბუკის ნარგაობა აჭარაში, ერთეულებს მოყავთ, მათ შორის:

ქობულეთელი ელგუჯა გოგმაჩაძე 2006 წლიდან ბამბუკის მოყვანით, დამუშავებითა და რეალიზაციითაა დაკავებული. მეწარმეს კარმიდამოში მრავალწლიანი ნარგავები აქვს და მისგან დამზადებულ სხვადასხვა სახის ნივთს, როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზარზე ყიდის. მეწარმე ამჟამად რუსეთსა და ბელარუსში ექსპორტზეა გადართული.

ბათუმელი თემურ ურუშაძე და ირაკლი რომანაძეც წლებია, რაც ბამბუკის ბიზნესითა არიან დაკავებულნი. პლანტაციებს თავად არ ფლობს, პროდუქციას ადგილობრივი გლეხებისგან ყიდულობს და მისგან დამზადებული ნივთები ექსპორტზე თურქეთში გააქვს.

## 1.6.აბრეშუმის პარკი

საქართველოში, მეაბრეშუმეობა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ქვეყნის განმტკიცების, მიწისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების გადიდების წყარო, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში და მუდმივი ზრუნვის საგანი. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამუშავება და ქსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა. მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი პატივისცემით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა. საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა აბრეშუმის პარკი, გრენი, აბრეშუმის ხამი ძაფი, ქსოვილი და სხვა ნაწარმი.

საქართველოში, მეაბრეშუმეობამ წარმატებით გაუძლო თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის ქარტეხილებს, კარგად მიესადაგა ქართველი კაცის ბუნებას და შეისისხლხორცა იგი. მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა ერის ძლიერების წყაროს და მუდმივი ზრუნვის საგანს, რამაც განაპირობა მისი ზიგზაგებით, მაგრამ მაინც აღმავლობით განვითარება. ამასთან, იხვეწებოდა აბრეშუმის ჭიის მოვლის წესები, პარკის წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგია და საბოლოო პროდუქციის წარმოება.

ქართული აბრეშუმი, დიდი სიყვარულით სარგებლობდა საერთაშორისო არენაზე. ქვეყანაზე გამავალი დიდი საქარავნო გზები, ერთმანეთს აკავშირებდა იმდროინდელ სავაჭრო ცენტრებს-ჩინეთს, ირანს, ბიზანტიას და სხვა ქვეყნებს.

საუკუნეთა მანძილზე, მეაბრეშუმეობის განვითარების ამსახველი მასალები და უცხოურ მოგზაურთა მწირი ცნობების მიუხედავად, საქვეყნოდ აღიარებულმა მკვლევარებმა (ისტორიკოსები, ეკონომისტები) მაინც შეძლეს საერთო კანონზომიერების დადგენა. მეაბრეშუმეობაში, ჩატარებული მუშაობის შედეგად XVIII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოდან საექსპორტოდ ევროპაში გაჰქონდათ აბრეშუმი, უპირატესად ძაფად და აბრეშუმის ჭიის თესლის სახით (წყარო; კალაძე ა.- მეაბრეშუმეობა და სააბრეშუმო წარმოება საქართველოში, თბილისი 1928 გვ 42, 148-152) . ამასთან, პარკის საშუალო წარმოება შეადგენდა 350-400 ათას ფუთს, რაც სარეკორდოდ ითვლება დღემდე.

XIX საუკუნის ბოლო პერიოდში, ბათუმსა და ბათუმის ოლქში მეაბრეშუმეობის განვითარების მცდელობას პირველ ხანებში დიდი წარმატება არ მოჰყოლია, თუმცა, შემდგომი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები მომზადდა. აგრონომ ე. კლინგენის მონაცემებით 1896-1900 წლებში ჩაქვის საუფლისწულო მამულში, მთა ეწერის დასავლეთ ფერდობზე გაშენდა თუთის ფართომასშტაბიანი ნარგაობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეაბრეშუმეობის გავრცელებას. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დახმარებით 1901 წელს აბრეშუმის ჭიის გამოკვება ჩატარდა ბათუმის საოლქო სასწავლებელში, ქობულეთის, ქედის და ხულოს რაიონებში. ამასთან, საკვები ბაზის განმტკიცებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით, თუთის ნერგები უსასყიდლოდ გადაეცა ბათუმის სასწავლებელს 180 ძირი, ქედის სასწავლებელს 100 ძირი, ხულოს საზოგადოებას 200 ძირი და ქობულეთის საზოგადოებას 300 ძირი. ამასთან, 1909-1913 წლებში

ქობულეთში აიგო ორთქლის ღუმელი და პარკსაშრობი ფარდული, სადაც გადასამუშავებლად შეიტანეს ადგილობრივი წარმოების 16 ტონა პარკი. ამ ღონისძიებების განხორციელებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა მოსახლეობის მეაბრეშუმეობით დაინტერესების საქმეში. აჭარაში მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხის განხილვისას გვერდს ვერ აუვლით იმასაც, რომ თურქეთიდან, საბერძნეთიდან და საფრანგეთიდან ამიერკავკასიაში (ირანში, თურქისტანში) იმპორტირებული გრენა თითქმის მთლიანად ბათუმის პორტიდან შემოდიოდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებამდე მთიან აჭარაში (ხულო, შუახევი) მეაბრეშუმეობა საერთოდ არ იყო განვითარებული, ხოლო დაბლობ ზონაში უკეთესი მდგომარეობა იყო. ამ რეგიონში მეაბრეშუმეობის განვითარებით დაინტერესებული იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორიც, რომლის თხოვნითაც კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურმა ზემო აჭარაში მიავლინა ინსპექტორი ზ. პროლეპკო, რომელიც ადგილზე მისვლით უწევდა პრაქტიკულ დახმარებას მეაბრეშუმეობით დაინტერესებულ ოჯახებს. სოფელ ხულოში მოღვაწეობდა სამხედრო პიროვნება, უბნის უფროსი, ვინმე რიხტერი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა რეგიონში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. იგი არა მარტო თუთის ნარგაობის გავრცელებაზე ზრუნავდა, არამედ დიდი ამაგი დასდო მოსახლეობაში მეაბრეშუმეობით დაინტერესებას. მან 1901 წელს კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურიდან შეიძინა 1 კოლოფი გრენა, საიდანაც ნაწილი მისცა გლეხობას, ხოლო ნაწილი გამოკვება თვითონ ცოლისა და ჩაფრების დახმარებით.

მთიან აჭარაში, მეაბრეშუმეობა შედარებით უკეთესად იყო განვითარებული ქედაში, სადაც გრენის წარმოება-გაცოცხლება, გამოკვება ოჯახურ პირობებში ტარდებოდა. 1901 წელს, ვაჭრებმა იქაც შეიტანეს გრენა და დაურიგეს მოსახლეობას გარიგებით-მიღებული მოსავლის მესამედის საფასურად, რაც კაბალური იყო. მეაბრეშუმეები, პრიმიტიული წესით ოჯახშივე აწარმოებდნენ პარკის ამოხვევას-ქსოვდნენ თავსაფრებს, ცხვირსახოცებს და სხვა ნაკეთობებს, რაც სარფიანი საქმე იყო.

1923 წელს მეაბრეშუმეებს უსასყიდლოდ გადაეცათ 100 კოლოფი გრენა და გაეწიათ კვალიფიციური დახმარება. 1927 წელს კი ციხისძირში მოეწყო მეაბრეშუმეობის კეთილმოწყობილი ბაზა, აღნიშნულ პერიოდში, პირველად აჭარაში (ჩაქვში) მოეწყო აბრეშუმსახვევი სახელოსნო, ხოლო ქობულეთში პარკის საშრობ-სახვევი და დამხმარე საწარმოები, რომლებიც იმ დროისათვის უახლესი ტექნიკით იყო აღჭურვილი.

საქართველოში, თუთის დაავადება-ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელებამდე (1964) მეაბრეშუმეობის სისტემაში წარმოებული იყო: 4,0-4,3 ტ. ცოცხალი პარკი, 4,0-4,5 ტ. გრენი, 450-500 ტ. აბრეშუმის ხამი ძაფი, 4,5-5,0 მილიონი მეტრი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი და სხვა პროდუქცია, რომელთა რეალიზაციით წარმატებით ივსებოდა ყველა დონის ბიუჯეტი და სოფელიც ძლიერი იყო.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1960 წელს გამოიკვება 1731 კოლოფი ჭია და წარმოებული იყო 55,2 ტ. პარკი , შესაბამისად გამოკვებილი კოლოფი ჭია შეადგენდა ქვეყნის ჯამური მაჩვენებლის 1,3 %-ს, ხოლო წარმოებული პარკი

რესპუბლიკის შესაბამისი ჯამური მაჩვენებლის 1,6 %-ს, რაც უდაოდ დიდი წარმატება იყო. სამწუხაროდ, სწორედ ამ ეტაპზე გავრცელდა თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭე, რომელმაც გაანადგურა 15,0 მილიონ ძირზე მეტი ჯიშიანი თუთის მცენარე (მ.შ. აჭარაში 260 ათასი ძირი), რამაც სხვა (სუბიექტურ) ფაქტორებთან ერთად სავალალო შედეგი მოგვცა. სადღეისოდ, მეაბრეშუმეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი განადგურებულია და თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი.

აჭარაში, მეაბრეშუმეობის განვითარების საერთო ფონზე გამოირჩეოდნენ ქობულეთის მაზრის მეაბრეშუმეები, რომელთაც აბრეშუმის ჭიის მოვლის გარკვეული ჩვევები ჰქონდათ მიღებული მეზობელი ოზურგეთის მაზრის მეაბრეშუმეებისაგან. ამასთან, დარგის განვითარებას ხელს უწყობდა საკვები ბაზის განმტკიცება თუთის ნარგაობების გაფართოვებით.

მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის განმტკიცებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XX საუკუნის 30-იან წლებში და მნიშვნელოვანი წარმატებებიც იქნა მოპოვებული. ასე მაგალითად, თუ 1932 წელს საქართველოში 4,500 ათასი ძირი მცენარე იყო, 1936 წელს 11153,3 ათას ძირს მიაღწია. 1937-1940 წლებში დაირგა 6,5 მილიონი ძირი თუთის ხე, თუმცა სამამულო ომის პერიოდში დიდი რაოდენობით განადგურდა და მისი მოცულობა 1946 წელს ისევ 8364 ათას ძირამდე შემცირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1956-1965 წლებში მეთუთეობის განვითარების ტემპები საქართველოში და ბუნებრივია აჭარაშიც, უფრო დაბალი იყო, ვიდრე წინა ათწლეულში.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მეაბრეშუმეობის აღმავლობა ქვემოთ მოყვანილი მასალებითაც დასტურდება. ასე მაგალითად, 1928 წელს 1,0 კოლოფი გრენიდან გამოსავლიანობა შეადგენდა: ოზურგეთის მაზრაში 19,0 კგ; ზუგდიდის მაზრაში 16,5 კგ; ქუთაისის მაზრაში 21,0 კგ; ქობულეთის მაზრაში 18,0კგ. ავტონომიურ რესპუბლიკაში 1927 წელს წარმოებული პარკის რაოდენობა შეადგენდა 10,5 ტ, ხოლო ფულადი შემოსავალი 26,0 ათას მანეთს. 1928 წელს შესაბამისად 15,3 ტონასა; 1929 წელს 36,0 ტონას; 1930 წელს 45,0 ტონას. ოცდაათიანი წლების შემდგომ პერიოდში, სუბტროპიკული მეურნეობისა და მეთამბაქოეობის არნახული ტემპების გადიდებისა, მეაბრეშუმეობა მაინც აღმავლობით ვითარდებოდა და 1931-1936 წლებში მიღწეული წარმატებები თვალსაჩინო გახდა, ხოლო 1960 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში 55,3 ტონამდე გაიზარდა.

| ცხრილი # 46 მეაბრეშუმეობის განვითარების მაჩვენებლები 1931-1936 წლებში | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაჩვენებლები | დასახელება | წლები | | | | | |
| | | 1931 | 1932 | 1933 | 1934 | 1935 | 1936 |
| რეალიზებული გრენა (ათასი კოლოფი) | საქართველოში | 93,0 | 90,0 | 88,0 | 88,0 | 80,5 | 89,4 |
| | აჭარის ა.რ. | 0,84 | 0,78 | 0,70 | 0,69 | 0,54 | 0,66 |
| | % რესპუბლიკასთან | 0,9 | 0,93 | 0,81 | 0,80 | 0,70 | 0,74 |
| წარმოებული პარკი (ტ) | საქართველოში | 1871,3 | 1228,9 | 2021.0 | 2245,1 | 2252,8 | 3127,2 |
| | აჭარის ა.რ. | 8,8 | 10,4 | 15,4 | 17,0 | 18,25 | 26,2 |
| | % რესპუბლიკასთან | 0,5 | 0,82 | 0,76 | 0,75 | 0,81 | 0,83 |
| 1 კოლოფი გრენი-დან პარკის მოსავიანობა (კგ) | საქართველოში | 20,1 | 13,6 | 22,9 | 25,5 | 31,7 | 37,9 |
| | აჭარის ა.რ. | 10,5 | 13,2 | 22,0 | 24,5 | 33,9 | 39,4 |
| | % რესპუბლიკასთან | 52,0 | 97,0 | 96,0 | 96,0 | 107,0 | 104,0 |

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რეალიზებული გრენის რაოდენობა და პარკის წარმოება ქვეყნის შესადარი მაჩვენებლის 1%-ის ფარგლებში მერყეობდა. ამასთან, აბსოლუტურ მაჩვენებლებში პარკის წარმოებამ 1936 წელს 26,2 ტონას მიაღწია, რაც დიდი წარმატება იყო. ამასთან, 1935 და 1936 წლებში ერთი კოლოფი ჭიიდან პარკის მოსავლიანობა შესაბამისად 7,0 და 4,0% აღემატებოდა რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს, რაც დარგის განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობაზე მეტყველებდა.

| ცხრილი # 47 აჭარის ა/რ მეაბრეშუმეობის ზოგიერთი მაჩვენებლები (1936 წელი) | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაჩვენებლები | აჭარის ა.რ. | მათ შორის | | |
| | | ქობულეთის რაიონი | ბათუმის რაიონი | ქედის რაიონი |
| რეალიზებული გრენა (კოლოფი) | 664 | 479 | 141 | 44 |
| | %, 100 | 72.1 | 21,2 | 6,7 |
| წარმოებული პარკი (ცენტნერი) | 261,1 | 202,0 | 56,8 | 2,1 |
| | %, 100 | 77,5 | 22,0 | 0,5 |
| პარკის მოსავლიანობა 1,0 კოლოფი გრენიდან კგ | 39,4 | 42,2 | 41,0 | 6,4 |
| | %, 100 | 108,1 | 104,0 | 16,0 |
| მეაბრეშუმეობაში მონაწილე კომლთა რაოდენობა | 1 182 | 773 | 269 | 140 |
| | %, 100 | 65,4 | 22,5 | 12,1 |
| 1 კომლის დატვირთვა გრენით (გრ) | 0,5 | 0,6 | 0,5 | 0,3 |
| | % 100 | 120,0 | 100,0 | 60,0 |

მეაბრეშუმეობის განვითარების თვალსაზრისით წამყვანი ადგილი ეკავა ქობულეთის რაიონს, მეორე იმდროინდელ ბათუმის რაიონს, ხოლო ქედაში უფრო

სუსტად იყო წარმოდგენილი, თუმცა პროცენტულად საქართველოს საშუალო მონაცემებში მისი ხვედრითი წილი შეადგენდა: რეალიზებული გრენის რაოდენობაში 0,7 %; წარმოებული პარკის რაოდენობაში 0,8 %; პარკის მოსავლიანობა 1 კოლოფი ჭიიდან 104 %.

| ცხრილი # 48 აჭარის ა.რ. თუთის ნარგაობის მაჩვენებლები 1936 წლის | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნარგაობის ტიპი | სულ აჭარის ა.რ. (ათასი ძირი) | მათ შორის (ათასი ძირი) | | |
| | | ქობულეთის რაიონი | ბათუმის რაიონი | ქედის რაიონი |
| საკვები,<br>მ.შ. საკარმიდამო ნაკვეთებზე | 24,5<br>23,0 | 16,0<br>15,5 | 8,5<br>7,4 | აღწერა არ ჩატარებულა |
| სანაყოფე (ხეხილოვანი),<br>მ.შ. საკარმიდამო ნაკვეთებზე | 7,2<br>7,0 | 4,0<br>3,8 | 3,2<br>3,2 | “ ---------- “ |
| ხეივანი,<br>მ.შ. საკარმიდამო ნაკვეთებზე | 9,0<br>8,8 | 8,2<br>8,0 | 0,8<br>0,8 | “ ---------- “ |
| სულ,<br>მ.შ. საკარმიდამო ნაკვეთებზე | 40,7<br>38,8 | 28,2<br>27,5 | 12,5<br>11,3 | “ ---------- “ |

ქობულეთის რაიონში 1936 წელს საკვები ბაზის 97,1% მოდიოდა საკარმიდამო სექტორში, ხოლო საკოლმეურნეოში 2,9%. ამასთან, ქობულეთის რაიონში მოდიოდა. ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული თუთის საერთო რაოდენობის 70,0%. აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში მონაწილეობდა რაიონის ყველა სასოფლო საბჭო და 780 კომლი, მათ შორის წამყვანი ადგილი ეკავათ ხუცუბნის, ლეღვას და მუხაესტატეს სასოფლო საბჭოებს. რაიონში დარიგდა სულ 479 კოლოფი ჭია, თითოეული კოლოფიდან მიიღეს 42,2 კგ და დაამზადეს 20,2 ტონა ცოცხალი პარკი, რაც შეადგენდა რესპუბლიკის შესადარი მაჩვენებლის 0,6%, ხოლო მოსავლიანობა 7,0%-ით აღემატებოდა. პარკის პირველადი დამუშავება ტარდებოდა ქობულეთში, რომელიც იმ დროს აღჭურვილი იყო შესაბამისი ტექნიკით.

ბათუმის რაიონში თუთის საერთო რაოდენობა შეადგენდა 12,4 ათას ძირს. მათ შორის საკვები ნარგაობა შეადგენდა 70%, სანაყოფე 26,0%, ხეივანი 4,0%, რაც ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე იყო გავრცელებული. დარიგდა 141 კოლოფი გრენა, გამოკვებაში მონაწილეობდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 5,3 %, სულ დამზადდა 5 683 კგ პარკი, რაც შეადგენდა რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლების 0,2%, მოსავლიანობა 1 კოლოფი ჭიიდან შეადგენდა 41 კგ-ს, რაც ავტონომიური რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს აღემატებოდა 2,0 %, ხოლო საქართველოს 5,2%-ით. პარკი პირველადი დამუშავებისათვის იგზავნებოდა ქობულეთში.

ქედის რაიონში მეაბრეშუმეობა ძალიან სუსტად იყო განვითარებული. საკვები ბაზა წარმოდგენილი იყო ერთეული ნარგაობის სახით. მეაბრეშუმეობა

გავრცელებული იყო 5 სასოფლო საბჭოს (პირველი მაისი, ზვარი, ქედა, მერისი, ცხომორისი) მოსახლეობაში. მეაბრეშუმე კომლთა რაოდენობა შეადგენდა 140-ს, სულ დარიგდა 44 კოლოფი ჭია, ანუ 1,0 კომლზე 0,3 კოლოფი. ერთი კოლოფი ჭიიდან მიიღეს 6,4 კგ და დამზადდა სულ 281,6 კგ პარკი.

წლიურად ფოთლის მოსავალი ერთ ჰექტარზე თუთის ბუჩქოვანი პლანტაციიდან შეადგენდა 9-10 ტონას, ხოლო შტამბიანი ზრდასრული ერთი მცენარიდან 10-15 კილოგრამს. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1966 წლის მონაცემებით ქობულეთის რაიონში იყო 40 ჰა თუთის პლანტაცია (400-500 ტონა ფოთოლის მოსავალი), ბათუმის რაიონში 17 ჰა. (170-200 ტონა ფოთოლის მოსავალი). თუთის წარმოება სოფლებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დანართში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1940 წელს წარმოებული იყო 33,7 ტონა პარკი, 1960 წელს 55,2 ტონა, ხოლო 1965 წელს 71,5 ტონას მიაღწია, საიდანაც 64,0% ქობულეთის რაიონზე მოდიოდა.

საქართველოში, 1960 წელს გამოიკვება 135463 კოლოფი მური, დამზადდა 3663,0 ტონა პარკი და 1 კოლოფი ჭიიდან მიიღეს მხოლოდ 27,0 კგ, რაც მეტად დაბალია, თუმცა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო მეაბრეშუმეობის ისეთ ძირძველ რაიონებში როგორიცაა: აბაშა, ხობი, ბოლნისი, მარნეული, ხონი და ა.შ. ამ ფონზე ნამდვილად დიდი წარმატებაა მეაბრეშუმეობის არატრადიციული რეგიონის (აჭარის) მიერ 1 კოლოფი ჭიიდან 32,0 კგ პარკის მიღება, რაც 12%-ით აღემატებოდა რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებს. ამასთან, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებს კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდათ.

**ცხრილი # 49 გრენის რეალიზაცია, პარკის წარმოება და მოსავლიანობა 1960 წლის მდგომარეობით**

| # | ავტონომიური რესპუბლიკები, რეგიონები, რაიონები | გრენის რეალიზაცია (კოლოფი) | პარკის წარმოება (ტონა) | პარკის მოსავლიანობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | აბაშა | 5663 | 127,6 | 22,5 |
| 2 | სენაკი | 6258 | 160,5 | 26,0 |
| 3 | მარტვილი | 6610 | 208,6 | 31,5 |
| 4 | ზუგდიდი | 9221 | 246,5 | 27,0 |
| 5 | ხობი | 4773 | 112,4 | 23,5 |
| 6 | წალენჯიხა | 334 | 98,2 | 29,4 |
| 7 | ჩხოროწყუ | 4489 | 114,7 | 25,5 |
| I | სულ სამეგრელოს რეგიონში | 40356 | 1068,5 | 26,5 |
| | რეგიონის% რესპუბლიკის მიმართ | 30,0 | 29,3 | 98,1 |
| 8 | ოზურგეთი | 5063 | 248,2 | 49,0 |
| 9 | ლანჩხუთი | 7195 | 249,1 | 34,6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10 | ჩოხატაური | 4589 | 125,6 | 27,3 |
| II | სულ გურიის რეგიონში | 16847 | 623,9 | 37,0 |
| | რეგიონის% რესპუბლიკის მიმართ | 12,4 | 17,0 | 137,0 |
| 11 | ხარაგაული | 731 | 26,5 | 36,2 |
| 12 | ზესტაფონი | 2132 | 90,8 | 42,2 |
| 13 | თერჯოლა | 2779 | 151,0 | 54,3 |
| 14 | ჭიათურა | 226 | 5,7 | 25,2 |
| 15 | საჩხერე | 500 | 17,5 | |
| 16 | ტყიბული | 353 | 17,5 | 35 |
| 17 | წყალტუბო | 6100 | 194,4 | 32,8 |
| 18 | სამტრედია | 5563 | 220,0 | 26,2 |
| 19 | ხონი | 1689 | 206,4 | 23,2 |
| 20 | ვანი | 37361 | 125,5 | 22,5 |
| 21 | ბაღდადი | 27,6 | 26,4 | 15,6 |
| III | სულ იმერეთის რეგიონში, | 37361 | 945,8 | 25,3 |
| | რეგიონის% რესპუბლიკის მიმართ | 27,6 | 26,0 | 93,7 |
| 22 | ცაგერი | 958 | 318,6 | 33,2 |
| 23 | ამბროლაური | 1047 | 178,0 | 17,0 |
| 1V | სულ რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში | 2005 | 49,6 | 24,8 |
| | რეგიონის% რესპუბლიკის მიმართ | 1,5 | 1,4 | 91,8 |
| 24 | ხაშური | 163,0 | 3,3 | 20,1 |
| 25 | ქარელი | 205 | 3,8 | 18,8 |
| 26 | გორი | 558 | 15,1 | 27,1 |
| 27 | კასპი | 495 | 15,5 | 31,3 |
| V | სულ შიდა ქართლის რეგიონში | 1421 | 37,7 | 26,5 |
| | რეგიონის % რესპუბლიკის მიმართ | 1,0 | 1,0 | 98,1 |
| 28 | მცხეთა | 242 | 7,0 | 29,0 |
| V1 | სულ მცხეთა–თიანეთის რეგიონში | 242 | 7,0 | 29,0 |
| | რეგიონის % რესპუბლიკის მიმართ | 0,2 | 0,2 | 107,4 |
| 29 | მარნეული | 2205 | 49,3 | 22,4 |
| 30 | ბოლნისი | 526 | 8,6 | 16,3 |
| V11 | სულ ქვემო ქართლში | 2731 | 58,0 | 21,2 |
| | რეგიონის % რესპუბლიკის მიმართ | 2,0 | 1,6 | 78,5 |
| 31 | საგარეჯო | 579 | 15,2 | 26,2 |
| 32 | გურჯაანი | 1605 | 61,7 | 38,4 |
| 33 | სიღნაღი | 1642 | 56,0 | 34,1 |
| 34 | ლაგოდეხი | 4495 | 146,0 | 32,5 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 35 | თელავი | 1121 | 63,7 | 56,8 |
| 36 | ახმეტა | 874 | 40,4 | 46,2 |
| 37 | ყვარელი | 3416 | 84,1 | 24,6 |
| V111 | სულ კახეთის რეგიონში | 13732 | 467,1 | 34,8 |
| | რეგიონის% რესპუბლიკის მიმართ | 10,0 | 13,0 | 126,0 |
| 1X | სულ აჭარაში | 1731 | 55,2 | 32,0 |
| | რეგიონის% რესპუბლიკის მიმართ | 1,3 | 1,5 | 118,5 |
| 39 | სულ აფხაზეთის ა.რ. | 19037 | 331,2 | 17,4 |
| X | რეგიონის % რესპუბლიკის მიმართ | 14,6 | 9,0 | 64,4 |
| | სულ საქართველოში | 135463 | 3663,0 | 27,0=100% |
| წყარო: ზოცვაძე ს. მეაზრეშუმეობის განვითარება საქართველოს სსრ-ში 1959-1965 წწ. გვ.30-34. ჟ.საბჭოთა საქართველო,1966 | | | | |

1965 წლისათვის საქართველოს პარკის წარმოების რაოდენობით საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი ეკავა. მნიშვნელოვნად განვითარდა მეაზრეშუმეობის საკვები ბაზა მეთუთეობა და გაუმჯობესდა საგრენაჟო მეურნეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თუთის აზრეშუმხვევის თეთრპარკოვანი მაღალპროდუქტიული ჯიშების წარმოებაში დანერგვის საქმეს. საგრძნობლად გაუმჯობესდა პარკის ხარისხიც. მაგალითად თუ 1950 წელს I ხარისხის პარკი მთლიან მოცულობაში შეადგენდა 26.5%-ს, 1958 წლისთვის ეს მაჩვენებელი 33.1%-მდე ავიდა.

1975 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეაზრეშუმეობის გავრცელების ზონაში მოქმედებდა 56 კოლმეურნეობა (მათ შორის ხელვაჩაურში 19; ქობულეთში 26 და ქედაში 11) და ყველგან მეტნაკლები რაოდენობით იყო გავრცელებული თუთის ნარგაობა. სამწუხაროდ მომდევნო პერიოდში დაავადების გავრცელების მიზეზით თუთის ნარგაობა თითქმის მთლიანად განადგურდა. ამავე პერიოდში თუთის ნარგაობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 3967,6 ათას ძირს, მათ შორის დასავლეთ საქართველოში იყო 55,6 %, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 44,4 %. ამასთან, ნარგაობის აბსოლუტური უმრავლესობა წარმოდგენილი იყო კოლმეურნეობებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე.

მეთუთეობის განვითარების მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა 1969-1990 წლებში. ასე მაგალითად, თუთის საერთო ნარგაობა 1964 წელს შეადგენდა 15640 ათას ძირს, რომელთა უმრავლესობა მაღალპროდუქტიული ჯიშებით იყო წარმოდგენილი. თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭემდე ჯიშიანი ნარგაობის გავრცელებით, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირში 7 სელექციური ჯიშიდან (გრუზია, თბილისური, ქუთათური) ხუთი საქართველოზე მოდიოდა. საქართველოში, 1975 წელს, 1964 წელთან შედარებით, თუთის ნარგაობის საერთო რაოდენობა 3967,6 მილიონ ძირამდე შემცირდა. ამასთან მითითებულ პერიოდში, ჯიშიანი თუთის ნარგაობა, პრაქტიკულად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გადარჩენილი.

| ცხრილი # 50 თუთის ნარგაობით დაკავებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | მაჩვენებლები | სულ საქართველ | მათ შორის | | სულ აჭარაში | მათ შორის | | |
| | | | დასავლ. საქართვ. | აღმოსავლ საქართვ | | ხელვაჩაური | ქობულეთი | ქედა |
| 1 | კოლმეურნ. რაოდენობა | 670 | 548 | 122 | 56 | 19 | 26 | 11 |
| 2 | % კოლმეურნ. საერთო რაოდ. მიმართ | 93,1 | 93,1 | 85,9 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 3 | საბჭოთა მეურნ. რაო-ბა | 201 | 88 | 113 | 4 | 1 | 3 | _ |
| 4 | % საბჭ. მეურნ. საერთო რაოდ. მიმართ | 75,0 | 72,2 | 78,4 | 23,5 | 14,3 | 30,0 | _ |
| წყარო; საქართველოში “1975 წლის თუთის ნარგავების აღწერის შედეგები” თბილისი,1975 წელი. | | | | | | | | |

| ცხრილი # 51 თუთის ნარგავების რაოდენობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1975 წლის მდგომარეობით (ათასი ძირი) | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | მაჩვენებლები | სულ საქართველოში | მათ შორის | | სულ აჭარაში | მათ შორის | | | | |
| | | | დასავლ. საქართვ. | აღმოსავლ. საქართვ | | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | ბათუმის საქ. საბჭო | |
| 1 | თუთის საერთო ნარგაობა, აქედან:<br>ა)კოლმეურნეობებში<br>ბ) საკარმიდამო ნაკვეთებზე | 3967,6<br>1.664,6<br>874,7 | 2196,7<br>1.060,6<br>517,6 | 1770,2<br>604,0<br>19,2 | 79,1<br>58,5<br>19,1 | 36,8<br>28,9<br>7,3 | 32,9<br>23,4<br>8,7 | 9,4<br>6,2<br>3,1 | - | |
| 2 | საბჭ.მეურნეობაში | 897,4 | 326,3 | 571,1 | 0,33 | 0,09 | 0,24 | _ | _ | |
| 3 | დანარჩენი | 530,9 | 292,1 | 238,8 | 1,12 | 0,60 | 0,18 | _ | 0,34 | |
| წყარო; საქართველოში “1975 წლის თუთის ნარგავების აღწერის შედეგები” თბილისი,1975 წელი. | | | | | | | | | | |

| ცხრილი # 52 თუთის ნარგაობის დინამიკა საქართველოში 1932-2002 წლებში | | |
|---|---|---|
| წლები | თუთის ნარგაობა 1000 ძირი | 1964 წელთან შედარებით +/- |
| 1932 | 4500 | -287,7 |
| 1936 | 11153 | -28,7 |
| 1941 | 9916 | -36,7 |
| 1946 | 8384 | -46,7 |
| 1950 | 9660 | -38,5 |
| 1954 | 13640 | -13,3 |
| 1956 | 18600 | +18,9 |
| 1964 | 15640 | 100,0 |
| 1970 | 6351 | -60,4 |
| 1975 | 3967 | -74,6 |
| 1980 | 12351 | -21,0 |
| 1985 | 15526 | -0,7 |
| 1987 | 18600 | +18,9 |
| 1990 | 19000 | +21,4 |
| 1996 | 9000 | -42,8 |
| 2002 | 5000 | -67,3 |



| ცხრილი # 53 საქართველოში მეთუთეობის მდგომარეობის მაჩვენებლები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | მაჩვენებლები | წლები | | | | | | |
| | | 1964 | 1984 | 1990 | 2000 | 2005 | 2010 | 2014 |
| 1 | თუთის პლანტაცია ათასი ჰა | 8,5 | 9,2 | 10,0 | 0,4 | 0,2 | ცნობები არ არის | ცნობები არ არის |
| 2 | ერთეული ნარგაობა მლნ ძირი | 8,2 | 6,5 | 8,0 | 4,0 | 3,5 | ცნობები არ არის | ცნობები არ არის |
| 3 | ნერგის წარმოება ათასი ძირი | 7200 | 3450 | 2660 | 6,0 | 7,0 | 1,0 | 1,5 |

მასალებიდან ჩანს, თუთის ნარგაობა 1964 წელს შეადგენდა 8,5 ათას ჰა-ს და 8,2 მილიონ ძირს. რაც მთავარია, მისი აბსოლუტური უმრავლესობა მაღალპროდუქტიული ჯიშებით ("საქართველო", "თბილისური") იყო წარმოდგენილი. სამწუხაროდ, თუთის პლანტაციებისა და ერთეული ნარგაობების მასიური განადგურება დაიწყო 1991 წლიდან და დღემდე გრძელდება.

| ცხრილი # 54 გრენის რეალიზაცია, პარკის მოსავლიანობა და წარმოება საქართველოში | | | | |
|---|---|---|---|---|
| წლები | გრენის რეალიზაცია ათასი კოლოფი | პარკის მოსავლიანობა კგ/კოლოფზე | წარმოება | |
| | | | ტონა | % 1969 წელთან შედარებით +/- |
| 1964 | 126,1 | 34,8 | 4389,5 | 100 |
| 1965 | 107,3 | 35,8 | 3838,2 | 87,5 |
| 1966 | 154,2 | 26,2 | 4105,8 | 93,5 |
| 1967 | 124,6 | 34,5 | 4301,7 | 98,0 |
| 1970 | 73,8 | 34,7 | 2572,5 | 58,8 |
| 1972 | 49,5 | 36,1 | 1734,5 | 40,0 |
| 1974 | 41,8 | 38,0 | 1597,4 | 36,4 |
| 1976 | 47,4 | 39,9 | 1794,1 | 41,0 |
| 1978 | 50,0 | 34,0 | 1721,5 | 40,0 |
| 1980 | 440,2 | 38,7 | 1816,7 | 41,3 |
| 1982 | 47,0 | 34,9 | 1889,6 | 43,0 |
| 1984 | 2325,3 | 32,3 | 1928,7 | 44,0 |
| 1986 | 2102,0 | 38,0 | 1840,8 | 42,0 |
| 1988 | 40,3 | 34,2 | 1377,4 | 31,4 |
| 1990 | 2760 | 32,0 | 1540,0 | 35,1 |
| 2000 | 0,2 | 37,0 | 9,2 | 0,21 |




მომდევნო პერიოდში, დარგი თანდათანობით იკრებდა ძალას და 80-იანი წლების მეორე ნახევარში 1800-1900 ტონამდე პარკი იწარმოებოდა. სამწუხაროდ მომდევნო პერიოდში ქვეყანაში საერთოდ შეიცვალა ვითარება და 1990 წელს პარკის წარმოებაც 1540 ტონამდე დაეცა, ხოლო მომდევნო წლებში მთლიანად შეწყდა. საანალიზო პერიოდში პარკის საშუალო მოსავლიანობა 40 კგ-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც ბუნებრივია მეტად დაბალია (26,2კგ). თუმცა, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, საქართველოს რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელსაც კი 6,5% გაუსწრო, რაც დიდი წარმატება იყო. სამწუხაროდ, ჩვენში პარკის საშუალო წლიური მოსავლიანობა, თუთის დაავადება ფოთლის სიხუჭუჭის გავრცელებამდეც, პოტენციურ შესაძლებლობაზე ბევრად დაბალი იყო.

| ცხრილი # 55 აჭარის ა.რ 1990 წელს გრენის რეალიზაციის, პარკის წარმოების და 1 კოლოფი ჭიიდან პარკის მოსავლიანობის მიღებული მაჩვენებლები | | | |
|---|---|---|---|
| საქართველო, ავტონომიური რესპუბლიკა | გრენის რეალიზაცია ათასი კოლოფი | პარკის წარმოება ტონა | პარკის მოსავლიანობა 1კოლოფი ჭიიდან კგ |
| საქართველოში | 51261 | 1536 | 30,0 |
| აჭარის ა.რ. | 810 | 30,7 | 37,8 |
| % რესპუბლიკის მიმართ | 1,6 | 1,9 | 126,0 |

**დღევანდელი სიტუაცია**

საქართველოში მეაბრეშუმეობის არსებობის 1500 წლის მანძილზე, ბუნებრივია იყო ჩავარდნებიც და აღმავლობის პერიოდებიც, მაგრამ 1991-2016 წლებში შექმნილი ვითარება უპრეცენდენტოა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1991 წლის იანვრის მდგომარეობით. ირიცხებოდა 166 ჰა თუთის პლანტაცია და 95 ათასი ძირი ერთეული ნარგაობა, ხოლო მომდევნო 6 წლის (1991-1996 წწ) განმავლობაში განადგურდა

შესაბამისად 86 ჰა და 38,0 ათასი ძირი ერთეული მცენარე. ასე, რომ 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემორჩენილი იყო 80 ჰა პლანტაცია და 57,0 ათასი ძირი ერთეული ნარგაობა. ამასთან, საქართველოში 1997 წელს შემორჩენილი იყო პლანტაციების არსებული ნარგაობის 35,6%, ხოლო აჭარაში 50,0%, ხოლო ერთეული ნარგაობა თანაბარი იყო. 2005 წლის დასაწყისში, თუთის პლანტაციის რაოდენობა საქართველოში საორიენტაციოდ იყო 1873 ჰა პლანტაცია და 2.927 ათასი ძირი ერთეული ნარგაობა, ხოლო აჭარაში შესაბამისად 23 ჰა და 32,0 ათასი ძირი.

## 1.7.სამკურნალო მცენარეები

საქართველოში ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების მარაგები არ არის დიდი. ამასთან, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი კლიმატური პირობები იძლევა მათი კულტივირების საშუალებას. ამის დასტურია ის, რომ საქართველოში წინა საუკუნეში იყო ინტროდუქციის გზით კულტივირებული და შექმნილი ალოეს, თირკმლის ჩაის, პასიფლორას და ა.შ. სამრეწველო პლანტაციები. დღეისათვის ნაცვლად ექსპორტისა, მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხშირ შემთხვევაში (თირკმლის ჩაი, პასიფლორა) ხდება იმპორტით.

ეკოლოგიური მდგომარეობა, ანთროპოგენული ზემოქმედება ველურად მოზარდი მცენარეების სახეობების ბუნებრივ ფიტოცენოზზე, იწვევს მათი მარაგების კატასტროფულ შემცირებას, ზოგიერთი სახეობის გაქრობასაც კი. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია ეკონომიკური თვალთახედვითაც, რადგანაც თანამედროვე წარმოებას (კვების პროდუქტების, ფარმაცევტული და სხვა), სადაც მცენარეულ ნედლეულს იყენებენ, განვითარებისათვის ჭირდება გარანტირებული ახალი სანედლეულო ბაზა, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კულტივირების გზით.

აჭარა მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში იქცა ჩაის, ტუნგოს, ბამბუკის, ხურმის და სხვა სუბტროპიკული კულტურების სამრეწველო მასშტაბით გაშენების რეგიონად. კულტივირების საფუძვლები შემუშავებული იყო ა.ნ. კრასნოვის მიერ ბათუმის ბოტანიკურ ბაღის ბაზაზე. ამ პერიოდში ბაღი გახდა სათესლე და სანერგე მასალის ძირითადი მიმწოდებელი საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების „მწვანე მშენებლობისათვის".

აჭარაში მიზანმიმართული კვლევა სამკურნალო მცენარეების ზოგიერთი სახეობის ინტროდუქციის, კულტივირების, სამრეწველო პლანტაციების შექმნის შესახებ, დაიწყო გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან. აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების არაერთი სამეცნიერო ნაშრომი.

საქართველოს გააჩნია სამკურნალო მცენარეების ინტროდუქციის, კულტივირების, სამკურნალო მცენარეების სამრეწველო პლანტაციების შექმნის, მათგან სმკურნალო საშუალებების წარმოების კულტურა, ტრადიციები და გამოცდილება.

მეოცე საუკუნეში საქართველოში, კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამკურნალო მცენარეების სანედლეულო ბაზის შექმნის აუცილებლობაზე, მოშენება–დამზადებაზე, ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების დამზადებაზე, გადამუშავებაზე და რეალიზაციაზე, მეტყველებს არქივში შემონახული მასალები, კერძოდ: მეურნეობის დირექტორს ი.ხ.ნაკაიძის (საარქივო სამმართველოს

ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 8. 15.09.2017წ), სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს ლეკრასტრესტის მთავარი ინჟინერ–აგრონომი ს.დ. კურ. აღნიშნულია უკმაყოფილება ხარისშუბლას ფესვების დამზადების ტემპებზე. 130 ტონა ხარისშუბლას მშრალი ფესვების ნაცვლად დამზადებულია 40 ტონა. წერილი დათარიღებულია 08.08.1962 წლით.

ლეკრასტრესტის ბრძანებაში ქობულეთის მეურნეობისადმი, 8 სექტემბერი 1962 წელი (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 8. 15.09.2017წ), აღნიშნულია, რომ გეგმით გათვალისწინებული 130 ტონა ხარისშუბლას მშრალი ფესვების ნაცვლად დამზადებულია 100 ტონა. დამზადებულია 30,5 ტონა ალოეს ფოთლები 60 ტონის ნაცვლად, ამასთან შესაძლებელია გეგმის შესრულება. დამზადებულია 2 ტონა თირკმლის ჩაი, აქედან 1,5 ტონა გადაგზავნილია მოსკოვის ქარხანაში.

ლეკარტრესტის ქობულეთის მეურნეობაში 1964 წელს (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 14. 15.09.2017წ), დამზადებულია:

1. ხარისშუბლას ფესვები 180 ტონა
2. ევკალიპტის ფოთლები 30 ტონა.

ცხრილში მოწოდებულია ქობულეთის მეურნეობის გადამამუშავებელი ბაზის მიერ მზა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 1964 წლისათვის:

| **ცხრილი # 56 ქობულეთის მეურნეობის გადამამუშავებელი ბაზის მიერ მზა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 1964 წლისათვის** | | |
|---|---|---|
| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | რაოდენობა, ტონა |
| 1 | ხარისშუბლას ფესვები | 171,6 |
| 2 | პასიფლორა | 1,3 |
| 3 | ევკალიპტის ფოთოლი | 2,9 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 14. 15.09.2017წ | | |

ცხრილის სახით მოცემულია ქობულეთის მეურნეობის გადამამუშავებელი ბაზის მიერ მზა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 1965 წლისათვის:

| ცხრილი # 57 ქობულეთის მეურნეობის გადამამუშავებელი ბაზის მიერ მზა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 1965 წლისათვის | | |
|---|---|---|
| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | რაოდენობა, ტონა |
| 1 | ხარისშუბლა | 200 |
| 2 | ევკალიპტი | 4 |
| 3 | პასიფლორა | 1,8 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 18. 15.09.2017წ | | |

ცხრილში მოყვანილია ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) 1976 წლის რეალიზაციის გეგმის კვარტალური განაწილება:

ქობულეთის მეურნეობის მიერ ველურად მოზარდი და ინტროდუქცირებული მცენარეების დამზადებისა და რეალიზაციის გეგმა 1976 წლისათვის კვარტალურად:

| ცხრილი # 58 მოყვანილია ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) 1976 წლის რეალიზაციის გეგმის კვარტალური განაწილება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | ერთეული | 1976 წლის გეგმა კვარტალურად | | | | |
| | | სულ | I კვ | II კვ | III კვ | IV კვ |
| ალოეს ფოთლები | ცენტნ. | 2060 | 150 | 300 | 680 | 930 |
| კალანხოე | „...“ | 870 | 60 | 70 | 340 | 150 |
| თირკმლის ჩაი | „..“ | 150 | – | – | – | 1000 |
| პასიფლორა | „...“ | 20 | – | – | 10 | 10 |
| ევკალიპტის ფოთლები | „...“ | 250 | 25 | 35 | – | 190 |
| დ ა მ ზ ა დ ე ბ ა | | | | | | |
| ხარისშუბლას ბალახი | ცენტნ. | 6270 | – | – | 2500 | 3770 |
| ევკალიპტის ფოთლები დაჭრილი | „...“ | 750 | 420 | 300 | – | 30 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 14. 15.09.2017წ | | | | | | |

ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები ქობულეთის მეურნეობის დამამზადებელი ბრიგადის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) სოცვალდებულების შესრულების შესახებ 1973 წლისათვის:

ქობულეთის მეურნეობის მიერ სოცვალდებულების შესრულება ველურად მოზარდი და ინტროდუქცირებული მცენარეების დამზადებაზე 1973 წლისათვის:

| ცხრილი # 59 წარმოდგენილია მონაცემები ქობულეთის მეურნეობის დამამზადებელი ბრიგადის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) სოცვალდებულების შესრულების შესახებ 1973 წლისათვის | | | |
|---|---|---|---|
| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | გეგმა, ტონა | დამზადებულია, ტონა |
| 1 | ხარისშუბლას ფესვები | 160 | 153,56 |
| 2 | ხარისშუბლას ბალახი | 300 | 300 |
| 3 | ევკალიპტის ფოთოლი | 109 | 130,37 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 40. 15.09.2017წ | | | |

ცხრილში მოყვანილია მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) დამამზადებელი ბრიგადის N1–ის მიერ სოცვალდებულების შესრულების შესახებ 1973 წლისათვის:

ქობულეთის მეურნეობის მიერ სოცვალდებულების შესრულება კულტივირებული სამკურნალო მცენარეების მოშენება–დამზადებაზე 1973 წლისათვის:

| ცხრილი # 60 მოყვანილია მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) დამამზადებელი ბრიგადის N1–ის მიერ სოცვალდებულების შესრულების შესახებ 1973 წლისათვის | | | |
|---|---|---|---|
| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | გეგმა, ცენტნ. | დამზადებულია, ცენტნ. |
| 1 | ალოეს ფოთლები | 800 | 868,27 |
| 2 | თირკმლის ჩაი | 55 | 39,01 |
| 3 | პასიფლორა | 10 | 10,45 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 40. 15.09.2017წ | | | |

ცხრილში მოცემულია ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) სათბურის მიერ სოცვალდებულების შესრულების მონაცემები 1973 წლისთვის:

ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“)სათბურის სოცვალდებულების შესრულება 1973 წელს:

| ცხრილი # 61 მოცემულია ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) სათბურის მიერ სოცვალდებულების შესრულების მონაცემები 1973 წლისთვის | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | დამზადების გეგმა, ცენტნ. | ნერგების გამოყვანის გეგმა, ათ.ცალი | დამზადებულია, ცენტნ. | ნერგების გადარგვის გეგმა, ათ.ცალი |
| 1 | ალოეს ფოთლები | 1190 | | 1502 | |
| 2 | ალოე | | 100 | | 150,6 |
| 3 | თირკმლის ჩაი | | 1564 | | 1372 |
| 4 | პასიფლორა | | 80 | | 80 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 40. 15.09.2017წ | | | | | |

ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) საწარმოო–საფინანსო გეგმის განმარტებითი ბარათიდან (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 54. 15.09.2017წ), ჩანს, რომ 1976 წლისათვის მეურნეობას გააჩნია 4744მ$^2$ თაროებიანი სათბური, რომელშიც ს/გ „ლეკრასპრომის გეგმის: 2500 ათასი თირკმლის ჩაის და 600 ათასი კალანხოეს ნერგების (შემდგომში 87 ტონა ნედლი კალანხოეს ნედლეულის დასამზადებლად) გამოყვანა შეუძლებელია სასათბურე მეურნეობის სიმცირის გამო. ამასთან აღნიშნულია, რომ 600 ტონა ხარისშუბლას ბალახის და 100 ტონა ევკალიპტის ფოთლის დამზადება შესაძლებელია. განმარტებითი ბარათიდან ასევე ჩანს, რომ 1976 წლისათვის უნდა დამზადდეს 87 ტონა ნედლი კალანხოე.

ცხრილში მოცემულია მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) კომპლექსური ბრიგადის სოცვალდებულების შესახებ სამკურნალო მცენარეების მოშენება–დამზადებასთან დაკავშირებით 1977 წლისათვის:

ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) კომპლექსური ბრიგადის სოცვალდებულება სამკურნალო მცენარეების მოშენება–დამზადების შესახებ 1977 წლისათვის.

**ცხრილი # 62 მოცემულია მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) კომპლექსური ბრიგადის სოცვალდებულების შესახებ სამკურნალო მცენარეების მოშენება–დამზადებასთან დაკავშირებით 1977 წლისათვის**

| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | დამზადების გეგმა, ცენტნ. | გამრავლება ნერგებით, ათ.ცალი | სოციალური ვალდებულება | სოცვალდებულება, ნერგებით გამრავლებაზე, ათ.ცალი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალოეს ფოთლები | 2600 | | 2600 | |
| 2 | კალანხოე ბალახი | 725 | | 750 | |
| 3 | თირკმლის ჩაი | 150 | | 160 | |
| 4 | პასიფლორა ბალახი | 20 | | 20 | |
| 5 | ევკალიპტის ფოთოლი | 55 | | 155 | |
| 6 | თირკმლის ჩაი | | 150 | | 1500 |
| 7 | კალანხოე | | 600 | | 600 |

წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 37. 15.09.2017წ

მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) ველურად მოზარდი მცენარეების დამზადებისა და გადამუშავების ბრიგადის სოცვალდებულების შესახებ 1977 წელს:

მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) ველურად მოზარდი მცენარეების დამზადებისა და გადამუშავების ბრიგადის სოცვალდებულების შესახებ 1977 წელს

**ცხრილი # 63 მონაცემები ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) ველურად მოზარდი მცენარეების დამზადებისა და გადამუშავების ბრიგადის სოცვალდებულების შესახებ 1977 წელს**

| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | დამზადების გეგმა, ტონა | სოციალური ვალდებულება, ტონა |
|---|---|---|---|
| 1 | ხარისშუბლას ბალახი | 700 | 710 |
| 2 | ევკალიპტის ფოთოლი | 100 | 120 |

წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 57. 15.09.2017წ

| ცხრილი# 64 მონაცემები საწფინგეგმისა და სოციალური ვალდებულების შესაბამისად ქობულეთის მეურნეობის მიერ ნედლეულის დამზადების შესახებ 1978 წლისათვის | | | | |
|---|---|---|---|---|
| N რიგზე | ნედლეულის დასახელება | რაოდენობა, ტონა | დამზადების ადგილი | რაოდენობა, ტონა |
| 1 | ხარსშუბლას მშრალი ბალახი | 780 | ბორჯომ–ხაშურის–ახალციხის რაიონები | 500 |
| | | | ჩოხატაურის რაიონი | 170 |
| | | | მახარაძის–ქობულეთის რაიონები | 110 |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 61. 15.09.2017წ | | | | |

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ყოველწლიური მოთხოვნა ევკალიპტის ფოთოლის მწვანე მასაზე შეადგენს 1000 ტონას, ეთერზეთზე კი 60 ტონას, მაშინ როდესაც დამზადებული ნედლეულის რაოდენობა არ აღემატება 70–80 ტონას, ეთერზეთის კი 4–5 ტონას. (ЗАКАРАЯ Симон Домантьевич. НЕКОТОРЫЕ АГРОБИОЛОГИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ ЭВКАЛИПТА И ОСНОВНЫЕ ЭЛЕМЕНТЫ АГРОТЕХНИКИ ЕГО ВОЗДЕЛЫВАНИЯ ПРИ ПОРОСЛЕВОЙ КУЛЬТУРЕ В УСЛОВИЯХ АБХАЗИИ. 06.01.09 – растениеводство. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата сельскохозяйственных наук. На правах рукописи. Симферополь – 1991. Всесоюзный научно-исследовательский институт эфиромасличныхкультур.АПК"Ссчзлекраспром").

ევკალიპტს ეთეროვანი ზეთები, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ფოთლებსა და მცირე რაოდენობით ახალგაზრდა ყლორტებშიც აქვს. ამ ეთერზეთებზე იმდენად დიდია მოთხოვნილება, რომ ყოველწლიურად ავსტრალიიდან მსოფლიო ბაზარზე 500 ათას კგ ევკალიპტის ეთერზეთი გააქვთ. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ევკალიპტის ეთერზეთის წარმოება წელიწადში 3000 კგ-ს უდრიდა, მოთხოვნილება კი გაცილებით მეტი იყო, ამიტომ მკვლევარებმა და დარგის მეცნიერებმა დაიწყეს ევკალიპტის ეთერზეთის მეტი რაოდენობით მიღების გზების ძიება. ევკალიპტი აჭარაში კულტურაშია შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის ტერიტორიებზე. (ევკალიპტის (Eucalyptus) კულტურა (მეთოდური რეკომენდაციები). თბილისი-ბათუმი 2015).

ხარისშუბლა გავრცელებულია აჭარაში. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, ტყის პირებზე მაღალბალახეულობაში. (А. А. Дмитриева. Определитель растений Аджарии.– Том II. 1990г. 43 с; საქართველოს ფლორა XV. 2007წ. 254გვ;

საქართველოს მცენარეების სარკვევი II. თბილისი 1969.– 136გვ.) ნედლეულის ძირითადი დამამზადებლებია: აჭარა, მახარაძის, ახალციხის, ხაშურის, ვანის, ჩოხატაურის, ბორჯომის და მაიაკოვსკის რაიონები (Правила сбора и сушки лекарственных растений. Сборшик инструкций. 1985. 130с.)

ხარისშუბლას გავრცელების არეალი ამიერკავკასიაში წარმოდგენილია სამი ფრაგმენტის სახით. პირველი – აჭარა–იმერეთის, შავშეთის და არსიანის ქედები.

ხარისშუბლას ნედლეულის დამზადების დინამიკა წლების მიხედვით მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი # 65 ხარისშუბლას ფესვებისა და ბალახის დამზადების დინამიკა 1970–1975 წლებში**

| N რიგზე | წ ლ ე ბ ი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნედლეულის დასახელება | ერთეული | 1970 | 1971 | 1972 | 1973 | 1974 | 1975 |
| 1 | ხარისშუბლას ბალახი (მშრალი) | ტონა | 27,1 | 40,9 | 239 | 338 | 689 | 839 |
| 2 | ხარისშუბლას ფესვები (მშრალი) | ტონა | 258,8 | 102,8 | 256 | 158 | 127,8 | – |
| წყარო: საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი | | | | | | | | |

მცენარის ბიოლოგიური მარაგები განსაზღვრულია შემდეგი რაიონებისათვის: მესხეთის (აჭარა–იმერეთის) ქედი – დაახლოებით 7 ათასი ტონა (მშრალი ფესვები), შავშეთის ქედი – 600 ტონა, თრიალეთის ქედი – 500 ტონა, სამხრეთ ოსეთის არ – 400 ტონა, რაჭის ქედი 200 ტონა. (Атлас ареалов и ресурсов лекарственных растений СССР.– Москва. 1976 г. С.251.).

გათვლები პრეპარატების გამოშვებისა შერეული სქემით კელინის წარმოების უბანზე 1985 წელს. პლატიფილინის ჰიდროტარტრატი – დაკვეთა 290 კგ.

ბათუმის ქიმფარმქარხნის საწარმოო პროგრამის პროექტი 1985 წლისათვის (აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1226, ფ.7,8. 14.09.2017წ).

| ცხრილი # 66 ბათუმის ქიმფარმქარხნის საწარმოო პროგრამის პროექტი 1985 წლისათვის | | |
|---|---|---|
| N რიგზე | პრეპარატის დასახელება | რაოდენობა |
| 1 | პლატიფილინი | 159 კგ |
| 2 | პლატიფილინის ტაბლეტები 0,005 N10 | 750 ათასი შეფუთვა |
| 3 | ალოეს წვენი 100,0 | 2500 ათასი ფლაკონი |
| 4 | ალოეს ექსტრაქტი 100,0 | 1421 ათასი ფლაკონი |
| 5 | კალანხოეს წვენი 100,0 | 1200 ათასი ფლაკონი |
| 6 | პასიფლორას ექსტრაქტი 25,0 | 382 ათასი ფლაკონი |
| 7 | ალოეს ლინიმენტი | 1466 ათასი ქილა |
| წყარო: აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1244, ფ.10. 14.09.2017წ | | |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის, რ. რუსიას სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, რომელსაც ხელს აწერს სამინისტროს კომერციული საქმიანობისა და ეკონომიკური ურთიერთობის განყოფილების უფროსი თ. ხაბაძე და სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და სარევიზიო განყოფილების უფროსი ლ. მიქელაძე (10.07.1993წ).(აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1651, ფ.16. 14.09.2017წ).

მოცემულია ქარხნის ფინანსურ–ეკონომიკური მდგომარეობა, ამასთან აღნიშნულია, რომ ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტულ ქარხანამ უკრაინის ფარმაცევტულ გაერთიანებას „დარნიცას“ უნდა მიაწოდოს 120 კგ პლატიფილინის ფხვნილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ასლან აბაშიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის დირექტორი თ.ა. გოგიტიძე (31.05.95წ) (აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1651, ფ.17–24. 14.09.2017წ).

აღნიშნულია, რომ ქარხანა მიმდინარე წელს შეძლებს მიიღოს და გადაამუშაოს 300 ტონა მშრალი და 500 ტონა ნედლი ხარისშუბლას ნედლეული, რომლისგანაც მზა პროდუქციის სახით მიღებული იქნება 250 კგ პლატიფილინი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის, თ. ბოლქვაძისადმი გაგზავნილ წერილში – ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის ინფორმაცია ეკონომიკური რეფორმების სახელმწიფოებრივი კურსის განხორციელებისა და კრიზისის დაძლევისათვის, რომელსაც ხელს აწერს

ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის დირექტორი თ.ა. გოგიტიძე (07.06.85წ) (აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1651, ფ.17–24. 14.09.2017წ), აღნიშნულია, რომ წარმოების განვითარება დამოკიდებულია ადგილობრივი ნედლეულის დამზადებაზე, კერძოდ: ხარისშუბლას ბალახის, პასიფლორას ბალახის, კალანხოეს ბალახის, ალოეს ფოთლების. ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის 80–85%–ის რეალიზაცია ხდება ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში. წერილში ჩამოთვლილია საექსპორტო საქონლის ძირითადი სახეები: პლატიფილინის ფხვნილი, ალოეს წვენი და სხვა.

| ცხრილი # 67 ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის 1985 წლის გეგმის პროექტი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | ერთეული | 1983 წ | 1984წ | 1985 წლის გეგმა კვარტალურად | | | | |
| | | | | სულ | I კვ | II კვ | III კვ | IV კვ |
| პლატიფილინის ჰ/ტ | კგ | 272,5 | 214 | 470 | 55 | 55 | 170 | 190 |
| პლატიფილინის ტაბლეტები N10 | ათასშეფ. | 1485,2 | 1000 | 5250 | 1000 | 1000 | 1600 | 1650 |
| ალოეს წვენი 100% | „..“ | 900 | 1500 | 2000 | – | – | 1000 | 1000 |
| ალოეს ექსტრაქტი 100,0 | „...“ | 1430 | 1427 | 1500 | 750 | 750 | – | – |
| პასიფლორას ექსტრაქტი 25% | „...“ | 280 | 280 | 330 | – | – | – | 330 |
| კალანხოეს წვენი | „...“ | 1000 | 1200 | 1200 | – | – | 600 | 600 |
| ალოეს ლინიმენტი 50,0 | „...“ | 1450 | 1464 | 1500 | – | – | 750 | 750 |
| წყარო: აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1236, ფ.40,41. 14.09.2017წ | | | | | | | | |

**ექსპორტი**

ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი. მოსკოვი „სოიუზმედსბიტა“. ანგარიში პროდუქციის მიწოდების შესახებ. 3.02.1983.

**ცხრილი # 68 ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი 1982 წლისათვის**

| დასახელება | ერთეული | მომხმარებლის დასახელება | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | ფარმსამმართველო „მპს“ | რუსეთი | უკრაინა | ბელორუსია | აზერბაიჯანი | ყირგიზეთი | ყაზახეთი | მოლდოვეთი |
| პლატიფილინის ჰ/ტ | კგ | | | | | | | | | |
| ალოეს წვენი 100% | ათ.ფლ. | | | 82,4 | 20,2 | 15 | 6 | 6 | | |
| ალოეს ექსტრაქტი 100,0 | „...“ | | 7,068 | 97,5 | 63,7 | 14,04 | | | | |
| პასიფლორას ექსტრაქტი 25% | „...“ | | | 11 | 1,5 | | | | | 2 |
| კალანხოეს წვენი 20 მლ | „...“ | 480 | | | | | | | | |
| ალოეს ლინიმენტი 50,0 | „...“ | | | 19,0 | 5,47 | | | | 6,003 | 13,5 |

წყარო: აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1224, ფ.15,16,105,106,107,108. 14.09.2017წ

ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი. ანგარიში პროდუქციის მიწოდების შესახებ. 4.01.1984.

| ცხრილი # 69 ბათუმის ქიმიურ–ფარმაცევტული ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი 1983 წლისათვის | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | ერთეული | მომხმარებლის დასახელება | | | | | | | | | | | | | | | |
| | | ფარმსამმართველო „მჯს“ | სამედიცინო მრეწვ. დაწეს. | რუსეთი | ტაჯიკეთი | უკრაინა | ბელორუსია | აზერბაიჯანი | ყირგიზეთი | ყაზახეთი | მოლდოვეთი | უზბეკეთი | ლატვია | ესტონეთი | სომხეთი | თურქმენეთი | ლიტვა |
| პლატიფილინის ჰ/ტ | კგ | 1,0 | 145,499 | | | | | | | | | | | | | | |
| ალოეს წვენი 100% | „...“ | 9,96 | | 547 | | 120,5 | 49,6 | 2,50 | | 18,0 | 29 | 31,6 | 8,01 | 19,7 | | | |
| ალოეს ექსტრაქტი 100,0 | ათ ფლ. | 58,06 | | 798,7 | | 205,5 | 48,0 | 11,2 | 20 | 71,4 | | 60 | 18 | 17 | 0,5 | 15 | |
| პასიფლორას ექსტრაქტი 25% | „....“ | 3,94 | | 83,6 | | 3,5 | 1,7 | | | | 2 | | | | | | 39 |
| კალანხოეს წვენი 100,0 | „....“ | 14,1 | | 436,8 | 2 | 159,2 | 25,8 | 6,1 | 2 | 28,9 | 12 | 10,4 | 9,01 | 2,01 | 1 | | 9,7 |
| ალოეს ლინიმენტი 50,0 | „....“ | | | 749,9 | | 212,2 | 28,8 | 4,01 | | 92,9 | 13,5 | 87,4 | 22,5 | 20,0 | 0,50 | 22 | |
| წყარო: აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო. საფუძველი: ფონდი რ–886, აღწ. 1, საქმე 1224, ფ.15,16,105,106,107,108. 14.09.2017წ | | | | | | | | | | | | | | | | | |

პასიფლორას ნედლეული იწარმოებოდა ქობულეთის მეურნეობაში (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) ყოველწლიურად, საშუალოდ 1,5–2,0 ტონის რაოდენობით. სამრეწველო პლანტაცია გაშენებული იყო 1 ჰა ფართობზე. (წყარო: Рабинович И. М., Пассифлора инкарнатная в условиях влажных субтропиков Грузинской ССР. Автореферат дисс. Уч. Ст. Канд. Биол. Наук. Сухуми –1964. 21с.).

თირკმლის ჩაის ნედლეული იწარმოებოდა ქობულეთის მეურნეობაში (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) ყოველწლიურად, საშუალოდ 10–15 ტონის რაოდენობით. სამრეწველო პლანტაცია გაშენებული იყო 7–8 ჰა ფართობზე. (წყარო: Самир Сайед Сайед Эль-Ганайна, Биология Почечного чая в условиях Ташкентского оазиса. Автореферат дисс. Уч. Ст. Канд. Биол. Наук. Ташкент –1995. 27с.)

ალოეს ფოთლები ყოველწლიურად ქობულეთის მეურნეობაში (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) მზადდებოდა საშუალოდ 180–200 ტონა. სამრეწველო პლანტაცია გაშენებული იყო სათბურში 1000–1200მ2 ფართობზე. (წყარო: ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) საწარმოო–საფინანსო გეგმის განმარტებითი ბარათიდან (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 54. 15.09.2017წ), ლეკრასტრესტის ბრძანებაში ქობულეთის მეურნეობისადმი, 8 სექტემბერი 1962 წელი (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 8. 15.09.2017წ)).

კალანხოეს ფოთლები ყოველწლიურად ქობულეთის მეურნეობაში (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) მზადდებოდა საშუალოდ 70–90 ტონა. სამრეწველო პლანტაცია გაშენებული იყო სათბურში 1800–2000მ2 ფართობზე. (წყარო: ქობულეთის მეურნეობის (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) საწარმოო–საფინანსო გეგმის განმარტებითი ბარათიდან (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 54. 15.09.2017წ)).

პასიფლორა, თირკმლის ჩაი, კალანხოე და ალოე აჭარაში, კულტურაში იყო და სამრეწველო პლანტაციები შექმნილი იყო ქ. ქობულეთში ყოფილ ქობულეთის მეურნეობის ტერიტორიაზე (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“). დღეისათვის აღნიშნული ტერიტორიები არის საძოვრებად ქცეული და სამრეწველო მასშტაბით არანაირი სამკურნალო მცენარეების მოშენება არ ხდება. ხარისშუბლას ბალახი ყოველწლიურად საშუალოდ მზადდებოდა 500-600 ტონა, ევკალიპტის ფოთოლი ასევე საშუალოდ მზადდებოდა 100-120 ტონა. (წყარო: ნედლეულის დამზადების ორგანიზაციას ახდენდა ქობულეთის მეურნეობა (საკავშირო გაერთიანება „ლეკრასპრომი“) (საარქივო სამმართველოს ქობულეთის არქივი, ფონდი 117, ანაწ. 1, საქმე 54. 15.09.2017წ)).

ევკალიპტი აჭარაში კულტურაშია შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის ტერიტორიებზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე დღესაც ხდება ევკალიპტის ფოთლების დამზადება სხვადასხვა კომპანიების მიერ. (წყარო: ევკალიპტის (Eucalyptus) კულტურა (მეთოდური რეკომენდაციები. თბილისი-ბათუმი 2015)).

ხარისშუბლა გავრცელებულია აჭარაში. იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში, ტყის პირებზე მაღალბალახეულობაში. (წყარო: А. А. Дмитриева.

Определитель растений Аджарии.– Том II. 1990г. 43 с; საქართველოს ფლორა XV. 2007წ. 254გვ; საქართველოს მცენარეების სარკვევი II. თბილისი 1969.– 136გვ.) ნედლეულის ძირითადი დამამზადებლებია: აჭარა, მახარაძის, ახალციხის, ხაშურის, ვანის, ჩოხატაურის, ბორჯომის და მაიაკოვსკის რაიონები (წყარო: Правила сбора и сушки лекарственных растений. Сборшик инструкций. 1985. 130с.) ხარისშუბლას გავრცელების არეალი ამიერკავკასიაში წარმოდგენილია სამი ფრაგმენტის სახით. პირველი – აჭარა–იმერეთის, შავშეთის და არსიანის ქედები. დღეისათვის ნებართვები არ გაიცემა ხარისშუბლას ბალახის დამზადებაზე, მიუხედავად აღნიშნულ ტერიტორიებზე საკმარისი მარაგის არსებობისა.

# 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პოტენციალის ანალიზი:

აღნიშნულ თავში მოხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კლასიფიცირება პროდუქტებად, რომლებიც დღეს საქართველოში, მათ შორის გამოკვეთილად აჭარაში, კვლავ იწარმოება და რომლებიც აღარ იწარმოება.

პროდუქტებზე, რომლებიც კვლავ იწარმოება მოცემული იქნება ინფორმაცია ძირითადი მწარმოებლების, წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებლების და რეალიზაციის ბაზრების შესახებ, ხოლო პროდუქტებზე, რომლებიც აღარ იწარმოება შესწავლილი იქნება მათი პოტენციალის შესახებ.

ასევე იქნება წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია პროდუქტებზე, რომლებიც აღარ იწარმოება:

- მოთხოვნა აღნიშნულ პროდუქტებზე დასაბუთებული კონკრეტული ქვეყნების ექსპორტ/იმპორტის ინფორმაციის საფუძველზე;
- აღნიშნული პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის წარმოების პირობების ანალიზი;
- აღნიშნული პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო სხვა დამატებითი პირობების SWOT ანალიზი.

## 2.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კლასიფიკაცია:

პირველ თავში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია განხილული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კლასიფიცირება პროდუქტებად, რომლებიც საქართველოში და მათ შორის გამოკვეთილად აჭარაში კვლავ იწარმოება და პროდუქტებად რომლებიც აღარ იწარმოება.

## 2.1.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც საქართველოში და მათ შორის გამოკვეთილად აჭარაში კვლავ იწარმოება:

### 2.1.1.1. ჩაი

საქართველოში 90-იანი წლების პარალიზებული ვითარების შემდეგ, მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო ჩაის წარმოებისა და დაფასოვების აღორძინება.

აჭარის ა/რ-ის რეგიონში ამჟამად ჩაის ფოთლის წარმოება-გადამუშავებას ახორციელებს შემდეგი კომპანიები: შპს „აგროფირმა ქობულეთი“, რომელმაც პროგრამა „100 აგრო საწარმოს ფარგლებში“, ოჩხამურში, ხუცუბანსა და კვირიკეში შეისყიდა 460 ჰა ჩაის პლანტაცია, სადაც ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია მოყვანილი 320 ჰა, (მათ შორის 120 ჰა სამექანიზაციო). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შპს ,,აჭარა ინვესტ ჩაის" და შპს,, აგროექსპორტის" ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ამუშავებენ სოფლებში შემორჩენილი ჩაის პლანტაციებიდან აღებულ ჩაის ფოთოლს, რომლის რაოდენობაც მიზერულია. გარდა ზემოთ აღნიშნული საწარმოებისა რეგიონში ფუნქციონირებენ მწვანე აგურა ჩაის მწარმოებელი შპს „ჩაქვის ჩაი – 2007“ და შპს „ემირი“, რომლებსაც ნედლეული შემოაქვთ გურიისა და სამეგრელოს რეგიონებიდან.

| ცხრილი # 70 საქართველოში ჩაის წარმოების, იმპორტის, ექსპორტის და მოთხოვნის შესახებ (ტონა) | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| წარმოება საქართველო | 2600.0 | 3300.0 | 1800.0 | 2100.0 | 3000.0 |
| წარმოება აჭარის ა/რ | 1100.0 | 1100.0 | 200.0 | 900.0 | 800.0 |
| იმპორტი | 1932.0 | 1708.0 | 2270.0 | 1438.0 | 2024.0 |
| ექსპორტი | 2297.2 | 1947.5 | 1913.2 | 1708.1 | 1567.2 |
| მოთხოვნა | 2234.8 | 3060.5 | 2156.8 | 1829.9 | 3456.8 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ITC Trademap | | | | | |




| ცხრილი # 71 ქართული ჩაის ექსპორტის მოცულობა ტონებსა და აშშ დოლარში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წლები** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** |
| **ათასი აშშ დოლარი** | 2457.6 | 2277.8 | 2328.8 | 1855.8 | 1572.9 |
| **ტონა** | 2297.2 | 1947.5 | 1913.2 | 1708.1 | 1567.2 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | | |

| ცხრილი # 72 ქართული ჩაის ექსპორტი 2016 წელს | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეყანა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ფასი/კგ ($) | % |
| მსოფლიო | 1,572.9 | 1,567.2 | 1.0 | 100.0% |
| მონღოლეთი | 335.2 | 602.3 | 0.6 | 21.3% |
| უკრაინა | 211.0 | 92.8 | 2.3 | 13.4% |
| თურქმენეთი | 201.8 | 101.7 | 2.0 | 12.8% |
| აზერბაიჯანი | 168.1 | 63.1 | 2.7 | 10.7% |
| რუსეთი | 167.8 | 269.0 | 0.6 | 10.7% |
| ირანი | 96.3 | 33.4 | 2.9 | 6.1% |
| ყაზახეთი | 94.5 | 189.0 | 0.5 | 6.0% |
| ტაჯიკეთი | 73.2 | 81.5 | 0.9 | 4.7% |
| გერმანია | 68.9 | 33.6 | 2.1 | 4.4% |
| ბელარუსი | 56.4 | 41.0 | 1.4 | 3.6% |
| ნიდერლანდები | 45.4 | 37.8 | 1.2 | 2.9% |
| დანარჩენი ქვეყნები | 54.3 | 22.1 | 2.5 | 3.5% |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | |

| ცხრილი # 73 ჩაის იმპორტი საქართველოში 2016 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ქვეყანა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ფასი/კგ |
| მსოფლიო | 6,771.0 | 2,024.0 | 3.3 |
| აზერბაიჯანი | 2,247.0 | 362.0 | 6.2 |
| რუსეთის ფედერაცია | 1,185.0 | 167.0 | 7.1 |
| შრილანკა | 1,170.0 | 196.0 | 6.0 |
| არაბეთის გაერ. საემიროები | 770.0 | 72.0 | 10.7 |
| თურქეთი | 588.0 | 1,098.0 | 0.5 |
| ირანი | 353.0 | 77.0 | 4.6 |
| გერმანია | 207.0 | 7.0 | 29.6 |
| დანარჩენი ქვეყნები | 251.0 | 45.0 | 5.6 |
| წყარო: ITC Trademap | | | |

| ცხრილი # 74 მსოფლიო ჩაის წარმოება 2014 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ადგილი | ქვეყანა | ტონა | წილი (%) |
| მსოფლიო | | 7,365,994 | 100.00% |
| 1 | ჩინეთი | 3,915,425 | 53.16% |
| 2 | ინდოეთი | 1,207,310 | 16.39% |
| 3 | კენია | 445,105 | 6.04% |
| 4 | შრილანკა | 338,032 | 4.59% |
| 5 | ვიეტმანი | 228,360 | 3.10% |
| 6 | თურქეთი | 226,800 | 3.08% |
| 7 | ინდონეზია | 154,400 | 2.10% |
| 8 | ირანი | 119,388 | 1.62% |
| 9 | მიანმარი | 98,600 | 1.34% |
| 10 | არგენტინა | 85,401 | 1.16% |
| 11 | იაპონია | 83,600 | 1.13% |
| 31 | საქართველო | 1,800 | 0.02% |
| დანარჩენი ქვეყნები | | 397,993 | 5.40% |
| წყარო: FAOSTAT | | | |

| ცხრილი # 75 ჩაის იმპორტიორთა სია | | | | |
|---|---|---|---|---|
| **იმპორტიორები** | **სავაჭრო ინდიკატორი** | | | |
| | **2016 წელს იმპორტირებული (ათასი აშშ $)** | **2016 წელს იმპორტი (ტონა)** | **კგ-ის ღირებულება აშშ $** | **მსოფლიო იმპორტის წილი (%)** |
| მსოფლიო | 6,551,652 | 1,790,365 | 3.7 | 100.00% |
| რუსეთის ფედერაცია | 548,259 | 164,398 | 3.3 | 8.37% |
| პაკისტანი | 489,960 | 184,905 | 2.6 | 7.48% |
| აშშ | 483,213 | 131,071 | 3.7 | 7.38% |
| გაერთ. სამეფო | 363,271 | 128,168 | 2.8 | 5.54% |
| ეგვიპტე | 282,341 | 88,463 | 3.2 | 4.31% |
| ირანი | 261,850 | 62,690 | 4.2 | 4.00% |
| საუდის არაბეთი | 256,432 | 35,885 | 7.1 | 3.91% |
| გერმანია | 226,491 | 57,519 | 3.9 | 3.46% |
| მოროკო | 199,189 | 67,314 | 3.0 | 3.04% |
| კენია | 170,948 | 92,747 | 1.8 | 2.61% |
| იაპონია | 165,139 | 29,431 | 5.6 | 2.52% |
| საფრანგეთი | 161,589 | 16,708 | 9.7 | 2.47% |
| არაბ. გაერთ. საემირ. | 143,142 | 39,019 | 3.7 | 2.18% |
| კანადა | 141,004 | 19,642 | 7.2 | 2.15% |
| ვიეტნამი | 130,413 | 6,079 | 21.5 | 1.99% |
| ნიდერლანდები | 125,155 | 26,102 | 4.8 | 1.91% |
| წყარო: ITC Trademap | | | | |

| ცხრილი # 76 ჩაის ექსპორტიორების ათეული | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები | **2014** | | | **2015** | | | **2016** | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ / აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ / აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ / აშშ $ |
| მსოფლიო | 2,122,354 | 7,802,324 | 3.7 | 2,002,888 | 7,315,227 | 3.7 | 1,844,597 | 7,034,465 | 3.8 |
| ჩინეთი | 301,599 | 1,272,663 | 4.2 | 325,344 | 1,381,530 | 4.2 | 331,793 | 1,485,022 | 4.5 |
| შრილანკა | 325,141 | 1,609,339 | 4.9 | 304,835 | 1,321,899 | 4.3 | 286,760 | 1,251,730 | 4.4 |
| კენია | 458,728 | 1,071,451 | 2.3 | 412,131 | 1,222,172 | 3.0 | 373,999 | 1,088,469 | 2.9 |
| ინდოეთი | 212,606 | 656,214 | 3.1 | 235,132 | 677,933 | 2.9 | 230,456 | 661,719 | 2.9 |
| არაბეთის გაერთ. საემიროები | 71,342 | 312,642 | 4.4 | 30,301 | 116,871 | 3.9 | 33,632 | 301,036 | 9.0 |
| გერმანია | 27,406 | 252,089 | 9.2 | 25,696 | 217,132 | 8.5 | 25,417 | 232,732 | 9.2 |
| პოლონეთი | 21,555 | 237,007 | 11.0 | 19,601 | 180,799 | 9.2 | 19,598 | 194,409 | 9.9 |
| გაერთიანებული სამეფო | 21,778 | 153,556 | 7.1 | 21,047 | 147,263 | 7.0 | 19,199 | 136,471 | 7.1 |
| აშშ | 15,388 | 107,799 | 7.0 | 16,079 | 110,360 | 6.9 | 17,699 | 127,747 | 7.2 |
| ვიეტნამი | 132,252 | 227,719 | 1.7 | 125,186 | 212,422 | 1.7 | 75,637 | 115,023 | 1.5 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | | | | |

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ჩაის მცენარე არის ერთ-ერთი იშვიათი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელსაც კლიმატის გარდაუვალი ცვლილებებით გამოწვეული ამინდის გახშირებული ანომალიური მოვლენების პირობებში შეუძლია მოგვცეს გარანტირებული მოსავალი (მწვანე მასა). ამასთან ჩაი ერთადერთი კულტურაა, რომელსაც დასავლეთ საქართველოს პირობებში სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით კარგი პერსპექტივა გააჩნია.

ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ აჭარის რეგიონში საქართველოში წარმოებული ჩაის ნედლეულის 9.26% აჭარაზე მოდის. 2011 წლის მონაცემებით ჩაის (ნაჩაიარი) ფართობი სულ შეადგენს 5,616 ჰა-ს, რომლის 63% მოდის ქობულეთზე, 35% ხელვაჩაურზე, ხოლო დანარჩენი ქედის მუნიციპალიტეტზე. თუმცა რეგიონში არ არსებობს ისეთი ჩაის ფართობების რომელთა რეაბილიტაცია შეიძლება მოხდეს, რაც მეტწილად განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- ჩაის პლანტაციის ხანგრძლივმა, იძულებითმა შესვენებამ გამოიწვია ჩაის ბუჩქების ბიოეკოლოგიური თვალსაზრისით დაკნინება- გადაგვარება;
- არსებული ჩაის ფართობების უმეტესობა ძალიან დეგრადირებულია, ძლიერ ამორტიზებულია და აღდგენას არ ექვემდებარება;
- სარეაბილიტაციო ფართობები ძლიერ ფრაგმენტირებულია, მცირე კონტურიანია და აღდგენითი სამუშაოები არარენტაბელური იქნება;

ამიტომ დღის წესრიგში დგება ჩაის წარმოების გაფართოვების მიზნით ახალი პლანტაციების გაშენების საკითხი მაღალპროდუქტიული ჯიშებითა და კლონებით. აჭარაში წარმოებული ჩაი შეიძლება კონკურენტული გახდეს მსოფლიო ბაზარზე და დაიკავოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის ბაზრის ნიშა, რომელზეც დიდი მოთხოვნაა განვითარებულ ბაზარზე.

## 2.1.1.2. თამბაქო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით (2006 წელი), თამბაქოს წარმოება–იმპორტით 37 ფირმაა დაკავებული, მათგან 13 ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიაა, ხოლო 24 იმპორტიორი 1991 წლიდან დიდი საბჭოთა საწარმოები ან მცირე სიმძლავრეებზე გადავიდა ან საერთოდ განადგურდა. ცხრილში მოცემული ყველა საწარმო თუ ფირმა კერძო საკუთრებაა, სახელმწიფო საკუთრების ან წილობრივი მონაწილეობით შექმნილი თამბაქოს საწარმოები საქართველოში აღარ გვხვდება.

**ცხრილი # 77 თამბაქოს ადგილობრივი და იმპორტიორი ორგანიზაციები (2006 წლის მდგომარეობით)**

| ადგილობრივი | იმპორტიორი |
|---|---|
| შპს "თამბაქო-2002" | ბრითიშ ენდ ემერიქან თობაქო |
| შპს ”ალექსი” | ი/მ "დარეჯან სადღობელაშვილი" |
| შპს ”სტარტი” | ი/მ "მარინე სიმონიშვილი"-"მათე" |
| შპს ”საქართველოს თამბაქოს წარმოება” * | ი/ს "ავთანდილ თავართქილაძე" |
| შპს ”რესინვესტი” | ი/ს "ჩარკვიანი თამილა" |
| შპს "ოჯთ” | ი/ს "ნუგზარ თავართქილაძე" |
| შპს "თამბაქო" | ი/ს "რამაზ კიკალიშვილი" |
| შპს "ბათუმის თამბაქოს კომბინატი" * | ომეგა |
| შპს ”თბილისი 2002” | პროდაქშენ ენდ ნეთვორქ |
| შპს ”ფაზისი - 2005” | შ.პ.ს. ბ და ჯ |
| შპს "ივერია - 2" | შ.პ.ს. კოლხეთი-2002 |
| შპს "კოლხეთი 2002" | შ.პ.ს. თბილისი 2002 |
| შპს ”პოსეიდონი” | შპს "ბესთ თაბაკ" |
| - | შპს "DIAMOND & G" |
| - | შპს "იმედი 2007" |
| - | შპს "ივერია 2" |
| - | შპს "კაპიტალ დისტრიბუცია" |
| - | შპს "კარიდიან თობაქოს" |
| - | შპს "კოსმო" |
| - | შპს "მარდი" |
| - | შპს "პოსეიდონი" |
| - | შპს "საქართ. თამბაქოს წარმოება" ჯთმ |
| - | შპს "ვეითნაუერ-ჯორჯია" |
| - | შპს"ჯი-ესი" |

* აღნიშვანს საბჭოთა პერიოდში არსებულ საწარმოებს

წყარო: სააქციზო გადასახადის ინსპექცია, 2006

| ცხრილი # 78 საქართველოში თამბაქოს წარმოების, იმპორტის, ექსპორტის და მოთხოვნის შესახებ (ტონა) | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| წარმოება საქართველო | 361.0 | 361.0 | 361.0 | - | - |
| იმპორტი | 1,461.9 | 1,300.9 | 707.0 | 700.4 | 565.7 |
| ექსპორტი | 35.6 | - | 4.0 | 39.3 | 53.9 |
| მოთხოვნა | 1,787.2 | 1,661.9 | 1,064.0 | 661.2 | 511.8 |
| წყარო: FAOSTAT და Comtrade | | | | | |




| ცხრილი # 79 ქართული თამბაქოს ექსპორტის მოცულობა ტონებსა და აშშ დოლარში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წლები** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** |
| **ათასი აშშ დოლარი** | 174.6 | - | 16.0 | 15.7 | 27.2 |
| **ტონა** | 35.6 | - | 4.0 | 39.3 | 53.9 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | | |

| ცხრილი # 80 ქართული თამბაქოს ექსპორტი 2016 წელს | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეყანა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ფასი/კგ ($) | % |
| მსოფლიო | 27.2 | 53.9 | 0.5 | 100% |
| აზერბაიჯანი | 18.8 | 46.9 | 0.4 | 69% |
| რუსეთი | 8.4 | 7.0 | 1.2 | 31% |
| წყარო: Comtrade | | | | |

| ცხრილი # 81 თამბაქოს იმპორტი საქართველოში 2016 წელი | | | |
|---|---|---|---|
| **ქვეყანა** | **ათასი აშშ დოლარი** | **ტონა** | **ფასი/კგ** |
| მსოფლიო | 1,626.0 | 565.7 | 2.9 |
| ბრაზილია | 583.0 | 160.2 | 3.6 |
| ინდოეთი | 524.0 | 158.2 | 3.3 |
| ჩინეთი | 372.0 | 146.4 | 2.5 |
| აზერბაიჯანი | 76.0 | 31.1 | 2.4 |
| სამხრეთ აფრიკა | 32.0 | 24.1 | 1.3 |
| მალავი | 27.0 | 31.1 | 0.9 |
| ტანზანია | 13.0 | 14.6 | 0.9 |
| წყარო: ITC Trademap | | | |

| ცხრილი # 82 მსოფლიო თამბაქოს წარმოება 2014 წელი | | | |
|---|---|---|---|
| **ადგილი** | **ქვეყანა** | **ტონა** | **წილი (%)** |
| მსოფლიო | | 10,173,704 | 100.00% |
| 1 | ჩინეთი | 5,994,100 | 58.92% |
| 2 | ბრაზილია | 862,396 | 8.48% |
| 3 | ინდოეთი | 720,725 | 7.08% |
| 4 | აშშ | 397,535 | 3.91% |
| 5 | ინდონეზია | 196,300 | 1.93% |
| 6 | პაკისტანი | 129,878 | 1.28% |
| 7 | მალავი | 126,348 | 1.24% |
| 8 | არგენტინა | 119,434 | 1.17% |
| 9 | ზამბია | 112,049 | 1.10% |
| 10 | მოზამბიკი | 97,075 | 0.95% |
| 11 | ბანგლადეში | 85,000 | 0.84% |
| 102 | საქართველო | 361 | 0.004% |
| დანარჩენი ქვეყნები | | 1,332,503 | 13.10% |
| წყარო: FAOSTAT | | | |

| ცხრილი # 83 თამბაქოს იმპორტიორთა სია | | | | |
|---|---|---|---|---|
| **იმპორტიორები** | **სავაჭრო ინდიკატორი** | | | |
| | **2015 წელს იმპორტირებულის ღირებულება (ათასი აშშ $)** | **2015 წელს იმპორტის რაოდენობა (ტონა)** | **კგ-ის ღირებულება აშშ $** | **მსოფლიო იმპორტის წილი (%)** |
| მსოფლიო | 12,207,445 | 2,350,855 | 5.2 | 100.00% |
| ჩინეთი | 1,293,446 | 153,113 | 8.4 | 10.60% |
| რუსეთის ფედერაცია | 952,458 | 202,614 | 4.7 | 7.80% |
| გერმანია | 1,130,506 | 191,331 | 5.9 | 9.26% |
| ბელგია | 869,546 | 178,778 | 4.9 | 7.12% |
| აშშ | 744,049 | 152,614 | 4.9 | 6.10% |
| პოლონეთი | 547,340 | 114,590 | 4.8 | 4.48% |
| ინდონეზია | 412,328 | 75,353 | 5.5 | 3.38% |
| თურქეთი | 391,657 | 67,445 | 5.8 | 3.21% |
| ნიდერლანდები | 617,090 | 108,288 | 5.7 | 5.06% |
| იაპონია | 369,603 | 49,957 | 7.4 | 3.03% |
| სამხრეთ კორეა | 223,516 | 44,110 | 5.1 | 1.83% |
| რუმინეთი | 243,101 | 39,417 | 6.2 | 1.99% |
| მალაიზია | 256,703 | 54,333 | 4.7 | 2.10% |
| უკრაინა | 264,980 | 47,939 | 5.5 | 2.17% |
| ფილიპინები | 113,511 | 29,297 | 3.9 | 0.93% |
| საბერძნეთი | 129,249 | 33,402 | 3.9 | 1.06% |
| წყარო: ITC Trademap | | | | |

| ცხრილი # 84 თამბაქოს ექსპორტიორების ათეული | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორ ები | 2014 | | | 2015 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულებ ა აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულებ ა აშშ $ |
| მსოფლიო | 2,512,351 | 12,074,477 | 4.8 | 2,275,376 | 11,054,299 | 4.9 |
| ბრაზილია | 460,525 | 2,414,084 | 5.2 | 497,956 | 2,109,284 | 4.2 |
| ინდოეთი | 215,656 | 688,445 | 3.2 | 205,610 | 638,724 | 3.1 |
| აშშ | 158,767 | 1,137,866 | 7.2 | 52,292 | 1,154,345 | 22.1 |
| ჩინეთი | 159,046 | 580,333 | 3.6 | 153,922 | 578,044 | 3.8 |
| ბელგია | 105,066 | 612,345 | 5.8 | 164,794 | 870,685 | 5.3 |
| ზიმბაბვე | 141,559 | 807,602 | 5.7 | 148,268 | 864,954 | 5.8 |
| მალავი | 256,100 | 646,655 | 2.5 | 126,235 | 495,643 | 3.9 |
| არგენტინა | 54,607 | 265,144 | 4.9 | 44,232 | 195,206 | 4.4 |
| ტანზანია | 76,525 | 193,174 | 2.5 | 65,682 | 216,519 | 3.3 |
| იტალია | 61,480 | 302,576 | 4.9 | 58,601 | 257,647 | 4.4 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | |

აჭარაში მოქმედი საწარმოა ქედის მუნიციპალიტეტში ქართული სიგარის მწარმოებელ კომპანია შპს ,,იმერი''. კომპანია დაფუძნებულია 1992 წლიდან, ხოლო სიგარაზე მუშაობა დაიწყო 2007 წლიდან, აღნიშნული საწარმო 2000 კვადრატულ მეტრზეა განლაგებული. საწარმოს ამოქმედებში 120 000 აშშ დოლარი დაიხარჯა, ასევე დამატებით აგროკრედიტის სახით 40 000 აშშ დოლარი. თამბაქოს მიღება ხდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობიდან, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

პროდუქცია რამდენიმე დასახელების თამბაქოს კუპაჟისაგან კეთდება. ამჟამად იწარმოება 30 დასახელების სიგარა.

დღის განმავლობაში საწარმოს შეუძლია 2 000 ღერი სიგარის წარმოება. გასახვევად გამზადებული და დაჭრილი თამბაქო 25 გრამიან პაკეტებად ფასოვდება. საწარმოში ამჟამად დასაქმებულია 29 ადამიანი. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება, როგორც შიდა ასევე, უცხოეთის ბაზრზე.

### 2.1.1.3. დაფნა

**დაფნის მსოფლიო ბაზარი და საქართველო:**

დაფნის ფოთლის ერთერთი უმსხვილესი ექსპორტიორია თურქეთი. დაფნის პლანტაციები ბუნებრივად მოიპოვება ეგეოსის, ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ნედლეულის ძირითადი მწარმოებლები არიან: იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, სირია და სხვა. საქართველოში დაფნა ძირითადად, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ხარობს. ჩვენთან დაფნის წარმოების დონე საკმაოდ მაღალი იყო გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. სწორედ დაფნა მიიჩნეოდა ჩაისა და ციტრუსების შემდგომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურად. იმ პერიოდისათვის დაფნის პლანტაციებს 6 ათასი ჰა ეჭირა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაფნის კულტურის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, დაფნის ნედლეულის შესასყიდი ფასის სიმცირის გამო მოსახლეობას არ უღირდა დაფნის ჩაბარება და პლანტაციები თანდათანობით შემცირდა. ამ ყველაფრის ფონზე, დაფნაზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით მზარდია. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა დაფნის ეთეროვან ზეთზე. კარგი მოვლის შემთხვევაში შესაძლებელია 1 ჰა პლანტაციიდან მივიღოთ 5-10 ტონა ნედლი დაფნა, რაც გამხმარ ფოთოლზე გადაყვანით, 1-2 ტონას შეადგენს.

დაფნის ეთერზეთი ერთ-ერთი მოთხოვნადი და ძვირადღირებული პროდუქტია, 2014 წლის მონაცემებით დაფნის ეთერზეთის საბაზრო ფასი კილოგრამზე 65-80 ევროს ფარგლებში მერყეობდა. ეთერზეთის გამოსავლიანობა 2-5%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 კგ ეთერზეთის მისაღებად საჭიროა მინიმუმ 50 კგ ნედლეული. დაფნის მცენარის თითქმის ყველა ნაწილი და მათ შორის მერქანიც შეიცავს ეთეროვან ზეთს. ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ფოთლები და ახალგაზრდა ტოტები.

შემოსავლების სამსახურის მონაცემებით 2017 წლის იანვარ-აპრილში საქართველოდან 1991 ტონა დაფნის ფოთოლი გავიდა ექსპორტზე. ამავე პერიოდში საექსპორტო ქვეყნების სამეულშია რუსეთი თურქეთი და უკრაინა. ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე ძვირად ქართული დაფნა პოლონეთში გავიდა, სადაც ერთი კილოგრამის საშუალო ფასი 3,04 დოლარია, ასევე გერმანიაში ერთი კილოგრამის საშუალო ფასი 2,37 დოლარია, რუსეთში -1,65 დოლარი, ხოლო თურქეთში 1.4 დოლარი. ექსპორტიორების ინფორმაციით ევროკავშირში ხარისხიანი დაფნის ფასი 5-12 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ხოლო რუსეთში 1,5-4,5 დოლარია. ჩვენი ინფორმაციით დაფნის ეთერზეთი ექსპორტზე მხოლოდ შპს ჯეოდაფნას გააქვს, წელიწადში 400 კგ-ის ოდენობით.

1988 წელს შეიქმნა საწარმო „ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატი", რომელიც 1995 წ. გადაკეთდა (შპს), ეთეროვანი ზეთების ქარხანად. კომპანიის პროფილია ეთერზეთოვანი, კერძოდ, დაფნის, ევკალიპტის, რეჰანის და სხვა კულტურების გადამუშავება და მათგან ეთეროვანი ზეთების წარმოება, საწარმოს სიმძლავრე

გათვლილია ყოველწლიურად გამოუშვას 10–12 ტ. ზეთი და 1000 ტ დაწნეხილი, დაფასოებული მშრალი ფოთოლი. (წყარო: ენციკლოპედია „ საქართველო“ -ეთერზეთი).

საქართველოში დაფნის გადამამუშავებელი საწარმოთა რიცხვი 10-20-მდეა, რომელთაგან მსხვილი ექსპორტიორია 5-მდე საწარმო. ისინი ძირითადად სამეგრელოში ოპერირებენ, თუმცა შემგროვებლებისა და დამამზადებლების გავლით იმერეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებიდანაც იღებენ ნედლეულს.

**დაფნის სექტორის მიმოხილვა საქართველოში:**

საქართველოში დაფნის მცენარეებს ამჟამად 1500 ჰა უკავიათ. საშუალოდ მოსავალი 1 ჰექტარზე 3-დან 5 ტ-ს. (4 ტ. საშუალოდ) შეადგენს. მთლიანი წლიური მოცულობა ითვლის 6 ათას ტ. დაფნის გამომშრალ ფოთოლს. დაფნის ფოთლის მწარმოებელი კომპანიები ნედლეულს უმეტესად მცირე საკარმიდამო ნაკვეთებიდან იძენენ, რომელთაგან თითოეულს საშუალოდ 2,5 ტ. დაფნის ნედლი ფოთლის (თავის ღეროებით) მიწოდება შეუძლია. დაახლოებით 5 კგ. ნედლეულია (დაფნის ნედლი ფოთოლი და ღერო) საჭირო 1 კგ. გამომშრალი დაფნის ფოთლის საწარმოებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეულ საკარმიდამო ნაკვეთს დაახლოებით 500 კგ. დაფნის ფოთლის მოწოდება შეუძლია მშრალი ფორმით. სტატისტიკური მონაცემებით, 10 000 საკარმიდამო ნაკვეთია ჩართული დაფნის ფოთლის (ნედლი ფოთოლი და ღერო) მიწოდებაში.

ამჟამად საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კომპანიას აქვს საკუთარი დაფნის პლანტაცია. შპს „ქართული დაფნა“ ფლობს 5 ჰა. დაფნის ფოთოლის პლანტაციას, შპს „დაფნა“ - 51 ჰა. პლანტაციას და შპს „ ჯუმითი“ – 61 ჰა. ახლად შეძენილ პლანტაციას, იმის გათვალისწინებით, რომ დაფნის გამომშრალი ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 3-5 ტონაა (ნედლი ფოთლისა და ღეროს წარმოების საშუალოდ 20%), საქართველოს წარმოება სამრეწველო პლანტაციებიდან იღებს მხოლოდ 122 ტონა გამომშრალ პროდუქტს (56 ჰა. დაფნის ფოთლის სამრეწველო პლანტაცია იძლევა 4 ტ. მოსავალს ჰექტარზე, მაგრამ მხოლოდ ამ პლანტაციების ნახევრიდან იღებენ მოსავალს ყოველ წელს). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მიმდინარე წლიური ექსპორტი საშუალოდ 4 500 ტ. შეადგენს, სამრეწველო პლანტაციებიდან დაფნის ფოთლის წარმოება მხოლოდ 3 %-ია, დანარჩენი 97% იწარმოება კერძო საკარმიდამო ნაკვეთებიდან შეძენილი ნედლეულით.

დაფნის ფოთლის ერთერთი მსხვილი ექსპორტიორია კომპანია აგროლენდი, აგროლენდის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, პოლონეთი და თურქეთი. ევროკავშირის ქვეყნებში გააქვს შედარებით ნაკლები პროპორციებით. ევროპა კარგა ხანია შეჩვეულია თურქულ დაფნას და ქართული დაფნისთვის ბაზარზე თავის დამკვიდრება არ არის ადვილი. თითქმის საუკუნეა რაც ევროპა თურქული დაფნით მარაგდება. კომპანია შპს “ჯეოდაფნა“-ს საკუთარი პლანტაციები არ აქვს და ნედლეულს მთლიანად გლეხებისაგან იბარებს. ძირითად საექსპორტო ბაზრებს რუსეთი და თურქეთი წარმოადგენენ. საექსპორტო ფასები ხარისხზეა დამოკიდებული და 2,2-2,5 დოლარის ფარგლებში მერყეობს. (წყარო:

http://eugeorgia.info/ka/article/620/dafnis-qartveli-eqsportiorebi-produqciis-xarisxis-gaumjobesebaze-mushaoben/)

**მსოფლიო ბაზრის მიმოხილვა:**

თურქეთი ითვლება დაფნის ფოთლის წარმოებისა და ექსპორტის მსოფლიო ლიდერად. თურქეთი და საქართველო დაფნის ფოთლით ამარაგებენ და ირჩევენ ერთსა და იმავე ბაზრებს. საქართველოს საშუალოდ ყოველწლიურად საექსპორტოდ გააქვს 4000-5000 ტ. დაფნის გამომშრალი ფოთოლი. საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან: რუსეთი, თურქეთი და უკრაინა, შემდეგ მოდის ყაზახეთი, უზბეკეთი, ფილიპინები, ბელორუსია, ტაჯიკეთი, ვიეტნამი და სხვა ქვეყნები.

**ცხრილი # 85 ქართული დაფნის ფოთლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (2016)**

| ქვეყანა | ათასი აშშ $ | ტონა | ფასი/კგ |
|---|---|---|---|
| მსოფლიო | 7369 | 4095.6 | 1.8 |
| რუსეთი | 4,011 | 2,021 | 2.0 |
| თურქეთი | 1,242 | 707.7 | 1.8 |
| უკრაინა | 1,104 | 676.3 | 1.6 |
| ყაზახეთი | 235.1 | 155.7 | 1.5 |
| უზბეკეთი | 194.4 | 231. 2 | 0.8 |
| ფილიპინები | 138.6 | 73.6 | 1.9 |
| ბელორუსი | 58.6 | 26.6 | 2.2 |
| ბულგარეთი | 57.1 | 22.4 | 2.5 |
| ტაჯიკეთი | 46.0 | 40.9 | 1.1 |
| ვიეტნამი | 43.21 | 8.0 | 2.4 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | |



| ცხრილი # 86 დაფნის ექსპორტიორების ათეული | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები | 2015 | | | 2016 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ |
| მსოფლიო | 278 275 | 718 776 | 2,6 | 250 091 | 695 674 | 2,8 |
| ინდოეთი | 127 054 | 135 328 | 1,1 | 92 127 | 129 014 | 1,4 |
| თურქეთი | 33 119 | 104 638 | 3,2 | 34 465 | 111 739 | 3,2 |
| სამხ. აფრიკა | 14 858 | 46 616 | 3,1 | 17 193 | 39 144 | 2,3 |
| ესპანეთი | 6 503 | 22 022 | 3,4 | 6 481 | 22 575 | 3,5 |
| აშშ | 6 180 | 29 528 | 4,8 | 5 950 | 32 714 | 5,5 |
| მალაიზია | 7 116 | 17 261 | 2,4 | 5 541 | 17 136 | 3,1 |
| გაერთ. სამეფო | 4 005 | 18 214 | 4,5 | 4 086 | 19 864 | 4,9 |
| გერმანია | 3 592 | 39 291 | 10,9 | 3 905 | 48 504 | 12,4 |
| ნიდერლანდები | 4 156 | 22 191 | 5,3 | 3 842 | 19 782 | 5,1 |
| ჩინეთი | 3 469 | 24 349 | 7,0 | 3 554 | 22 086 | 6,2 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | |

თურქეთი რჩება საქართველოსათვის დაფნის ფოთლის ერთერთ უმთავრეს საექსპორტო ბაზრად. იგი ასევე ყიდულობს დაფნის ფოთოლს სირიაში. იმპორტირებული დაფნის ფოთოლი თურქეთს იმავე ხარისხისა და ფორმის თურქულ დაფნის ფოთოლთან ერთად დამატებითი ღირებულებით გააქვს რეექსპორტზე მსოფლიო მასშტაბით.

| ცხრილი # 87 დაფნის ფოთლის ექსპორტი საქართველოდან ევროკავშირში | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეყანა | 2015 | | 2016 | |
| | აშშ $ | კგ | აშშ $ | კგ |
| სულ | 80,800 | 35,200 | 167,000 | 67,900 |
| პოლონეთი | 19,147 | 8,650 | 41,072 | 16,000 |
| ლატვია | 35,066 | 15,090 | 34,183 | 14,001 |
| ბულგარეთი | 13,160 | 5,264 | 57,063 | 22,400 |
| უნგრეთი | - | - | 13,211 | 6,000 |
| ესპანეთი | 13,403 | 6,200 | 21,453 | 9,500 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | |

საქართველო დაფნის ფოთლის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორია მსოფლიოში. პოსტსაბჭოთა ქვეყნები ძირითადი საექსპორტო ბაზარია საქართველოსთვის, ამ ბაზრების საერთო თვისებებია: ქართული დაფნის ფოთლის ცნობადობა, ახლო გეოგრაფიული მდებარეობა, ორმხრივად აღიარებული სტანდარტების/ხარისხის მოთხოვნები, სასურველი გადახდის (წინასწარი გადახდის) და მიწოდების პირობები, შესაფერისი საკომუნიკაციო და სავაჭრო უნარ-ჩვევები და ქართველი ექსპორტიორების დიდი გამოცდილება ამ ბაზრებზე. საერთაშორისო ბაზარზე

თურქეთი საქართველოს მთავარი კონკურენტია. დაფნის ფოთლის იმპორტი და ადგილობრივი მოთხოვნა უმნიშვნელოა შიდა ბაზარზე და წარმოება ძირითადად ექსპორტზეა ორიენტირებული.

საქართველოში წარმოებული დაფნის ფოთოლი თითქმის მთლიანად გადის ექსპორტზე, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები უმნიშვნელოა. ამჟამად საქართველოს დაფნის ფოთლის ექსპორტიორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან: თურქეთი, რუსეთი და უკრაინა, მხოლოდ მათ შემდეგ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები - ყაზახეთი, ბელორუსი, უზბეკეთი და სხვ. ასევე ხორციელდება უმნიშვნელო ექსპორტი პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში, სამხრეთ კორეაში, ვიეტნამში, ნიგერიაში, ფილიპინებზე, ესპანეთში, ბულგარეთსა და სხვა. ქართული დაფნის ფოთლის ძირითადი მყიდველები იმპორტიორ ქვეყნებში არიან სანელებლების ბითუმად შემსყიდველნი, ადგილობრივი ბაზრების დისტრიბუტორები ან საცალო ვაჭრობის ქსელები, რომლებიც თვითონ უზრუნველყოფენ შეფუთვას. ამჟამად საქართველოში დაფნის ფოთლის 49 ექსპორტიორია, დიდი და მცირე მწარმოებლების ჩათვლით.

**ცხრილი # 89 საქართველოში დაფნის ფოთლის მწარმოებლები**

| კომპანია | მისამართი | საკონტაქტო ინფორმაცია |
|---|---|---|
| შპს გეოპრიპრავა | საქართველო, ხობი, დადიანის 137 | 597739574; geopriprava@yahoo.com |
| შპს აგროლენდი | საქართველო, ზუგდიდი, კრილოვის ქ. 1 | 599704228; george_nadaraia@yahoo.com |
| შპს დაფნა | საქართველო, სენაკი, მშვიდობის ქ. ,174 | 551203022; 595139229; laurusgeorgia@mail.ru |
| შპს ფარკონი | საქართველო, ქუთაისი, კ. ხეთაგუროვის ქ.22ა | 597606267, 592409191; alpaidze-1@yandex.ru |
| შპს სორტა | საქართველო, სენაკი, ჭყონდიდელის ქ.13ა | 595323131,579559191; giorgi7519@gmail.com |
| შპს გეოდაფნა | საქართველო, ზუგდიდი, ხუბულავას ქ.14. | 595515053,robertjanashia@mail.ru |
| შპს ხეთა | საქართველო, ხობის რ-ნი, სოფ. ხეთა | 599114346; 595514748, bia@mail.ru |
| შპს ნასტი & იაკობი 2010 | საქართველო, ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. 56, | 592070929; 597882414 irakli6634@gmail.com |
| შპს მესხეთი 95 | საქართველო, წყალტუბო, სოფ. მესხეთი | 555519910; 599272333; besolagadze@rambler.ru |
| შპს ლიფლუქსი | საქართველო, ხელვაჩაური, სოფ. კაპრეშუმი | 568716942; m.mgeladze@iset.ge |
| შპს ლეალუქსი | საქართველო, ბათუმი | მარინა გელაძე; 568716942; |
| ორთაბათუმის გადამამუშავებელი საწარმო | საქართველო, ხელვაჩაური, სოფ. ორთაბათუმი | --- |
| შპს ქართული დაფნა | საქართველო, ვანი | 579559191; georgianlaurel@gmail.com |
| შპს ლაურუსი | საქართველო, სენაკი | 551384848; laurus.okj@gmail.com |

| ცხრილი # 90 საქართველოში დაფნის წარმოების, იმპორტის, ექსპორტის და მოთხოვნის შესახებ (ტონა) | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| წარმოება | 3,630.0 | 3,605.0 | 4,222.0 | 4,695.0 | 4,135.0 |
| იმპორტი | 0.1 | 0.1 | 0.3 | 16.1 | 1.6 |
| ექსპორტი | 3,591.2 | 3,564.6 | 4,182.8 | 4,662.7 | 4,095.6 |
| მოთხოვნა | 38.9 | 40.5 | 39.5 | 48.4 | 41.0 |
| წყარო: ქართული დაფნა და მისი საექსპორტო პოტენციალი 2017 წელი | | | | | |

| ცხრილი # 91 ქართული დაფნის ექსპორტის მოცულობა ტონებსა და აშშ დოლარში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წლები** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** |
| **ათასი აშშ დოლარი** | 4,715.9 | 5,068.9 | 6,612.1 | 7,952.1 | 7,369.4 |
| **ტონა** | 3,591.2 | 3,564.6 | 4,182.8 | 4,662.7 | 4,095.6 |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | | |



| ცხრილი # 92 ქართული დაფნის ექსპორტი 2016 წელს | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქვეყანა** | **ათასი აშშ დოლარი** | **ტონა** | **ფასი/კგ ($)** | **%** |
| მსოფლიო | 7,369.4 | 4,118.0 | 1.8 | 100.0% |
| რუსეთი | 4,010.5 | 2,021.3 | 2.0 | 54.4% |
| თურქეთი | 1,241.8 | 707.7 | 1.8 | 16.9% |
| უკრაინა | 1,104.4 | 676.3 | 1.6 | 15.0% |
| ყაზახეთი | 235.1 | 155.7 | 1.5 | 3.2% |
| უზბეკეთი | 194.4 | 231.2 | 0.8 | 2.6% |
| ფილიპინები | 138.6 | 73.6 | 1.9 | 1.9% |
| ბელარუსი | 58.6 | 26.6 | 2.2 | 0.8% |
| ბულგარეთი | 57.1 | 22.4 | 2.5 | 0.8% |
| დანარჩენი ქვეყნები | 328.8 | 203.2 | 1.6 | 4.5% |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | |

| ცხრილი # 93 დაფნის იმპორტი საქართველოში 2016 წელი | | | |
|---|---|---|---|
| **ქვეყანა** | **ათასი აშშ დოლარი** | **ტონა** | **ფასი/კგ** |
| მსოფლიო | 1,600.0 | 1,600.0 | 1.0 |
| რუსეთის ფედერაცია | 927.0 | 1,530.0 | 0.6 |
| საბერძნეთი | 488.0 | 27.0 | 18.1 |
| არაბეთის გაერ. საემიროები | 63.0 | 26.0 | 2.4 |
| დანარჩენი ქვეყნები | 122.0 | 17.0 | 7.2 |
| წყარო: ITC Trademap | | | |

| ცხრილი # 94 მსოფლიო დაფნის წარმოება 2014 წელი | | | |
|---|---|---|---|
| **ადგილი** | **ქვეყანა** | **ათასი ტონა** | **წილი (%)** |
| მსოფლიო | | 2,169 | 100.00% |
| 1 | ინდოეთი | 1,504 | 69.33% |
| 2 | ჩინეთი | 201 | 9.26% |
| 3 | ბანგლადეში | 155 | 7.14% |
| 4 | პაკისტანი | 75 | 3.45% |
| 5 | ეთიოპია | 38 | 1.75% |
| 6 | თურქეთი | 35 | 1.60% |
| 7 | ნეპალი | 22 | 1.00% |
| 8 | ირანი | 19 | 0.89% |
| 9 | კოლუმბია | 18 | 0.84% |
| 10 | მიანმარი | 6 | 0.30% |
| 17 | საქართველო | 4 | 0.18% |
| დანარჩენი ქვეყნები | | 92 | 4.26% |
| წყარო: FAOSTAT | | | |

| ცხრილი # 95 დაფნის იმპორტიორთა სია | | | | |
|---|---|---|---|---|
| იმპორტიორები | სავაჭრო ინდიკატორი | | | |
| | **2016 წელს იმპორტირებულის ღირებულება (ათასი აშშ $)** | **2016 წელს იმპორტის რაოდენობა (ტონა)** | **კგ-ის ღირებულება აშშ $** | **მსოფლიო იმპორტის წილი (%)** |
| მსოფლიო | 779,381 | 259,590 | 3.0 | 100.00% |
| საუდის არაბეთი | 94,134 | 24,204 | 3.9 | 12.08% |
| აშშ | 83,645 | 26,969 | 3.1 | 10.73% |
| გერმანია | 44,742 | 11,107 | 4.0 | 5.74% |
| გაერთიანებული სამეფო | 29,971 | 10,075 | 3.0 | 3.85% |
| ვიეტნამი | 24,751 | 15,932 | 1.6 | 3.18% |
| დანია | 23,068 | 6,837 | 3.4 | 2.96% |
| ბელგია | 20,983 | 4,499 | 4.7 | 2.69% |
| საფრანგეთი | 19,362 | 3,618 | 5.4 | 2.48% |
| ესპანეთი | 17,632 | 5,394 | 3.3 | 2.26% |
| არაბ. გაერთ. საიმიროები | 16,693 | 8,727 | 1.9 | 2.14% |
| ნიდერლანდები | 16,334 | 4,594 | 3.6 | 2.10% |
| კანადა | 16,063 | 3,673 | 4.4 | 2.06% |
| იაპონია | 15,000 | 2,468 | 6.1 | 1.92% |
| აუსტრია | 13,268 | 2,716 | 4.9 | 1.70% |
| ნეპალი | 13,109 | 8,181 | 1.6 | 1.68% |
| შვედეთი | 13,009 | 3,025 | 4.3 | 1.67% |
| მალაიზია | 12,174 | 6,051 | 2.0 | 1.56% |
| ბოტსვანა | 11,658 | 3,419 | 3.4 | 1.50% |
| პოლონეთი | 11,332 | 2,468 | 4.6 | 1.45% |
| თურქეთი | 10,833 | 7,545 | 1.4 | 1.39% |
| წყარო: ITC Trademap | | | | |

| ცხრილი # 96 დაფნის ექსპორტიორების ათეული | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები | 2014 | | | 2015 | | | 2016 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ |
| მსოფლიო | 251,305 | 666,336 | 2.7 | 278,275 | 718,776 | 2.6 | 250,091 | 695,674 | 2.8 |
| ინდოეთი | 99,175 | 108,733 | 1.1 | 127,054 | 135,328 | 1.1 | 92,127 | 129,014 | 1.4 |
| თურქეთი | 30,722 | 10,460 | 0.3 | 331,194 | 104,638 | 0.3 | 34,465 | 111,739 | 3.2 |
| სამხ. აფრიკა | 14,413 | 42,924 | 3.0 | 14,858 | 46,616 | 3.1 | 17,193 | 39,144 | 2.3 |
| ესპანეთი | 5,948 | 23,947 | 4.0 | 6,503 | 22,022 | 3.4 | 6,481 | 22,575 | 3.5 |
| აშშ | 5,693 | 27,021 | 4.7 | 6,180 | 29,528 | 4.8 | 5,950 | 32,714 | 5.5 |
| მალაიზია | 5,643 | 18,221 | 3.2 | 7,116 | 17,261 | 2.4 | 5,541 | 17,136 | 3.1 |
| გაერთ.სამეფო | 3,236 | 16,207 | 5.0 | 4,005 | 18,214 | 4.5 | 4,086 | 19,864 | 4.9 |
| გერმანია | 3,603 | 43,383 | 12.0 | 3,592 | 39,291 | 10.9 | 3,905 | 48,504 | 12.4 |
| ნიდერლანდები | 4,558 | 19,749 | 4.3 | 4,156 | 22,191 | 5.3 | 3,842 | 19,782 | 5.1 |
| ჩინეთი | 2,890 | 19,186 | 6.6 | 3,469 | 24,349 | 7.0 | 3,554 | 22,086 | 6.2 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | | | | |

## 2.1.2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომლებიც საქართველოში და მათ შორის გამოკვეთილად აჭარაში აღარ იწარმოება:

### 2.1.2.1. ტუნგი

ტუნგის კულტურას ეკონომიკური თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მან ჩაისა და ციტრუსოვან კულტურასთან ერთად, თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

მცენარეულ ზეთებს ფართოდ იყენებენ კვების მრეწველობაში, საკონსერვო და საკონდიტრო წარმოებაში, ქიმიურ, ლაქ-საღებავების, საპნის სახარშ, საფეიქრო და საპარფიუმერიო მრეწველობაში. მცენარეულ ზეთებს წარმატებით იყენებენ აგრეთვე მედიცინაში. ზეთსახდელი წარმოების ნარჩენები — კოპტონი, შროტი და სხვა ძვირფასი საკვებია პირუტყვისათვის.

საქართველოში გავრცელებულ მრავალწლიან სუბტროპიკულ მცენარეთა შორის ტუნგს დაკავებული ფართობებითა და სახალხო სამეურნეო მნიშვნელობით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ტუნგის ხის ნაყოფის გულიდან (თესლიდან) მიიღება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ტექნიკური ზეთი, რომელსაც მრეწველობის სხვადასხვა დარგში მრავალმხრივ იყენებენ. ტუნგის ზეთი სწრაფად შრება, მისგან საუკეთესო სანდალოზი (ლაქი), მინანქარი, საღებავები, რომლებიც არაჩვეულებრივი გამძლეობით, სიმტკიცით, ელასტიურობით და წყალუჟონვადობით გამოირჩევა. მასზე არ მოქმედებს ტენი, სიმჟავე, მარილი, ელექტრომუხტი და სხვა. ტუნგის ზეთი ლითონს იცავს კოროზიისგან, ხოლო ხის ნაკეთობებს - ლპობისგან. გათბობისას არ ლღვება, იგი არ იხსნება ცხიმების ჩვეულებრივ გამხსნელში. ამ მაჩვენებლებით ტუნგის ზეთი სწორუპოვარია დღემდე ცნობილ მცენარეულ ზეთებს შორის. ტუნგის ზეთის განსაკუთრებული შრობადობა აიხსნება თვით ზეთის ქიმიური შემადგენლობით, სახელდობრ, ზეთში ელეოსტეარინის მჟავას არსებობით.

ტუნგის ზეთზე დამზადებული სანდალოზითა და საღებავებით ღებავენ თვითმფრინავებს, მსუბუქ ავტომანქანებს, სამგზავრო ვაგონებს, ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ჰიდროტურბინების წყალქვეშა ნაწილებს. ტუნგის ზეთისგან დამზადებული საღებავები იცავს გემების წყალქვეშა ნაწილებს დაჟანგვისგან, ამასთან გალაქულ ზედაპირს ვერ ეკვრება ზღვის ნიჟარები, რომლებიც გემის მოძრაობას ანელებენ. ტუნგის ზეთისგან მზადდება კაუჩუკის შემცვლელი, იყენებენ ტექნიკური რეზინის წარმოებაში, მსუბუქ მრეწველობაში, ლინოლიუმის, მუშამბის, ხელოვნური ტყავის, წყალგაუმტარი ქსოვილების დამზადებაში და სხვა. ტუნგის ზეთს იყენებენ როგორც ინსექტიციდს. ზეთის წარმოების ნარჩენები სათანადო გადამუშავების შემდეგ

გამოიყენება სასუქად, ხოლო ნაჭუჭის და ზეთის ნამწვი საუკეთესო მასალაა უმაღლესი ხარისხის მელნის და ტუშის დასამზადებლად.

ამასთანავე ტუნგის მცენარე თაფლოვანი მცენარეა, ადრე ყვავილობს, ამიტომ მეფუტკრეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი კულტურაა. მერქანი წყალზე უფრო მსუბუქია, წყლის მოქმედებით დეფორმაციას არ განიცდის, მისგან ამზადებენ ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმებტებს.

ტუნგი მეოცე საუკუნეში სუბტროპიკული მეურნეობის ერთ-ერთ რენტაბელურ კულტურად იქცა, რადგან კარგად ხერხდებოდა მისი შეთანაწყობა ისეთ ძირითად კულტურებთან როგორიცაა ჩაი და ციტრუსი. ტუნგის პლანტაციის 1,0 ჰექტარზე 10-12 ტონაზე მეტი ნაყოფის მიღება შეიძლება. გარდა მაღალი რენტაბელობისა, საყურადღებოა შრომითი რესურსების განაწილების მხრივ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ტუნგის პლანტაციაში ნაყოფის შეგროვება და გარჩევა გვიან შემოდგომაზე მიმდინარეობს, მაშინ, როცა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დამთავრებულია.

ტუნგის პლანტაციას აშენებენ 1 წლიანი ნერგებით, იზრდება სწრაფად და მე-3-4 წელს იწყებს მოსავლის მოცემას. 1 ჰა-დან იძლევა საშუალოდ 10-12 ტ. მოსავალს, რისგანაც მზადდება 1 ტ ზეთი.

ტუნგის პლანტაციის გასაშენებლად შერჩეული უნდა იქნეს ზღვის დონიდან 300-400 მ სიმაღლეზე მდებარე ბორცვიანი ადგილები, რომელთა შუა და ზედა მონაკვეთები საუკეთესოდ ითვლება, ფერდობების დაქანება არ უნდა აღემატებოდეს $30^0$-ს. ვაკე ადგილებში, სადაც ნიადაგი და კლიმატი ხელსაყრელია ტუნგისათვის აუცილებელია მელიორაციული ღონისძიებების გატარება ზედმეტი ტენის მოსაცილებლად. (წყარო - რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემების შესახებ. თბილისი 1982).

ტუნგის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში დადგენილია, რომ 1 ჰა-ზე უნდა იყოს 360 ძირი ტუნგის ხე და საშუალო მსხმოიარობის პირობებში თითოეული უნდა იძლეოდეს 25-30კგ-ს. რაც 1 ჰა-ზე შეადგენს 8-10 ტონას. ჩვენი პირობებისათვის შენდებოდა 200-360 ძირი მცენარე. უნდა აღინიშნოს, რომ ტუნგის ხის მოსავლიანობა 20 წლის ასაკის შემდეგ კლებულობს, ხოლო 30 წლის ასაკის შემდეგ თითქმის სრულებით არ იძლევა მოსავალს. (წყარო: ბეჟანიძე ი.ბ. ჟ. სუბტროპიკული კულტურები 1972, #5 გვ.163).

ტუნგის აღმონაცენი ძლიერ სწრაფი ზრდით ხასიათდება, განსაკუთრებით ჩინური სახეობის. მოსხმას 2-3 წლიდან იწყებს, იაპონური კი — მე-5-6 წლიდან. ჩინური სახეობა სრულ მსხმოიარობას მე-6-7 წელს აღწევს, იაპონური კი — მე-10-12 წლიდან.

ტუნგის მსხმოიარობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და დიდ დიაპაზონში მერყეობს. სრულასაკოვანი ჩინური ტუნგის ერთ ხეს შეუძლია მოგვცეს 25-დან 100 კგ.-მდე ნაყოფი, იაპონურს კი — 17-დან 80 კგ.-მდე. ჩინური ტუნგის 1 კგ. გაწმენდილი თესლი დაახლოებით 250 ცალ მარცვალს შეიცავს, იაპონური კი — 800 ცალს.

ჩინური ტუნგის მშრალ თესლის გულში ცხიმ-ზეთის შემცველობა 49-54%-ის ფარგლებში მერყეობს. მისი ზეთი სწრაფი შრობითა და სხვა განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება. იაპონური ტუნგის ზეთიანობა 67-72%-აღწევს, მაგრამ მისი

ზეთი შედარებით მდარე ხარისხისაა და უფრო გვიან შრება. აღსანიშნავია რომ იაპონური ტუნგის ვეგეტაციის პერიოდი 20-30 დღით უფრო მოკლეა, ვიდრე — ჩინურისა.

ტუნგის ხე ნიადაგის მიმართ დიდად მომთხოვნი არ არის, მაგრამ ადგილობრივმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფაქტობრივად ის ამ მხრივ საკმაოდ მომთხოვნია. ტუნგისთვის ხელსაყრელია ჰუმუსით მდიდარი, ღრმა წყალგამტარი ნიადაგი. იგი ძნელად ეგუება და ხშირად ხმება კიდეც მძიმე მექანიკური შემადგენლობის, მცირე სიღრმის, გადარეცხილ ნიადაგებზე. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნიადაგის არეს რეაქციას, იგი ვერ ეგუება ტუტე და ძლიერ მჟავე ნიადაგებს. მისთვის ყველაზე უკეთესია სუსტი მჟავე და ნეიტრალური რეაქციის ნიადაგები (PH-4,5-7,0). ამ კულტურისთვის გამოსადეგია ტიპური წითელმიწები, გაეწერებული წითელმიწები, ყვითელმიწები, სუსტი და საშუალო ეწერი, უკარბონატო-ალუვიური, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები.

წარმოებაში ტუნგის ხე ძირითადად თესლით მრავლდება. თესლს აგროვებენ წინასწარ, აპრობირებული სადედე ხეებიდან და სანერგეში აღზრდილ 1-2-წლიანი ნერგებით აშენებენ პლანტაციას. ტუნგი ადვილად მრავლდება მყნობითაც და ეს მეთოდი ყველაზე უკეთესია ერთგვაროვანი უხვმოსავლიანი პლანტაციების გასაშენებლად.

ჩინური ტუნგის თესლის აღმოცენების უნარი 60-70%-ს არ აღემატება, იაპონური ტუნგის კი 80%-ს აღწევს, თესლის გაღივებისათვის ჰაერის ოპტიმალურ ტემპერატურად 25-30$^0$C ითვლება. აღმოცენების უნარს თესლი 1-2 წელს ინარჩუნებს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ იგი ძლიერ ეცემა და პრაქტიკულად უვარგისი ხდება.

ჩინური ტუნგის ხის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-35 წლის ფარგლებში მერყეობს, იაპონურისა კი — 50 წლამდე. გასაშენებელი პლანტაციის ნიადაგის შერჩევისას, გასათვალისწინებელია, რომ ტუნგის კულტურა მაღალ სამეურნეო ეფექტს მხოლოდ ხელსაყრელ გარემო პირობებში იძლევა. ჩინური ტუნგი უფრო ყინვა და გვალვაგამძლეა, ვიდრე იაპონური. ის მოითხოვს ხანგრძლივ სავეგეტაციო პერიოდს.

ტუნგის ვერც ერთი ფორმა ვერ იტანს ნიადაგის ჭარბტენიანობას. ჩინური ტუნგისათვის უნდა გამოვყოთ ნაკვეთები ზღვიდან შედარებით დაშორებულ რაიონებში, ხოლო იაპონური ტუნგისათვის კი ზღვის სანაპირო ზოლი, უფრო ტენიანი კლიმატით და რბილი ზამთრით.

ტუნგის გასაშენებლად გამოყოფილ ნაკვეთზე ნიადაგი უნდა იყოს წყლისა და ჰაერის კარგად გამტარი, ორგანული ნივთიერებებით მდიდარი, ღრმა სახნავი ფენის მქონე, სუსტი მჟავე რეაქციით.

საუკეთესოდ ითვლება წითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. ტუნგი შეიძლება გაშენდეს ვაკე რელიეფის სუსტად და საშუალოდ გაეწერებულ ნიადაგებზეც, თუ ზამთრის კრიტიკული ტემპერატურა 9-12$^0$ C-ზე უფრო დაბლა არ ეცემა.

ნაყოფი შეგროვების შემდეგ ადგილზე უნდა გადამუშავდეს. მათი პირველადი გადამუშავება კოლოფიდან თესლის განთავისუფლებაა, რაც ნაყოფის გაშრობის შემდეგ ჩვეულებრივი მანქანებით წარმოებს. კოლოფიდან განთავისუფლებული თესლი ქარხანაში იგზავნება, სადაც მას ნაჭუჭს ნაწილობრივ აცლიან და გათავისუფლებული

თესლის გულს სპეციალურ წისქვილით ფქვავენ, რის შემდეგაც წნეხის საშუალებით ზეთს ხდიან.

ტუნგის ზეთი მოყვითალო ფერისაა და გამჭვირვალე, მას ჰერმეტულად დახურულ ლითონის ჭურჭლებში ათავსებენ, რომ ჰაერზე არ დაიჟანგოს და ისე აგზავნიან ლაქსაღებავ საწარმოებში, ლაქებისა და სხვა ნაწარმთა დასამზადებლად. (წყარო; ჩხაიძე გ. - სუბტროპიკული კულტურები. თბილისი 1996 წ. ნაწილი 3, გვ 71-84.)

ქართული წარმოების ტუნგის ზეთი არაფრით ჩამორჩებოდა ამერიკული წარმოების ზეთს, ზოგ შემთხვევაში აღემატებოდა კიდეც. სწორედ ამის გამო იყო გაზრდილი მოთხოვნილება ჩვენთან წარმოებულ ზეთზე. ჩინური ტუნგის (ჯიში ფორდი) აბსოლუტურად მშრალი გულიდან, ზეთის გამოსავლიანობა შეადგენდა საშუალოდ 63-64 %-ს, ხოლო იაპონური ტუნგის (ჯიში კორდატა) შესაბამისი მაჩვენებელი იყო 72-73 %. (წყარო: სმოლსკი ნ.ბ. - ტუნგის კულტურის განვითარების მორიგი ღონისძიებები. ლიმონის, ტუნგის კულტურა, IV პლენუმის მასალები. მოსკოვი. 1940. გვ.73-74)

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში, სინთეტიკური აპკწარმომქმნელი დამცავი საშუალებების გამოჩენის შემდეგ, რომელიც მზადდებოდა ნავთობისაგან, ტუნგის კულტურის მიმართ ყურადღება შეასუსტა. მიღებული ზეთი არაფრით არ ჩამორჩებოდა ტუნგის ზეთს. ამან გამოიწვია ტუნგის ფართობების და მოსავლის სერიოზული შემცირება. 1965 წლისათვის დარჩენილი იყო 7000 ჰა-მდე ტუნგის პლანტაცია, ხოლო 1990 წლისათვის 2000 ჰა-მდე შემცირდა.

2005 წლის მონაცემებით მსოფლიოში ტუნგი ველური სახით გვხვდება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში, სამხრეთ ამერიკაში (პარაგვაი, ბრაზილია, კოლუმბია), წყნარი ოკეანის კუნძულებზე და საქართველოში.

1999 წლის მონაცემებით მსოფლიოში 170 ათასს ჰა-ზე დამზადდა 525 ათასი ტონა ტუნგის თესლი, საიდანაც მიღებული იქნა 90 ათასი ტონა ზეთი. (წყარო: შაკაია ნ.ი. - დისერტაციის ავტორეფერატი, 2005წ.)

**ცხრილი # 97 ტუნგის თესლის წარმოება მსოფლიოში (1980)**

| # | ქვეყანა | ფართობი (ათასი ჰა) | ნაყოფი (ათასი ტონა) |
|---|---|---|---|
| 1 | ჩინეთი | 132,0 | 450,0 |
| 2 | პარაგვაი | 10,0 | 43,0 |
| 3 | არგენტინა | 20,0 | 30,0 |
| 4 | მადაგასკარი | 3,8 | 2,6 |
| 5 | მალავი | 3,3 | 2,0 |
| 6 | ბრაზილია | 0,8 | 0,9 |
| 7 | სულ | 170,3 | 524,9 |
| წყარო: შაკაია ნ.ი. - დისერტაციის ავტორეფერატი, მოსკოვი, 2005წ | | | |

| ცხრილი # 98 ტუნგის ზეთის იმპორტი და ექსპორტი 1999 წელს | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტუნგის ზეთის ექსპორტი - 1999წ** | | | | | | | |
| ქვეყანა | ჩინეთი | პარაგვაი | აშშ | ჰოლანდია | მსოფლიო სულ | | |
| ათასი ტ | 24,7 | 2,3 | 1,4 | 1,1 | 31,7 | | |
| **ტუნგის ზეთის იმპორტი - 1999წ** | | | | | | | |
| ქვეყანა | ჩინეთი | აშშ | სამხრეთ კორეა | იაპონია | ჰოლანდია | ტაილანდი | მსოფლიო სულ |
| ათასი ტ | 7,2 | 5,8 | 3,6 | 2,5 | 2,5 | 1,1 | 30 |
| წყარო: http://geo.1september.ru/article.php?ID=200104302 | | | | | | | |



| ცხრილი # 99 მსოფლიო ტუნგის წარმოება 2014 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ადგილი | ქვეყანა | ტონა | წილი (%) |
| მსოფლიო | | 480,877 | 100.00% |
| 1 | ჩინეთი | 416,065 | 86.52% |
| 2 | ბრაზილია | 52,285 | 10.87% |
| 3 | ინდოეთი | 5,397 | 1.12% |
| 4 | აშშ | 4,217 | 0.88% |
| 5 | ინდონეზია | 2,611 | 0.54% |
| 6 | პაკისტანი | 302 | 0.06% |
| წყარო: FAOSTAT | | | |

დიაგრამა # 12 მსოფლიო ტუნგის წარმოება (ტონა)



| ცხრილი # 100 ტუნგის იმპორტიორების ათეული | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმპორტიორები | 2014 | | | 2015 | | | 2016 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ |
| მსოფლიო | 27.7 | 91.0 | 3.3 | 42.8 | 80.9 | 1.9 | 64.9 | 100.3 | 1.5 |
| ფილიპინები | 27.7 | 90.6 | 3.3 | 42.8 | 80.9 | 1.9 | 64.9 | 100.3 | 1.5 |
| სოლომონის კუნძულები | - | 0.4 | - | | | | | | |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | | | | |

| ცხრილი # 101 ტუნგის ექსპორტიორების ათეული | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები | 2014 | | | 2015 | | | 2016 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ |
| მსოფლიო | 296.1 | 221.3 | 0.7 | 0.0 | 0.0 | 0.3 | 3.3 | 15.8 | 4.8 |
| ფილიპინები | 296.1 | 221.3 | 0.7 | 0.0 | 0.0 | 0.3 | 3.3 | 15.8 | 4.8 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | | | | |

| ცხრილი # 102 ტუნგის SWOT ანალიზი | |
|---|---|
| **უპირატესობები**<br>• ინსტიტუციონალური მეხსიერება;<br>• პროდუქციის მაღალი ხარისხი; | **სისუსტეები**<br>• ბოლო წლებში ბაზარზე აქტიურობის არარსებობა;<br>• გადამამუშავებელი საწარმოს არ არსებობა (მხოლოდ 1 საწარმო საქართველოში);<br>• ბოლო წლებში ბაზარზე მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა;<br>• შეზღუდული საწარმოო შესაძლებლობები;<br>• ენობრივი ბარიერები;<br>• ექსპორტის გამოცდილების ნაკლებობა;<br>• სამუშაო კაპიტალის ნაკლებობა მსხვილი შეკვეთებისთვის; |
| **შესაძლებლობები**<br>• საწარმოო სიმძლავრეების შექმნის პოტენციალი;<br>• ტუნგის პლანტაციების გაშენება; | **საფრთხეები**<br>• 1960 წლიდან - დღემდე ბაზრის მოცულობა პრაქტიკულად უცვლელია;<br>• იმპორტი და ექსპორტი პრაქტიკულად არ არსებობს; |

### 2.1.2.2. ბამბუკი

ბამბუკი სუბტროპიკულ რაიონებში ძვირფას მერქნიან მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის. ბამბუკის მკვრივი, მაგარი, ლამაზი და მსუბუქი მერქანი მრავალ დარგშია გამოსაყენებული. ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში და სხვა სუბტროპიკულ, ტროპიკულ ქვეყნებში ბამბუკის ღეროსგან მრავალ ნივთსა და ნაკეთობას ამზადებენ: ტალავერებს, ფანჩატურებს, კიბეებს, მსუბუქ ავეჯს; სკამებს, მაგიდებს, საწოლებს, სავარძლებს, პარკეტს. ბამბუკის ღერო დიდი რაოდენობით შეიცავს ცელულოზას, ჩინელები მისგან ამზადებენ მეტად ძვირფას ქაღალდს. ბამბუკის ტექნიკურად მწიფე 4 წლიანი ღერო სიმაგრით არაფრით არ ჩამოუვარდება ბზას, აკაციას, მუხას, წაბლს, წიფელს და სხვა. ბამბუკის კუთრი სიხისტე 1,7 ჯერ აღემატება მუხისას, ხეზე ნაკლებად აალებადია, უმნიშვნელო ტექნოლოგიური (არა ქიმიური) დამუშავების შემდეგ არ ეკარება ხოჭო, არ უჩნდება სოკო, თითქმის არ ლპება და არ ობდება. მართალია ბამბუკის ღერო ღრუა, მაგრამ მისი მუხლები და ღეროს შიგნით მოთავსებული დიაფრაგმები დიდ სიმტკიცეს აძლევს ღეროს. (წყარო: 1. ჩხაიძე გ.-სუბტროპიკული კულტურები, თბილისი 1996, ნაწილი 3, გვ.131. 2. დოღონაძე რ, კომახიძე ვ, ბერაია ი. - სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები თბილისი 1964, გვ 310.).

მეოცე საუკუნეში საქართველოში მრავალწლიან მერქნიან ტექნიკურ კულტურებს შორის ბამბუკს, დაკავებული ფართობებით და სახალხო სამეურნეო მნიშვნელობით საპატიო ადგილი ეკავა. მისი გავრცელების არეალი ნაკლებადაა შეზღუდული, ხოლო სამრეწველო კორომები შეიძლება გაშენდეს როგორც შავი ზღვისპირა ზოლში (კოლხეთის დაბლობი) ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, სადაც სხვა კულტურებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი ადგილებია.

ბამბუკის ახალგაზრდა ამონაყრებისგან, უმაღლესი ხარისხის ქაღალდს ამზადებენ, ხოლო მომწიფებული ღეროებიდან და სხვა ანარჩენებისგან იღებენ დაბალი ხარისხის ქაღალდს. ჩინეთში ბამბუკისგან ამზადებენ 90-მდე სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს. ჩვენს პირობებში 80-იან წლებში, ენგურის ქაღალდის კომბინატში ოქროსფერი ბამბუკის სახეობისგან მიღებულ იქნა უმაღლესი ხარისხის ქაღალდი.

ბამბუკს, როგორც მარადმწვანე და ლამაზ მცენარეს, დიდი გამოყენება აქვს დეკორაციულ მებაღეობაში; იგი თავისი მკვრივი და ხშირი ფესურებით, საუკეთესო საშუალებაა ფერდობების და ხრამების ეროზიული პროცესებისაგან დასაცავად.

ბამბუკის მოსავლის აღება გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე ხდება, მაშინ, როდესაც მეცხოველეობა განიცდის მწვანე საკვების დეფიციტს, ამ დროს კი ბამბუკის მისი ნედლი ღეროები და ფოთლები საუცხოო ყუათიანი საკვებია ცხოველებისათვის. ბამბუკისგან მზადდება მეტად ლამაზი, მსუბუქი და მოხდენილი ავეჯი. ჩვენთან არის ყოველგვარი შესაძლებლობა იმისა, რომ ბამბუკისგან დამზადდეს საუცხოო ავეჯი და იგი გავიტანოთ მსოფლიოს ბაზარზე.

რითაც აღნიშნულ მცენარეს შეუძლია გარკვეული წვლილის შეტანა ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების საქმეში.

საქართველოში ბამბუკის ძირითადი მწარმოებელი რაიონებია: ქობულეთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ლანჩხუთი და სხვა. სახეობების მიხედვით ბამბუკის ნარგაობათა აღწერის მიხედვით ბამბუკის ფორმები ძირითადად შედგება სამი სახეობისგან: „ჩინურ მადაკეს“ და „იაპონურ მადაკეს“ უჭირავს ფართობის 90,8%, ხოლო „მოსოს“ – 9,2%.

დღეისათვის ბამბუკის წარმოება ვერ აკმაყოფილებს მის ნედლეულზე გაზრდილ მოთხოვნილებას, ამიტომ მკვეთრად ისმის საკითხი, მისი ფართობების აღდგენისა და გაფართოების შესახებ. დასავლეთ საქართველოში საკმაოდ მოიძებნება აუთვისებელი, თავისუფალი ფართობები, რომლებიც უვარგისია ან ნაკლებად გამოდგება სხვა სუბტროპიკული კულტურებისათვის. ამიტომ საჭიროა ფერმერებმა გაითვალისწინონ ამ კულტურის ნედლეულზე და პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნილება და გააშენონ ბამბუკის კულტურა, რითაც გაიუმჯობესებენ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბამბუკს სწრაფ ზრდაში ვერ შეედრება ვერც ერთი მცენარე. ჩვენს პირობებში 20 მეტრამდე, ხოლო თავის სამშობლოში 40 მეტრამდე სიმაღლეს აღწევს. ცნობილია, რომ ზოგიერთი სახის ბამბუკი საათში 2,5-3,4, ხოლო დღეღამის განმავლობაში 38-81 სმ-ს იზრდება. ერთხელ გაშენებული ბამბუკის პლანტაცია 60-80 და მეტი წლის განმავლობაში იძლევა პროდუქციას და გაშენებიდან 5-6 წლის შემდეგ ყოველწლიურად 1 ჰა-ზე შეიძლება მოგვცეს 1500-5000 ცალამდე ღერო.

საქართველო საბჭოთა კავშირში ერთადერთი რესპუბლიკა იყო სადაც ბამბუკს სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა. 1960-1970 წლებში ამზადებდნენ 1 მილიონზე მეტ ბამბუკის ღეროს, თუმცა მოთხოვნილება მასზე გაცილებით მეტი იყო.

ბამბუკის საჰექტარო მოსავლიანობა დამოკიდებულია სახეობების თავისებურებაზე. კერძოდ; ღეროების რაოდენობა ყველაზე მეტია ჩინური მადაკესა (5600ცალი) და იაპონურ მადაკეს (5500ცალი) შემთხვევაში, ხოლო ღეროს სიგრძე 1 ჰა-ზე გაანგარიშებით ყველაზე მაღალია მწვანე-ცისფერისა (45100მ) და მოსოს (40500მ) შემთხვევაში. (წყარო; კილასონია გ. - ბამბუკის კულტურა. 1996, ქუთისი)

ბამბუკის ზრდის პერიოდი მოკლეა, ის 50-60 დღეში ამთავრებს სიმაღლეში ზრდას, ამ დროის განმავლობაში მცენარე თავის სამშობლოში 50-მდე იზრდება, ხოლო ჩვენთან 10-დან 24 მეტრამდე აღწევს. „მოსო ბამბუკი“ დღე-ღამეში 80-100 სმ-დე იზრდება. ჩინეთში ასეთი თქმულებაც არსებობს: „დილით ბამბუკის ახალ ამონაყარზე ჩამოკიდებულ ქუდს საღამოს პატრონი ვერ მისწვდაო“.

ვეგეტაციის მიხედვით, ბამბუკები ორ ჯგუფად იყოფა: შემოდგომის და გაზაფხულის ზრდის; შემოდგომის ზრდის ბამბუკები ზრდას იწყებენ შემოდგომაზე და ზამთარს მოუმზადებელი ხვდებიან, რის გამოც მათი ყინვაგამძლეობა დაბალია; მათი გავრცელება ტროპიკებში და სუბტროპიკული ზოლის ნაწილში შეიძლება, სადაც ყინვები არ იცის. გაზაფხულის ზრდის ბამბუკები კი ვეგეტაციას იწყებენ გაზაფხულზე, ზრდას 7-8 კვირაში

ამთავრებენ. მათი მიწისქვეშა ღეროს ზრდა და ახალი კვირტების წარმოქმნა შემოდგომაზე მიმდინარეობს, ზამთარში ნელდება ნივთიერებათა ცვლა, ასწრებენ მერქნის მომწიფებას და საკმაოდ გამოწრთობილი ხვდებიან ზამთარს, რისთვისაც მათი ყინვაგამძლეობა საკმაოდ მაღალია. გაზაფხულზე ენერგიულად იწყებენ კვირტები ზრდას და ახალი ღეროები (შოლტები) ინტენსიურად წარმოიქმნება. ბამბუკი სწრაფი ზრდით ხასიათდება, თუ მას შექმნილი აქვს ოპტიმალური პირობები. ის კარგად ვითარდება მაშინ, როდესაც საკმარისად აქვს ნიადაგი, ასევე ჰაერი და ტენი. ბამბუკი ნორმალურად იზრდება და ვითარდება, თუ ნიადაგის ტენიანობა 75-80%-ია, ხოლო ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 80-85%-მდეა. ის ვერ იტანს წყლის დაგუბებას, უჟანგბადო ფენას.

მსხვილღერიანი ბამბუკები: „მოსო“, „იაპონური მადაკე“ და „ჩინური მადაკე“, „მწვანე-ცისფერი ბამბუკი“ და სხვა უნდა დაირგოს 4×4 მ კვების არით, ხოლო წვრილღეროიანები: „ოქროსფერი“, „ხაჩიკუ“, „შავი ბამბუკი“ და „ქართული ბამბუკი“ - 3×3 მ კვების არით. ამგვარად, მსხვილღეროიანი ბამბუკების გაშენებისათვის 1ჰა-ზე საჭიროა 625, ხოლო წვრილღეროიანებისათვის 1111 ძირი ნერგები.

ფართობის დასარგავად მომზადების შემდეგ, იგი უნდა დაგეგმოს ვაკე და 10 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე კვადრატული ან ჭადრაკული წესით, ხოლო მეტი დაქანების ფერდობებზე ჰორიზონტალებისგასწვრივ, კონტურულად.

ბამბუკის ღეროების მაღალი მოსავლის მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლანტაციის კარგ მოვლას. სავაგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნიადაგი ბამბუკის რიგთაშორისებში უნდა იყოს შავად ხნულის მდგომარეობაში, დამუშავებას აწარმოებენ ზედაპირულად 4-5 სმ სიღრმეზე.

ფესურები განსაკუთრებით დიდ მოთხოვნას ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს უყენებს, კარგად ხარობს ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე. ფერდობების გამოყენებისას, უმჯობესია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის კალთები, ზღვის დონიდან 400-500 მ სიმაღლეზე. ისინი კარგად იზრდებიან წითელმიწა და ყვითელმიწა, ასევე სუსტ, საშუალო ეწერ და ალუვიურ ნიადაგებზეც.

ბამბუკის პლანტაციას ძლიერ აზიანებს ქარი, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც თოვლის საბურველი ადევს პლანტაციას. სწორედ ამიტომ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქარსაფარ ზოლებს.

ბამბუკის ღერო მომწიფებულად ითვლება სამი სავეგეტაციო პერიოდის შემდეგ. დაუმწიფებელი მერქნის აჭრა დაუშვებელია, რადგანაც ღეროს სიმტკიცე ვერ პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს. ღეროს აჭრის საუკეთესო დროა შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე. ბამბუკის ღეროები შეიძლება აიჭრას ბაღის ხერხით, ელექტრო ან შიგაწვის ძრავიანი ამძრავის მოტორიზებული ხერხით, ნიადაგის ზედაპირიდან 5 სმ სიმაღლეზე, სწორად. ღეროები ერთი კვირის მანძილზე უნდა დარჩეს ტოტებგაუცლელი, რათა ღეროებიდან ფოთლების საშუალებით ტენი თანაბრად აორთქლდეს და არ გამოიწვიოს ღეროების დეფორმაცია და დასკდომა. შემდეგ, ღეროებს ტოტებს აცლიან ღეროს

დაუზიანებლად და კრავენ, რათა გადაიტანონ მზის პირდაპირი მოხვედრისაგან დაცულ ფარდულებში, მათი მიწაზე დაწყობა დაუშვებელია.

გასუფთავებული ღერო გრძივ მეტრებში იყიდება. ახალმოჭრილ ღეროებს შეიძლება მიეცეს ნებისმიერი ფორმა, რისთვისაც სანამ მთლიანად გამოშრებოდეს, ბამბუკის ღეროს ახურებენ, ცხელ ორთქლში ატარებენ, ღეროს დიამეტრის მიხედვით ორთქლის მოქმედება 15 წუთიდან 1 საათამდე გრძელდება. ცხელ ღეროს აძლევენ სასურველ ფორმას და გაცივების შემდეგ ღერო ინარჩუნებს იმ ფორმას, რომელიც მას გაცხელებულ მდგომარეობაში მიეცა.. გარდა ამისა, გაცხელებისას ბამბუკის ღეროს ზეთისმაგვარი ნივთიერება სდის, რაც მას პრიალა ზედაპირს აძლევს. ასეთი წესით დამუშავებული ბამბუკის ღერო უფრო მაგარია და გამძლეა. გაცხელებული ბამბუკის ღეროებისაგან ამზადებენ სასურველ ინვენტარს, ავეჯს და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში ბამბუკის გამოყენება დაიწყეს ტექსტილის ინდუსტრიაში. ბოჭკოსაგან დამზადებული ანტიალერგიული ქსოვილები (მაისურები, წინდები) ძვირადღირებული და მოთხოვნადია აშშ-ში და ევროპაში. ასევე ბამბუკის მერქნისგან დამზადებული ფქვილი საუკეთესო კომპონენტია მეტალო-პლასტმასის ფილების წარმოებაში.

ბამბუკი ერთ-ერთი რენტაბელური კულტურაა, რომელსაც შესამჩნევად შეუძლია გაზარდოს სუბტროპიკული მეურნეობის ეკონომიკა და ხელი შეუწყოს მუშახელის თანაბარ გამოყენებას. ძირითადი სამუშაოები ბამბუკის კულტურის წარმოებისათვის გვიან შემოდგომით და ზამთრის პერიოდში ტარდება. ბამბუკი სხვა კულტურებთან შედარებით, შრომისა და მატერიალურ საშუალებათა უმნიშვნელო დანახარჯებს მოითხოვს.

ამ კულტურისადმი ინტერესი მაღალია არა მარტო აზიურ ქვეყნებში, არამედ ევროპასა და ამერიკაში (მითუმეტეს ხე-ტყის ჭრის აკრძალვის პირობებში). ამაზე მიანიშნებს მრავალი საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობა (International Network for Bamboo and Rattan – INBAR, European Bamboo Society, American Bamboo Socieries ets.) საქართველო მონოპოლისტია ბამბუკის მოყვანაში ყველა მოსაზღვრე ქვეყნებს შორის.

ბამბუკი იმით არის საინტერესო, რომ მას შეუძლია ხის მასალა ჩაანაცვლოს. ბამბუკისგან ისეთი რაღაც შეიძლება მიიღო, რასაც ხისგან ვერ მიიღებ. მაგალითად, მისგან შესაძლებელია გამძლე პარკეტი დაამზადო. საქართველოში უკვე დაიწყეს მცდელობა ბამბუკის ასაწყობი სახლების წარმოების, რაც ინოვაცია. საქართველოში წარმოებული ბამბუკის პროდუქცია გამოხარშული, თერმულად დამუშავებული და მისგან დამზადებული სკამები და ფანჩატურები თურქეთში გააქვთ.

| ცხრილი # 103 ბამბუკის ექსპორტი 2010-2012წწ | | | |
|---|---|---|---|
| წელი/ქვეყანა | უკრაინა | თურქეთი | სულ |
| 2010 | 56005 | 30343 | 86348 |
| 2011 | 53680 | - | 53680 |
| 2012 | 51650 | 9450 | 61100 |
| წყარო: აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა | | | |

ბოლო პერიოდში საქართველოდან ავეჯის საწარმოებლად გამოსაყენებელი ბამბუკის ექსპორტი 13%–ით გაიზარდა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს ქვეყნიდან საწნავად გამოსაყენებელი 174 ტონა ბამბუკის ექსპორტი განხორციელდა. 2013 წელს ამ მაჩვენებელმა 154 ტონა შეადგინა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ბამბუკის ექსპორტის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად შემცირებულია ფასი ბამბუკზე, რის შედეგადაც ღირებულებით მაჩვენებელში ბამბუკის ექსპორტი საანგარიშო პერიოდში 89 000 აშშ დოლარიდან 66 მლნ დოლარამდე დაეცა. ქართული ბამბუკის ძირითადი ექსპორტი უკრაინაში და თურქეთში ხორციელდება.

რაც შეეხება იმპორტს, „საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წელს საწნავად გამოსაყენებლი ბამბუკის იმპორტი 11–ჯერ არის გაზრდილი. 2014 წელს ქვეყანაში 10200 აშშ დოლარის 4,5 ტონა ბამბუკია იმპორტირებული, ძირითადი იმპორტიორი კი გერმანიაა, საიდანაც 8 100 აშშ დოლარის 3,4 ტონა პროდუქციაა შემოტანილი.

2013 წელს ქვეყანაში სულ 900 აშშ დოლარის საწნავად გამოსაყენებელი ბამბუკი შემოვიდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ბამბუკის იმპორტმა საქართველოში 24 300 აშშ დოლარი (24,4 ტონა) შეადგინა. წყარო https://bpn.ge/biznesi/13742-bambuki-saqarthvelos-erth-erthi-saeqsporto-potenciali.html?lang=ka-GE

ჩინეთი წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც მსოფლიოში ბამბუკის უდიდესი რესურსი აქვს. ზოგიერთ მათგანს „სამეფო ბამბუკსაც“ უწოდებენ. ჩინეთში უამრავი სახეობის ბამბუკი არსებობს, რომელთა წარმოების მოცულობით ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს. ჩინეთს ასევე აქვს სტატუსი, როგორც მსოფლიოში ბამბუკის პროდუქციის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორს. ჩინეთში წარმოებული ბამბუკის გაყიდვების მთლიანმა მოცულობამ 2015 წელს 192,3 მლრდ იუანი შეადგინა, რაც 4,2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. http://jako.fm/ka/chinuri-bambukis-gaqidvebma-1923-mlrd-iuani-sheadgina

| **ცხრილი # 104 საქართველოში ბამბუკის წარმოების, იმპორტის, ექსპორტის და მოთხოვნის შესახებ (ტონა)** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** |
|---|---|---|---|---|---|
| წარმოება საქართველო | | | | | |
| იმპორტი | 26.0 | - | 4.0 | 19.0 | - |
| ექსპორტი | 117.0 | 154.0 | 175.0 | 122.0 | 345.0 |
| მოთხოვნა | - 91.0 | - 154.0 | - 171.0 | - 103.0 | - 345.0 |
| წყარო: FAOSTAT და Comtrade | | | | | |

| ცხრილი # 105 ქართული ბამბუკის ექსპორტის მოცულობა ტონებსა და აშშ დოლარში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **წლები** | **2012** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** |
| **ათასი აშშ დოლარი** | 43 | 89 | 66 | 57 | 96 |
| **ტონა** | 117 | 154 | 175 | 122 | 345 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | |




| ცხრილი # 106 ქართული ბამბუკის ექსპორტი 2016 წელს | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქვეყანა** | **ათასი აშშ დოლარი** | **ტონა** | **ფასი/კგ ($)** | **%** |
| მსოფლიო | 96.0 | 345.0 | 0.3 | 100.0% |
| თურქეთი | 33.0 | 205.0 | 0.2 | 34.4% |
| ავსტრია | 16.0 | 21.0 | 0.8 | 16.7% |
| გერმანია | 14.0 | 20.0 | 0.7 | 14.6% |
| ბულგარეთი | 10.0 | 35.0 | 0.3 | 10.4% |
| ლიტვა | 9.0 | 18.0 | 0.5 | 9.4% |
| ბელარუსი | 7.0 | 18.0 | 0.4 | 7.3% |
| რუსეთის ფედერაცია | 5.0 | 20.0 | 0.3 | 5.2% |
| სომხეთი | 2.0 | 8.0 | 0.3 | 2.1% |
| წყარო: ITC Trademap | | | | |

| ცხრილი # 107 ბამბუკის იმპორტი საქართველოში 2015 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ქვეყანა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ფასი/კგ |
| მსოფლიო | 13.0 | 18.0 | 0.7 |
| ჩინეთი | 12.0 | 17.0 | 0.7 |
| პოლონეთი | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| წყარო: ITC Trademap | | | |

| ცხრილი # 108 მსოფლიო ბამბუკის წარმოება 2005 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ადგილი | ქვეყანა | ათასი ტონა | წილი (%) |
| | მსოფლიო | 1,338,478 | 100.00% |
| 1 | ჩინეთი | 1,230,967 | 91.97% |
| 2 | მიანმარი | 83,791 | 6.26% |
| 3 | ინდოეთი | 14,633 | 1.09% |
| 4 | ნიგერია | 7,320 | 0.55% |
| 5 | შრილანკა | 1,500 | 0.11% |
| | დანარჩენი ქვეყნები | 267 | 0.02% |
| წყარო: www.fao.org/3/a-a1243e.pdf | | | |

| ცხრილი # 109 ბამბუკის იმპორტიორთა სია | | | | |
|---|---|---|---|---|
| იმპორტიორები | სავაჭრო ინდიკატორი | | | |
| | **2015 წელს იმპორტირებულის ღირებულება (ათასი აშშ $)** | **2015 წელს იმპორტის რაოდენობა (ტონა)** | **კგ-ის ღირებულება აშშ $** | **მსოფლიო იმპორტის წილი (%)** |
| მსოფლიო | 136,579 | 198,311 | 0.7 | 100.00% |
| ინდოეთი | 29,116 | 25,216 | 1.2 | 21.32% |
| აშშ | 19,217 | 18,684 | 1.0 | 14.07% |
| ნიდერლანდები | 15,304 | 15,317 | 1.0 | 11.21% |
| ესპანეთი | 8,535 | 10,438 | 0.8 | 6.25% |
| იტალია | 7,205 | 10,547 | 0.7 | 5.28% |
| ჩინეთი (ჰონკონგი) | 5,866 | 31,200 | 0.2 | 4.29% |
| გაერთიანებული სამეფო | 5,640 | 5,274 | 1.1 | 4.13% |
| პოლონეთი | 5,233 | 8,023 | 0.7 | 3.83% |
| იაპონია | 5,047 | 7,472 | 0.7 | 3.70% |
| გერმანია | 4,105 | 4,042 | 1.0 | 3.01% |
| საფრანგეთი | 4,104 | 4,725 | 0.9 | 3.00% |
| სამხრეთ კორეა | 2,716 | 6,535 | 0.4 | 1.99% |
| პორტუგალია | 1,957 | 2,106 | 0.9 | 1.43% |
| ავსტრალია | 1,817 | 2,169 | 0.8 | 1.33% |
| კანადა | 1,476 | 1,435 | 1.0 | 1.08% |
| დანარჩენი ქვეყნები | 19,241 | 45,128 | 0.4 | 14.09% |
| წყარო: ITC Trademap | | | | |

| ცხრილი # 110 ბამბუკის ექსპორტიორების ათეული | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები | 2015 | | | 2016 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ |
| მსოფლიო | 143,401 | 104,715 | 0.7 | 153,619 | 101,955 | 0.7 |
| ჩინეთი | 108,073 | 72,816 | 0.7 | 114,829 | 69,872 | 0.6 |
| ვიეტნამი | 10,796 | 10,932 | 1.0 | 11,490 | 11,809 | 1.0 |
| ტაილანდი | 4,694 | 1,276 | 0.3 | 5,524 | 1,573 | 0.3 |
| პაკისტანი | 3,775 | 1,040 | 0.3 | 4,827 | 1,610 | 0.3 |
| ნიდერლანდები | 5,485 | 7,559 | 1.4 | 4,231 | 4,197 | 1.0 |
| ჩინეთი (ჰონკონგი) | 1,393 | 1,574 | 1.1 | 2,026 | 2,484 | 1.2 |
| ინდონეზია | 1,524 | 1,098 | 0.7 | 1,805 | 1,069 | 0.6 |
| ჩინეთი (ტაიპეი) | 1,044 | 681 | 0.7 | 1,571 | 948 | 0.6 |
| პორტუგალია | 348 | 355 | 1.0 | 1,120 | 886 | 0.8 |
| აშშ | 347 | 351 | 1.0 | 725 | 518 | 0.7 |
| წყარო: ITC Trademap | | | | | | |

| ცხრილი # 111 ბამბუკის SWOT ანალიზი | |
|---|---|
| **უპირატესობები**<br>• ინსტიტუციონალური მეხსიერება<br>• სანდო პოტენციური სავაჭრო პარტნიორების არსებობა;<br>• ხარისხიანი ნედლეული და კონკურენტუნარიანი ფასი;<br>• წარმოების გამოცდილება;<br>• წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი;<br>• გამოცდილება ექსპორტში; | **სისუსტეები**<br>• ბაზარზე მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა;<br>• ბაზარზე მუშაობის უნარების ნაკლებობა;<br>• შეზღუდული საწარმოო შესაძლებლობები;<br>• ენობრივი ბარიერები;<br>• სამუშაო კაპიტალის ნაკლებობა მსხვილი შეკვეთებისთვის; |
| **შესაძლებლობები**<br>• ახალ მსხვილ საექსპორტო ბაზარზე გასვლა;<br>• საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის პოტენციალი;<br>• პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალი;<br>• კონკურენტული ფასები; | **საფრთხეები**<br>• ძლიერი კონკურენცია ჩინეთის მხრიდან, ხარისხის და ფასების თვალსაზრისით;<br>• კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობა; |

### 2.1.2.3. აბრეშუმის პარკი

მეაბრეშუმეობის ინდუსტრია საქართველოში ჯერ-ჯერობით გაჩერებულია. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იყო მცდელობა მისი აღორძინების, თუმცა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გამო ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. კონკრეტულად, 2007 წელს ბოლნისში დამზადდა აბრეშუმის პარკი, თუმცა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების უკმარისობის გამო ვერ მოხერხდა ინდუსტრიის შემდგომი საფეხურების განვითარება. დღევანდელი მდგომარეობით, სს „საქაბრეშუმის“ ბალანსზე დარჩენილია გარკვეული რაოდენობის შენობა-ნაგებობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ასევე სასოფლო და არასასოფლო მიწის ნაკვეთები. სს „საქაბრეშუმი“ გაკოტრების პროცესშია და ამჟამად არ მიმდინარეობს არანაირი მცდელობა ან ინვესტიციის ჩადება მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის განახლებისთვის. (წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი. აბრეშუმის წარმოების შესაძლებლობების და ბაზრის კვლევა აგვისტო, 2015).

| ცხრილი # 112 ქართული აბრეშუმის პარკის ექსპორტის მოცულობა ტონებსა და აშშ დოლარში | | |
|---|---|---|
| **წლები** | **2015** | **2016** |
| **ათასი აშშ დოლარი** | 25.433 | 0.035 |
| **ტონა** | - | - |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | |

| ცხრილი # 113 ქართული აბრეშუმის პარკის ექსპორტი 2015 წელს | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეყანა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ფასი/კგ ($) | % |
| მსოფლიო | 25.4 | - | - | 100% |
| ირანი | 25.4 | - | - | 100% |
| წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | | | | |

| ცხრილი # 114 აბრეშუმის იმპორტი საქართველოში 2016 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ქვეყანა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ფასი/კგ |
| მსოფლიო | 33.546 | - | - |
| თურქეთი | 23.976 | - | - |
| საფრანგეთი | 4.444 | - | - |
| ჩინეთი | 3.522 | - | - |
| უზეკეთი | 0.63 | - | - |
| არაბეთის გაერთ. საემიროები | 0.577 | - | - |
| იტალია | 0.235 | - | - |
| ბელგია | 0.103 | - | - |
| ყაზახეთი | 0.043 | - | - |
| ნიდერლანდები | 0.016 | - | - |
| წყარო: ITC Trademap | | | |

| ცხრილი # 115 მსოფლიო აბრეშუმის წარმოება 2015 წელი | | | |
|---|---|---|---|
| ადგილი | ქვეყანა | ტონა | წილი (%) |
| | მსოფლიო | 202,073 | 100.00% |
| 1 | ჩინეთი | 170,000 | 84.13% |
| 2 | ინდოეთი | 28,523 | 14.12% |
| 3 | უზბეკეთი | 1,200 | 0.59% |
| 4 | ტაილანდი | 698 | 0.35% |
| 5 | ბრაზილია | 600 | 0.30% |
| 6 | ვიეტნამი | 450 | 0.22% |
| 7 | ჩრდილოეთ კორეა | 350 | 0.17% |
| | დანარჩენი ქვეყნები | 252 | 0.12% |
| წყარო: inserco.org/en/statistics | | | |




| ცხრილი # 116 აბრეშუმის იმპორტიორთა სია | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **იმპორტიორები** | **სავაჭრო ინდიკატორი** | | | | |
| | **2016 წელს იმპორტირებულის ღირებულება (ათასი აშშ $)** | **2016 წელს იმპორტის რაოდენობა (ტონა)** | **კგ-ის ღირებულება აშშ $** | **მსოფლიო იმპორტის წილი (%)** |
| მსოფლიო | 362,985 | 8,084 | 44.9 | 100.00% |
| ინდოეთი | 157,686 | 3,757 | 42.0 | 43.44% |
| რუმინეთი | 84,703 | 1,610 | 52.6 | 23.34% |
| იტალია | 39,238 | 710 | 55.3 | 10.81% |
| იაპონია | 20,766 | 395 | 52.5 | 5.72% |
| სამხრეთ კორეა | 15,736 | 310 | 50.8 | 4.34% |
| საფრანგეთი | 11,451 | 156 | 73.3 | 3.15% |
| მალაიზია | 10,271 | 223 | 46.1 | 2.83% |
| გერმანია | 4,675 | 104 | 45.0 | 1.29% |
| ტუნისი | 2,997 | 62 | 48.1 | 0.83% |
| პაკისტანი | 2,515 | 90 | 28.0 | 0.69% |
| პერუ | 2,222 | 55 | 40.2 | 0.61% |
| ბრაზილია | 1,919 | 37 | 51.9 | 0.53% |
| ბულგარეთი | 1,502 | 27 | 55.6 | 0.41% |
| ჩინეთი | 1,383 | 217 | 6.4 | 0.38% |
| თურქეთი | 1,014 | 26 | 38.3 | 0.28% |
| დანარჩენი ქვეყნები | 4,905 | 305 | 16.1 | 1.35% |
| წყარო: Comtrade | | | | |

| ცხრილი # 117 აბრეშუმის ექსპორტიორების ათეული | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტიორები | 2014 | | | 2015 | | | 2016 | | |
| | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ | ტონა | ათასი აშშ $ | კგ-ის ღირებულება აშშ $ |
| მსოფლიო | 8,061 | 382,706 | 47.5 | 8,773 | 371,385 | 42.3 | 8,259 | 358,859 | 43.5 |
| ჩინეთი | 6,359 | 340,166 | 53.5 | 6,695 | 318,445 | 47.6 | 6,927 | 315,678 | 45.6 |
| იტალია | 335 | 20,503 | 61.2 | 366 | 20,315 | 55.5 | 341 | 18,347 | 53.8 |
| მალაიზია | 53 | 433 | 8.2 | 103 | 4,704 | 45.7 | 274 | 11,978 | 43.7 |
| აშშ | 645 | 1,442 | 2.2 | 762 | 1,332 | 1.7 | 264 | 586 | 2.2 |
| არაბ. გაერთ. საემ. | 137 | 1,385 | 10.1 | 171 | 1,259 | 7.4 | 175 | 906 | 5.2 |
| რუმინეთი | 159 | 10,503 | 66.1 | 135 | 8,360 | 61.7 | 123 | 7,088 | 57.9 |
| გერმანია | 102 | 6,213 | 60.7 | 72 | 5,952 | 82.1 | 63 | 3,319 | 52.4 |
| უნგრეთი | 112 | 495 | 4.4 | 229 | 948 | 4.1 | 46 | 173 | 3.8 |
| გაერთ. სამეფო | 133 | 522 | 3.9 | 58 | 119 | 2.1 | 24 | 68 | 2.8 |
| ინდოეთი | 6 | 276 | 47.1 | 11 | 266 | 24.7 | 7 | 77 | 11.7 |
| წყარო: Comtrade | | | | | | | | | |

საქართველოში, მეაბრეშუმეობა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ქვეყნის განმტკიცების, მიწისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების გადიდების წყარო, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში და მუდმივი ზრუნვის საგანი. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამუშავება და ქსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა. მაღალხარისხოვანი ქართული აბრეშუმი დიდი პატივისცემით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზეც გადიოდა. საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა აბრეშუმის პარკი, გრენი, აბრეშუმის ხამი ძაფი, ქსოვილი და სხვა ნაწარმი.

სამწუხაროდ, დარგის აღმავლობის პერიოდში, გავრცელდა თუთის მიკოპლაზმური დაავადება - ფოთლის სიხუჭუჭე, რომელმაც 15 მილიონზე მეტი ჯიშიანი მცენარე გაანადგურა და სხვა სუბიექტურ მიზეზებთან ერთად დარგის საბოლოო დაცემა განაპირობა. მარტო სოფლის მეურნეობაში დაიკარგა 15-16 ათასი სამუშაო ადგილი, მილიონობით ფულადი შემოსავალი, გაძლიერდა მიგრაციული პროცესები და სხვა უარყოფითი მოვლენები, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო სოფლის მოსახლეობა.

მეაბრეშუმეობის ინდუსტრია საქართველოში ჯერ-ჯერობით გაჩერებულია. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იყო მცდელობა მისი აღორძინების, თუმცა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გამო ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. კონკრეტულად, 2007 წელს ბოლნისში დამზადდა აბრეშუმის პარკი, თუმცა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების უკმარისობის გამო ვერ მოხერხდა ინდუსტრიის შემდგომი საფეხურების განვითარება. დღევანდელი მდგომარეობით, სს „საქაბრეშუმის" ბალანსზე დარჩენილია გარკვეული რაოდენობის შენობა-ნაგებობები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ასევე სასოფლო და არასასოფლო მიწის ნაკვეთები. სს „საქაბრეშუმი" გაკოტრების პროცესშია და ამჟამად არ მიმდინარეობს არანაირი მცდელობა ან ინვესტიციის ჩადება მეაბრეშუმეობის ინდუსტრიის განახლებისთვის.

მიმდინარე ეტაპზე მცენარეულ ბოჭკოთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ბამბა, ხოლო ცხოველებისაგან მატყლი. ბოლო პერიოდში მსოფლიოში სერიოზული გავრცელება ჰპოვა ხელოვნური ბოჭკოსგან მიღებულმა პროდუქციამ. ხელოვნური ბოჭკოების წარმოების სიიაფე მისი ძირითადი უპირატესობაა, მაგრამ ამასთან, იგი არის მრავალი უარყოფითი ნიშნის მატარებელი, რომელთაგან უპირველესად ადამიანის ორგანიზმისათვის მავნეობა უნდა აღინიშნოს. მიუხედავად ამისა, მომდევნო პერიოდში ქიმიური ბოჭკოების წარმოება არნახული ტემპით გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეზღუდა ნატურალური აბრეშუმის ბოჭკოს წარმოება, მაგრამ ამ მომდევნო ეტაპზე განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა კაპრონისა და ნატურალური აბრეშუმის ძაფის სწორი შერევით წარმოებული პროდუქცია. ნატურალური აბრეშუმისა და ხელოვნური ბოჭკოების ნარევის გამოყენების დიდი საიმედოობა და ეკონომიკური ეფექტიანობა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მომავალში აბრეშუმის ბოჭკოს წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება, რაც თავისთავად მეაბრეშუმეობის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებას გულისხმობს, რაც სავსებით კანონზომიერია.

FAO-ს მონაცემებით მსოფლიოში ნატურალურ აბრეშუმზე მოთხოვნილების მატების ტენდენციაა, რაც ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება. ამჟამად მსოფლიო ბაზრის ფასი ხამ აბრეშუმზე განისაზღვრება არა წარმოებისა და მოთხოვნილების დონით, არამედ ჩინეთისა, როგორც მონოპოლისტი ქვეყნის ინტერესის დაპირისპირებით. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა მოთხოვნილება, ისეთ აბრეშუმზე, რომელიც ექვემდებარება ქსოვის ფაბრიკული წესით დამზადებას, რაც საქართველოსათვის მეტად ხელსაყრელია, რადგანაც აქ წარმოებული ხამი აბრეშუმის ძაფი მთლიანად საფაბრიკო გადამუშავებას ექვემდებარება.

მეაბრეშუმეობა, ფართო გაგებით, შედგება ოთხი ნაწილისაგან-მეთუთეობა, აბრეშუმის ჭიის კვება, საგრენაჟო წარმოება და პარკის პირველადი დამუშავება.

საგრენაჟო წარმოება (სასელექციო საქმიანობა) მეაბრეშუმეობის უაღრესად სათუთი უბანია, გამოირჩევა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით და დარგის სისტემაში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით. მეაბრეშუმეობაში ძირითადად დასაქმებული არიან ქალები, მოზარდები და შრომისუნარმოკლებული ადამიანები, რაც ხელს უწყობს შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გამოყენებას.

**თუთა**, მეაბრეშუმეობის განვითარების საფუძველთა საფუძველია. მისი უპირველესი დანიშნულებაა მეაბრეშუმეობის დარგის უზრუნველყოფა საკვები ბაზით, რომელიც განსაზღვრავს მის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მსოფლიო საზოგადოება, საუკუნეების მანძილზე იყენებდა თუთის სასარგებლო თვისებების შესაძლებლობებს და უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

თუთა არის ერთ-ერთი მთავარი რესურსი აბრეშუმის ჭიის მოშენების პროცესში. 1990 წლამდე, თუთის წარმოება იკავებდა 5000 ჰა. (3500 კულტურული პლანტაციები - დაახლოებით 8,000,000 ხე). თუმცა, დღესდღეობით ეს რიცხვი შემცირდა და მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით დარჩენილია 2-4 მილიონ თუთის მცენარემდე. საქართველო ჯერ კიდევ პასიურია ქვე-სექტორებისთვის ძირითადი ნედლეულის განვითარების მხრივ, მიზეზი კი ისაა რომ ეს სექტორი არ ოპერირებს და არავის აქვს ინტერესი გააკეთოს კაპიტალის ინვესტიცია მსგავს დარგებში, განსაკუთრებით კი მეურნეობის დონეზე. დღესდღეობით, ტერიტორიების დაახლოებით 90%-დან იწარმოება ძველი თუთის სანერგე, რომელიც არის შედარებით დაბალი პროდუქტიულობის მქონე, კერძოდ 8-10 ტონა/ჰა, რაც საკმარისია 1 ტონა აბრეშუმის პარკის საწარმოებლად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მეზობელ ქვეყანას გაცილებით მაღალი პროდუქტიულობა აქვს: ინტენსიური მეთოდით გაშენებული თუთის პლანტაციის 1 ჰა გამოიმუშავებს დაახლოებით 40-50 ტონა ფოთოლს, რომლისგანაც იწარმოება 3-5 ტონა აბრეშუმის პარკი. მაღალი პროდუქტიულობის ჯიშების (ჰიბრიდების) წარმოებაში დანერგვით შესაძლებელი იქნება მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობაში სოლიდური ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა, რაც დიდად წაადგება სოფლის მოსახლეობას.

თუთის კომერციული პლანტაციების რაოდენობა ქვეყანაში ამ ეტაპზე საკმაოდ მცირეა. 2010 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს დაახლოებით 500 ჰა კომერციული თუთის პლანტაცია რომელიც არ არის სათანადო მდგომარეობაში, თუმცა შესაძლებელია მისი აღდგენა. კომერციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დიდი მოსავლიანობის სახეობების არჩევა, რაც შეადგენს 25-30 ტონას ჰექტარზე. მიწის ნაკვეთები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაშია, ამჟამად ხელმისაწვდომია პრივატიზაციის პროგრამის ფარგლებში, მაგრამ მათი ფართობი მცირეა და ძირითად 10-დან 100 ჰექტარამდე მერყეობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნაკვეთები რომელთა ფართობიც 200-1000 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს შეზღუდული რაოდენობითაა.

**ჭიის გამოკვება** - ტრადიციულად (როგორც საქართველოში, ასევე აბრეშუმის მწარმოებელ ქვეყნებში), ჭიის გამოკვების პროცესში აქტიურად ჩართულია მოსახლეობა და ჭიის გამოკვება საკარმიდამო მეურნეობების ბაზაზე ხორციელდება. საკვები ბაზის გაშენება საკარმიდამო ან ოჯახის სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსებზე დაყრდნობით ხორციელდება. ეს ტრადიცია ძირითადად განპირობებულია აღნიშნული სამუშაოებით სეზონურობით, შედარებით მსუბუქი პროცესით და სოფელში მუშახელის შედარებით დაბალი ღირებულებით. ითვლება, რომ მსგავსი საქმიანობის შემთხვევაში ოჯახური მეურნეობები ხშირად იყენებენ მოუვლელ მიწებს, დაბალი ღირებულების მქონე მუშახელს, არ იყენებენ ქიმიურ სასუქს და ხარისხიან თუთის ფოთოლს აბრეშუმის პარკის გამოყვანისას, და, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ჭიის გამოკვებისათვის საჭირო ბაზის მოწყობა შემოსავლიან საქმიანობად ითვლება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის დარგში დაკავებულ ფერმერთა უმრავლესობა დაკავებულია ოჯახური მეურნეობით. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია პირველ რიგში ემსახურება საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მხოლოდ ჭარბი საქონლის არსებობის შემთხვევაში ხდება მისი ბაზარზე რეალიზაცია. შედარებით მცირე, თუმცა ფერმერების მზარდი რაოდენობა დაკავებულია გასაყიდი კულტურების (ზოსტნეული, ხილი, მარცვლეული კულტურა და ა.შ.) მოყვანითა და ასევე რძის პროდუქტების წარმოებით. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფერმერები დგანან არჩევანის წინაშე: უარი თქვან გასაყიდი კულტურების მოყვანაზე და სანაცვლოდ დაკავდნენ აბრეშუმის ჭიის მოშენებით. მსგავს სიტუაციაში რთულია არჩევანის გაკეთება რადგანაც პირველ რიგში საჭიროა აბრეშუმის ჭიის მოშენების ტექნოლოგიის შესწავლა და აბრეშუმის პარკის რეალიზაციის ეკონომიკური მომგებიანობის გაანალიზება.

არსებული მონაცემებით, მცირე ზომის ფერმის მიერ დაკავებული ტერიტორია ხშირ შემთხვევაში მერყეობს 0.5-დან 0.7 ჰა-მდე და არ აღემატება 1 ჰა-ს. საშუალო ზომის ფერმა კი, ძირითადად, 10 ჰა-ს ფარგლებშია. აქედან 0.3 ჰექტარზე გაშენებულია თუთის ხეები, განთავსებულია საჭიროებიდან გამომდინარე საშუალოდ 260 კვადრატული მეტრი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები სახლი და 800 მეტრი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები პანელი. აღნიშნული ინფრასტრუქტურა საჭიროებს გარკვეულ ინვესტიციებს ფერმერების მხრიდან. ამავდროულად (საბჭოთა პერიოდის დროს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით), საშუალო გლეხურ მეურნეობას შეუძლია

გამოკვებოს საშუალოდ 1 კოლოფი გრენა, რაც საბოლოო ჯამში იძლევა 50 – 60 კგ. ნედლ პარკს. ნედლი პარკის ჩაბარების ფასის ყველაზე ოპტიმისტური (10-12 აშშ დოლარი 1 კგ.) შეფასების გათვალისწინებით, პარკის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი (დანახარჯების, ინვესტიციების და ალტერნატიული დანიშნულებით რესურსების გამოუყენებლობის გათვალისწინების გარეშე) არ აღემატება 600-700 აშშ დოლარს სეზონზე (3-4 თვე). ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაურკვეველია ფერმერული და ოჯახური მეურნეობების მზაობა ჩაერთონ თუთის მცენარის მოყვანისა და აბრეშუმის ჭიის გაზრდის პროცესში. აღნიშნული საკითხი არ არის ბოლომდე ნათელი და საჭიროებს დამატებით კვლევას. დღესდღეობით, ფერმერები თავს იკავებენ თუთის მცენარეების გაშენებისაგან და აბრეშუმის ჭიის გაზრდისაგან, რადგანაც ხშირ შემთხვევებში არ არიან დარწმუნებულები, რომ აბრეშუმის პარკები შეგროვდება და შემოსავლიანობის დონე შესაბამისი იქნება. აღსანიშნავია, რომ მათი ჩართულობის გაზრდისათვის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნედლი პარკის გასაღების ბაზრის არსებობა. აღნიშნული ადგილობრივი ბაზარი დღესდღეობით არ არსებობს ან არსებობს მცირე მასშტაბით და ფრაგმენტულად. შესაბამისად, პირველ რიგში შესაქმნელია სტაბილური გასაღების ბაზარი და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც გაზრდის ოჯახური მეურნეობების მხრიდან ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვის ინტერესს. ჭიის გამოკვება აგრეთვე შესაძლებელია ინდუსტრიულ პირობებში. ამ შემთხვევაში, საშუალო ზომის გამოსაკვები საჭირო ინფრასტრუქტურა იკავებს 100 ჰა ფართობის ინტენსიურად გაშენებული თუთის პლანტაციას და უზრუნველყოფს 10,000 – 15,000 კგ. ნედლი პარკის წარმოებას წელიწადში. ინდუსტრიული გამოკვება საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაძენად, მაგრამ უზრუნველყოფს ხარისხისა და დანაკარგების მკაცრ კონტროლს, რაც დადებითად აისახება საბოლოო პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე საერთაშორისო ბაზარზე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ინდუსტრიული გამოკვება უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის სეზონურ დასაქმებას, არ საჭიროებს გამოსაკვები ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას ოჯახურ მეურნეობებისათვის და ანვითარებს/აღადგენს მეაბრეშუმეობის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შემდგომში, აბრეშუმის ნედლი პარკების სტაბილური გასაღების ბაზრის ჩამოყალიბების შედეგად, მოსალოდნელი იქნება მოსახლების ოჯახური მეურნეობების ბაზაზე გამოსაკვები ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებით დაინტერესება.

**გრენის შემოტანა** არ არის დაკავშირებული ტრანსპორტირების მნიშვნელოვან ხარჯებთან, მაგრამ მისი შემოტანა რეგულირდება და იმყოფება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. შესაბამისად, სახელმწიფოს ჩარევა შესაძლოა საჭირო გახდეს გრენის იმპორტირების პროცედურების გამარტივების თვალსაზრისით, ამავდროულად შემოტანილი ჯიშების ხარისხობრივი კონტროლის შენარჩუნებით. ამ კუთხით აღსანიშნავია ჩინეთი, საიდანაც განხორციელდება აბრეშუმის ჭიის გრენის იმპორტი. გრენის ფასები მერყეობს მომწოდებლის, ჯიშისა და მოწოდების პირობების მიხედვით. მომწოდებლების უმრავლესობა მაღალი ხარისხის გრენის ფასებს კვერცხის

რაოდენობის მიხედვით იძლევა, თუმცა შესაძლებელია გრენის შესყიდვაც. საბაზრო ფასი ერთ კილოგრამ გრენაზე მერყეობს 1000-დან 15,000 აშშ დოლარამდე.

საქართველოში ამჟამად არ ხორციელდება აბრეშუმის ძაფებისა და ქსოვილების წარმოება. შესაბამისად, ადგილობრივი ბაზრის საერთო წლიური თანხობრივი მოცულობა ამჟამად განისაზღვრება იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წელს ადგილობრივ ბაზარზე 66 ათასი აშშ დოლარის ღირებულების აბრეშუმის ნაწარმი შემოვიდა, მათ შორის აბრეშუმის ძაფი, ქსოვილები და მცირე ღირებულების აბრეშუმის პარკი. აღნიშნული მოცულობა საკმაოდ ცვალებადია ბოლო 3-4 წლის მანძილზე. ყველაზე დიდი ღირებულების პროდუქცია 2012 წელს შემოვიდა, ხოლო 2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდისათვის მხოლოდ მცირე ღირებულების აბრეშუმის ძაფის იმპორტი დაფიქსირდა.

**ხამი ძაფის წარმოება** - აბრეშუმის წარმოება აქტიურად მიმდინარეობს ისეთ ქვეყნებში (ჩინეთი, უზბეკეთი, ბრაზილია და სხვ.), სადაც მუშა ხელი წარმოადგენს იაფ რესურს. აქედან გამომდინარე საქართველოში აბრეშუმის აღორძინებისათვის მიზანშეწონილია მაღალი ხარისხის აბრეშუმის ხამი ძაფისა და ქსოვილი წარმოება, რომლის ერთ-ერთ წინაპირობად წარმოადგენს ნედლი პარკიდან ხამი ძაფის ამოხვევა. ხარისხიანი ნედლი პარკის უზრუნველყოფის ერთერთი წინაპირობაა გამართული პროცესის არსებობისათვის ტექნოლოგიური სტანდარტებისა და ხარისხის დაცვა. პროცესის შემადგენელი ძირითადი ეტაპები მოიცავს ნედლი პარკის ტრანსპორტირებას, დახარისხებას, შენახვის პროცესი, ძაფის ამოხვევა და მზა პროდუქციის სათანადოდ შენახვით მისი მომხმარებელთან მიწოდების ეტაპს. საბჭოთა პერიოდში, პარკის შეგროვება, პირველადი დამუშავება და ხამი ძაფის ამოხვევა ორგანიზებული იყო „საქაბრეშუმის" დაქვემდებარებაში მყოფი და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სადგურების დახმარებით. დღესდღეობით, აღნიშნული ინფრასტრუქტურა განადგურებულია. ხოლო, 22 არასასოფლო-სამეურნეო ობიექტი წარმოადგენს სს „საქაბრეშუმის" ქონებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით მიმდინარეობს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი. 36 მცირე და საშუალო ფერმერებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი ნედლი პარკის დამუშავებისა და ხამი ძაფის ამოხვევის პროცესის სათანადოდ ორგანიზებისათვის. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროდუქტის სტანდარტიზაციისა და ხარისხის შენარჩუნების თავლსაზრისით, არ არის მიზანშეწონილი ხამი ძაფის ამოხვევა კუსტარულ პირობებში. ოჯახურ მეურნეობებში ნედლი პარკის წარმოების შემთხვევაში, ხარისხის კონტროლი, ნედლი პარკის მიღების პროცესში, ასევე სათანადო ტრანსპორტირების, შენახვის და დამუშავების უზრუნველყოფა წარმოადგენს ღირებულებათა ჯაჭვის ამ რგოლის წარმატების ერთერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. აქვე აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტირების ხარჯებისა და ხარისხობრივი დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, საბჭოთა მოდელში გამოიყენებოდა ჩაბარების სადგურების გაშლილი ქსელი, რაც შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იყოს წარმოების ახალ მოდელშიც. ინდუსტრიული გამოკვების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის სათანადოდ დაგეგმვისა და

ფუნქციონირების პირობებში, არ არის საჭირო ნედლი პარკის გადაადგილება და მისი დამუშავება შესაძლებელია ადგილზე. ეს ეხება როგორც გაშრობის პროცესში, ასევე ნედლ მდგომარეობაში. ნედლი პარკის ამოხვევის შემთხვევაში (ნედლი პარკის შენახვის ვადაა 10 დღე მაცივრის გარეშე და 1 თვემდე მაცივრის პირობებში), მნიშვნელოვნად იზრდება როგორც პარკის აბრეშუმიანობის მაჩვენებლები, ასევე საბოლოო პროდუქტის - ხამი ძაფის - ხარისხობრივი თვისებები.

**გასაღების ბაზრები, ადგილობრივი ბაზარი** - მეაბრეშუმეობა საკმაოდ დიდი და ინტენსიური ინდუსტრიაა, რომელიც იწყება სოფლის მეურნეობიდან და მთავრდება მსუბუქი მრეწველობით. საქართველოში წარმოებული აბრეშუმის ხამი ძაფის პოტენციური მომხმარებლები არიან ქვეყანაში არსებული სამკერვალო ფაბრიკები, რომლებმაც შესაძლოა დაამზადონ ქსოვილები, ტანსაცმელი, აქსესუარები და აღნიშნული პროდუქცია მოხმარდეს ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული აბრეშუმის პროდუქციით, საიდანაც ძალიან მცირეა რეექსპორტის წილი. საქართველოში იმპორტირებული აბრეშუმის ტანსაცმელისა და აქსესუარების მხოლოდ მცირე ნაწილი გადის ექსპორტზე, ხოლო რაც შეეხება ქსოვილებსა და ძაფებს, ისინი მთლიანად ადგილობრივ მოთხოვნას ხმარდება. გარდა ამისა, საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობის სამკერვალო საწარმოებია, რომელთა მზა პროდუქციაზეც მზარდი მოთხოვნაა, რაც მიუთითებს მსუბუქი მრეწველობის განვითარების მაღალ პოტენციალს. ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნისა და პოტენციალის შესახებ ზუსტი მონაცემების დასადგენად საჭიროა ჩატარდეს დეტალური კვლევა, სადაც გამოიკვეთება ადგილობრივად წარმოებული აბრეშუმის ქსოვილების, ტანსაცმლისა თუ აქსესუარების გასაღების ბაზრის მოცულობა და საბაზრო წილი. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზარს, იგი საკმაოდ დიდია და ადგილობრივი ბაზრის ათვისების გარეშეც საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი გაიტანოს ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია საზღვარგარეთ.

**საერთაშორისო ბაზარი** - მსოფლიოს მასშტაბით აბრეშუმის ბაზარი საკმაოდ დიდია და განაგრძობს ზრდას. აბრეშუმის პარკისა და ძაფის წარმოების მხრივ იკვეთება რამდენიმე გიგანტი ქვეყანა, რომლებსაც მსოფლიო ბაზრის 80%-ზე მეტი უკავიათ, დანარჩენი ნაწილი კი გადანაწილებულია შედარებით მცირე ქვეყნებზე. აბრეშუმის საერთაშორისო ბაზარზე ძირითად სავაჭრო პროდუქტებს წარმოადგენს აბრეშუმის პარკი, ხამი ძაფი და ასევე აბრეშუმის პარკის ნარჩენები. ქვეყნები, რომლებსაც არა აქვთ განვითარებული აბრეშუმის ადგილობრივი წარმოება და აბრეშუმის ნაწარმის დეფიციტს განიცდიან, აქტიურად ახდენენ პროდუქციის იმპორტს აბრეშუმის მსხვილი მწარმოებლებისგან. ჩინეთი წარმოადგენს როგორც მსოფლიოს უმსხვილეს აბრეშუმის მწარმოებელს, ასევე უმნიშვნელოვანეს სავაჭრო რგოლსაც, რომელიც გამოირჩევა იმპორტისა და ექსპორტის დიდი მოცულობით. რაც შეეხება აბრეშუმის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციას, აბრეშუმის ნაწარმზე მსოფლიოს მოთხოვნა იზრდება ფასებისა და წარმოების ზრდის პარალელურად. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჯამურად ექსპორტირებული აბრეშუმის პარკისა და ძაფის რაოდენობა კლების ტენდენციით

ხასიათდება, რაც აღნიშნავს ადგილობრივი მოთხოვნის ზრდას მწარმოებელ ქვეყნებში.

აბრეშუმის ნაწარმი საქართველოში პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნული ნაწარმი შემოიფარგლება მხოლოდ აბრეშუმის ძაფით, ქსოვილებით ან უშუალოდ ტანსაცმლით. საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის გაჩერებასთან ერთად აღარ მიმდინარეობს მეაბრეშუმეობის ძირითად პროდუქტების, როგორიცაა აბრეშუმის ჭია, გრენა, და პარკი, წარმოება ან ამ პროდუქტებით ვაჭრობა. ადგილობრივი ბაზრის მოცულობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ საბოლოო პროდუქტების ანალიზით, როგორიცაა აბრეშუმის ძაფი, ქსოვილი ან ტანსაცმელი. აღნიშნული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია მოგვცემს ზოგად სურათს აბრეშუმის ნაწარმის მოთხოვნისა და საბაზრო პოტენციალის შესახებ. საქართველოში ამჟამად არ ხორციელდება აბრეშუმის ძაფებისა და ქსოვილების წარმოება. შესაბამისად, ადგილობრივი ბაზრის საერთო წლიური თანხობრივი მოცულობა ამჟამად განისაზღვრება იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წელს ადგილობრივ ბაზარზე 66 ათასი აშშ დოლარის ღირებულების აბრეშუმის ნაწარმი შემოვიდა, მათ შორის აბრეშუმის ძაფი, ქსოვილები და მცირე ღირებულების აბრეშუმის პარკი. აღნიშნული მოცულობა საკმაოდ ცვალებადია. ყველაზე დიდი ღირებულების პროდუქცია 2012 წელს შემოვიდა, ხოლო 2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდისათვის მხოლოდ მცირე ღირებულების აბრეშუმის ძაფის იმპორტი დაფიქსირდა.

ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა შემოიფარგლება მხოლოდ აბრეშუმის ძაფის, ქსოვილებისა და უშუალოდ ტანსაცმლისა და აქსესუარების საბაზრო მოთხოვნით. რაც შეეხება საერთაშორისო ბაზარს, აბრეშუმის ინდუსტრიის განვითარების დონე ქმნის მოთხოვნას ისეთ პროდუქტებზე როგორიცაა აბრეშუმის ჭია, გრენა და პარკი.

ადგილობრივ ბაზარზე გვხვდება აბრეშუმის იმპორტირებული ნაწარმი, როგორიცაა ქსოვილები, ძაფები, ტანსაცმელი. იმპორტირებული აბრეშუმის ქსოვილები 3 კატეგორიად იყოფა: აბრეშუმის სავარცხლური ანაჩეჩის ქსოვილები, აბრეშუმის ნატურალური ქსოვილები (აბრეშუმის 85% ან მეტი შემცველობით) და სხვა აბრეშუმის ნარევი ქსოვილები. ადგილობრივი მოთხოვნა აბრეშუმის ქსოვილების გარდა ფიქსირდება აბრეშუმის ტანსაცმელსა და აქსესუარებზე, რომელიც საკმაოდ მაღალია.

იმპორტი იზრდება და 2014 წელს შეადგინა 1343 ათასი აშშ დოლარი. საქართველოდან აბრეშუმის ქსოვილების რეექსპორტი არ ფიქსირდება. შესაბამისად, აღნიშნული აბრეშუმის ქსოვილები მოიხმარება ადგილობრივად. თუ იმპორტირებული აბრეშუმის ტანსაცმლისა და აქსესუარების მოცულობას ავიღებთ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დონედ, მაშინ ცხადია, რომ ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნის მესამედსაც კი. ადგილობრივ ბაზარზე აბრეშუმის ინდუსტრიის განვითარება შექმნის ახალ მოთხოვნას და გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს მსუბუქი მრეწველობის განვითარებას. ტექსტილის დარგში საქართველოს აქვს სავაჭრო ურთიერთობა ირანთან და არაბეთის

გაერთიანებულ ემირატებთან. ადგილობრივ ბაზარზე შემოსული აბრეშუმის ნაწარმი ძირითადად საქართველოში რჩება. ექსპორტზე გადის მხოლოდ აბრეშუმის ქსოვილებისაგან დამზადებული ტანსაცმლისა და აქსესუარების მცირე ნაწილი. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივ ბაზარზე რეალურად არსებობს მოთხოვნა აბრეშუმისგან დამზადებულ ტანსაცმელზე, რასაც ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოება.

სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის (CASE) მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე, საქართველოს საფეიქრო ინდუსტრიას აქვს განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების პირობების სრული გამოყენების შემთხვევაში. კერძოდ, პრეფერენციების გენერალური სისტემის (GSP) მიხედვით, საქართველოს ფაქტობრივად აუთვისებელი აქვს ტექსტილის სექტორისთვის არსებული ბენეფიტები. სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული შესაძლოა განპირობებული იყოს GSP სისტემის დაბალი ცნობადობით ქართველი ექსპორტიორებისა და იმპორტიორებს შორის. თუმცა, საწარმოო შესაძლებლობების გაზრდისა და მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისთვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა ან ძველის განახლება, რაც ხელს შეუწყობს ამ ინდუსტრიის ზრდასა და განვითარებას. კვლევების ცენტრმა ასევე დეტალურად გამოიკვლია საქართველოში არსებული 33 სექტორი, რომელთაგანაც 11-ს დასაწყისში ზრდადი ზღვრული სარგებლიანობა მოაქვს. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ტექსტილის ინდუსტრია იქედან გამომდინარე, რომ ეს სექტორი შედარებით დაბალგანვითარებულია. კვლევის თანახმად, ასევე ტექსტილის სექტორში დასაქმებულთა მთლიანი პროდუქტი ხასიათდება მაღალი ზრდით სხვა სექტორებთან შედარებით. მსუბუქი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები და მათ შორის აბრეშუმის ქსოვილებისა და სხვადასხვა მზა ნაწარმის განვითარების შესაძლებლობები საკმაოდ მაღალია იქედან გამომდინარე, რომ საქართველო აღნიშნული საქონლის ჭრილში სარგებლობს ნულოვანი სატარიფო ბარიერებით ევროპის 27 ქვეყანასთან და ასევე თურქეთთან.

სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის გარდა ადგილობრივი მსუბუქი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა შემდეგი უპირატესობები:

1. საქართველოში არსებული დიდი გამოცდილება მეაბრეშუმეობის დარგში;
2. ქვეყანაში არსებული სამკერვალო საწარმოების სიმრავლე, რომელთა უმეტესობაც არ მუშაობს სრული წარმადობით;
3. იმპორტირებული ტანსაცმლისა და ქსოვილების მზარდი მოცულობა.

აბრეშუმის ხამი ძაფისგან ქსოვილისა და სხვა მზა ნაწარმის დამზადებას ჭირდება სექტორის გაფართოვება არსებულ საწარმოებში. ამისათვის კი საჭიროა ჩატარდეს დეტალური კვლევა იმის გასარკვევად, შესაძლებელია თუ არა ადგილობრივად წარმოებული ხამი ძაფისგან დამზადდეს ქსოვილი და დადგინდეს თუ რა წარმადობით შეუძლია მუშაობა არსებულ საწარმოებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მსუბუქი მრეწველობის განვითარების გარეშე მთლიანი ბაზარი

და ზოგადად გასაღების არეალი მაინც საკმაოდ დიდია. საქართველოს შეუძლია საერთაშორისო ბაზარზე გაიტანოს აბრეშუმის ხამი ძაფი ან თუნდაც აბრეშუმის პარკი, რომელითაც აქტიური ვაჭრობა ხორციელდება საერთაშორისო ბაზარზე.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს მიერ წარმოებული აბრეშუმის ნაწარმი ძალიან მცირე წილს იკავებს აბრეშუმის მსოფლიო ბაზარზე, მისი გასაღების ბაზრის მოძიება არც თუ ისე რთულია როგორც ადგილობრივად, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. როგორც უკვე აღინიშნა, ადგილობრივი მოთხოვნა აბრეშუმის ნაწარმზე ძირითადად ქსოვილების და აბრეშუმის ტანსაცმელსა და აქსესუარებზე ფიქსირდება.

კავკასიის რეგიონში საქართველოს აქვს პოტენციალი დაიკავოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი. ამ მხრივ საქართველოს უპირატესობას წარმოადგენს მისი ტერიტორიული მდებარეობა და არსებობს აბრეშუმის პარკისა და ხამი ძაფის გატანის შესაძლებლობა აზერბაიჯანში, თურქეთსა და რუსეთში. სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს მონაცემებით, აბრეშუმის პარკის იმპორტი 2010-2012 წლებში კავკასიის რეგიონის მასშტაბით განახორციელა ირანმა და აზერბაიჯანმა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის აბრეშუმის პარკების იმპორტი მცირეა, საქართველოს წარმოების პოტენციალის მასშტაბის გათვალისწინებით იგი შესამლოა მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი გახდეს. 2010-2012 წლების საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს შეუძლია აბრეშუმის პარკის ექსპორტი 48 ტონის ფარგლებში იმის გათვალისწინებით, რომ მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა 2015 წლამდე რაც შეეხება კონკურენტებს, აზერბაიჯანის ბაზარზე ძირითადი კონკურენტი ყაზახეთია, ხოლო ირანის სავაჭრო პარტნიორები კი ავღანეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი და უზბეკეთი. მიუხედავად კონკურენტების სიმრავლისა, საქართველოს შეუძლია საკუთარი მცირე ნიშა დაიკავოს ბაზარზე .რაც შეეხება აბრეშუმის ხამი ძაფის იმპორტს კავკასიის რეგიონში, ამ მხრივ გასაღების ბაზარი გაცილებით დიდია. აბრეშუმის ხამი ძაფის იმპორტს ახორციელებს თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და ირანი, რომელთა ბოლო 3 წლის იმპორტის საშუალო ჯამური რაოდენობა 543 ტონას შეადგენს. ამ სექტორში საქართველოს შეუძლია დაიკავოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი. რაც შეეხება კონკურენტებს, ესენი არიან: უზბეკეთი, თურქმენეთი, ჩინეთი და ბრაზილია.

**ბიზნეს მოდელი** - საწარმოო-ტექნიკური პარამეტრები შემდეგნაირად ხასიათდება:

1. აბრეშუმის პარკის წარმოებისათვის, აბრეშუმის ჭიის მისაღებად ხორციელდება გრენის იმპორტი (იმპორტი განხორციელდება, ვიდრე საქართველოში არ ჩამოყალიბდება შესაბამის მოცულობის და სიმძლავრის სასელექციო სადგური ან/და გრენის მწარმოებელი ქარხანა);

2. 1 ჰექტარ მიწის ფართობზე ინტენსიურად გაშენებული თუთის ხეების პლანტაციიდან შესაძლებელია საშუალოდ 15 (12 – 18 ტონა) ტონა თუთის ფოთოლის წარმოება;

3. 1 კოლოფი გრენიდან (საშუალოდ 27 გრამი გრენა საიდანაც გამოდის 19 გრამი აბრეშუმის ჭია, რომელიც შეესაბამება საშუალოდ 40000-42000 ცალ ჭიას) მიღებული ჭიის გამოკვებას სჭირდება 1200 კილოგრამი (1,2 ტონა) თუთის ფოთოლი;

4. 1 კოლოფი გრენიდან მიღებული აბრეშუმის ჭიის გამოკვების მეშვეობით იწარმოება საშუალოდ 60 კგ ნედლი აბრეშუმის პარკი;

5. 1 კოლოფი გრენიდან მიღებული ჭიის გამოკვებისათვის საჭიროა 75 კვადრატული მეტრის თაროების ტიპის სივრცეზე, რომელიც განთავსებული შენობის ტიპის ფართობში, რომელშიც დაცულია შესაბამის ტემპერატურა და ტენიანობა;

6. აბრეშუმის ხამი ძაფის ამოხვევა განხორციელდება ნედლი პარკიდან

7. 1 კგ ხამი ძაფის წარმოებისათვის საჭიროა 5,3 კგ ნედლი აბრეშუმის პარკი (5 კგ ნედლი პარკის ამოხვევის მეშვეობით იწარმოება 1 კგ ხამი ძაფი, რომლის გაშრობისას წონა 5-7% მცირდება - 0.90 კგ საბოლოო ხამი ძაფის პროდუქცია);

8. 1 ჰექტარ მიწაზე გაშენდება 20 000 თუთის თესლნერგი (ჯამურად 2 000 000 ცალი), 50 %- ანი გახარების ალბათობის გათვალისწინებით. თუთის პლანტაციის განახლება უნდა განხორციელდეს ყოველ 10 წელიწადში.

9. თუთის პლანტაციის ინტენსიური გაშენება შეადგენს ორ წლიან პერიოდს. მისი ექსპლუატაცია გათვალისწინებულია მესამე წლიდან. პლანტაციის გაშენების განხორცილება გათვალისწინებულია ინტენსიური ინდუსტრიული გაშენების პრინციპით 1 მ X 1 მ ან 2 მ X 0.25 მ. (წყარო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი. აბრეშუმის წარმოების შესაძლებლობების და ბაზრის კვლევა აგვისტო, 2015)

**გაყიდვების პოტენციალი ევროპის ქვეყნებში** - ევროპა მნიშვნელოვანი სავაჭრო რგოლია აბრეშუმის იმპორტის მხრივ. მსოფლიოში აბრეშუმის პარკების იმპორტის 30% ევროპის ქვეყნებზე მოდის, 18% წილი უჭირავს აბრეშუმის ხამი ძაფის იმპორტს, ხოლო ამოსახვევად უვარგისი პარკების მხოლოდ 5-10% მოდის ევროპაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე მეტ იმპორტს რუმინეთი და ბულგარეთი ახორციელებენ, დასავლეთ ევროპაში გერმანია და საფრანგეთი, ჩრდილოეთში დიდი ბრიტანეთი, ხოლო სამხრეთში კი იტალია და ესპანეთი. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტიც, რომ ევროპის ქვეყნები ერთმანეთშიც ვაჭრობენ აბრეშუმის ძაფითა და პარკებით. ევროპის ქვეყნების ერთმანეთთან ვაჭრობის გამოკლებით, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ბაზრები არის მოცულობით ყველაზე დიდი, სადაც საშუალოდ წელიწადში ხორციელდებოდა 682 და 416 ტონა აბრეშუმის ხამი ძაფის იმპორტი შესაბამისად.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წლიდან 2012 წლამდე 24-დან 44 აშშ დოლარამდე გაიზარდა საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტირებული 1 კგ აბრეშუმის ხამი ძაფის ფასები, რაც დაახლოებით ჩინეთის ფასების დინამიკის პარალელურია. 2013 წელს ჩინეთის ფასები 60 აშშ დოლარსაც გასცდა, თუმცა 2015 წლის მაისისთვის 50 აშშ დოლარამდე დაიწია. აბრეშუმის პარკის საშუალო ფასი 2014 წლის ნოემბერში 16.03 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის მაისში კი 15.61 აშშ დოლარამდე შემცირდა.

| ცხრილი # 118 აბრეშუმის SWOT ანალიზი | |
|---|---|
| **უპირატესობები**<br>• ინსტიტუციონალური მეხსიერება;<br>• ნედლეულის კონკურენტუნარიანი ფასი;<br>• წარმოების ისტორიული გამოცდილება;<br>• ისტორიულად პროდუქციის მაღალი ხარისხი; | **სისუსტეები**<br>• ნაკლები აქტიურობა ბაზარზე;<br>• ბაზარზე მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა;<br>• ბაზარზე მუშაობის უნარების ნაკლებობა;<br>• ენობრივი ბარიერები;<br>• ექსპორტის მენეჯმენტში გამოცდილების ნაკლებობა;<br>• სამუშაო კაპიტალის ნაკლებობა მსხვილი შეკვეთებისთვის; |
| **შესაძლებლობები**<br>• ახალ მსხვილ საექსპორტო ბაზარზე გასვლა;<br>• საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის პოტენციალი;<br>• პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალი;<br>• მზარდი მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე; | **საფრთხეები**<br>• მცენარეების დაავადებები ნედლეულში;<br>• ძლიერი კონკურენცია; |

## 2.1.2.4. სამკურნალო მცენარეები

მცენარეებით ვაჭრობა წარმოადგენს შემოსავლის წყაროს მილიონობით ფერმერისთვის მთელ მსოფლიოში.

ამგვარად, არამერქნული ტყის პროდუქტების ჩამონათვალში სამკურნალო მცენარეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და სერიოზული საექსპორტო პოტენციალი აქვს - 2011 წელს სამკურნალო მცენარეების მსოფლიო ექსპორტის ღირებულებამ 2,2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

სამკურნალო მცენარეების მსოფლიო ბაზარმა მიაღწია 14 მლრდ დოლარს, აქედან 7 მლრდ დოლარს – ევროპაში, 2,7 მლრდ დოლარს – აზიაში, 2,4 მლრდ დოლარს – იაპონიაში, 1,6 მლრდ დოლარს – ჩრდილოეთ ამერიკაში და 0,3 მლრდ დოლარს – სხვა ქვეყნებში.

დღეისათვის სამკურნალო მცენარეულ ნედლეულს და პრეპარატებს მათ ბაზაზე უშვებს მსოფლიოს 300–ზე მეტი კომპანია. წამყვანი კომპანიებია გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, რომელთაგან ზოგიერთი ბაზარზეა 100–ზე მეტი წლის განმავლობაში („დრ.მუჩ“ – გერმანია, „ფარმატონ“ – შვეიცარია, „კვესტ“ – კანადა, „ასტა მედიკა“ –გერმანია, „მაკ“, „ნატერმან“, „ჰოიმანნ“ – გერმანია და სხვა).

**იმპორტ/ექსპორტი** - სამკურნალო და ეთერზეთოვანი მცენარეების მიმართ ინტერესი მზარდია, რაც განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ახალ შესაძლებლობებს აძლევს. არსებული მონაცემებით, სამკურნალო მცენარეების (HS 1211) მსოფლიო ექსპორტმა 2014 წელს 3,60 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (702,813 ტონა).

გაერო-ს სტატისტიკის თანახმად, სამკურნალო მცენარეების ექსპორტიორი ქვეყნების ტოპ ათეულში შედიან ჩინეთი, აშშ, გერმანია, კორეა, ინდოეთი და კანადა, ხოლო იმპორტიორი ქვეყნების ტოპ ათეულში არიან აშშ, გერმანია, ჩინეთი, კორეა და იაპონია.

**ევროკავშირის ბაზარი** - ევროკავშირი სამედიცინო და ფარმაცევტული პროდუქტების უმსხვილესი იმპორტიორი და ექსპორტიორია. ევროკავშირის ქვეყნებს შორის გერმანია სამკურნალო მცენარეების ყველაზე მსხვილი იმპორტიორია და ასევე, სამკურნალო საშუალებების ერთერთი მთავარი მსოფლიო მწარმოებელი და ექსპორტიორი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სამკურნალო მცენარეების იმპორტში ევროკავშირში 95% უკავია „მცენარეებს და მცენარეთა ნაწილებს, თესლებს და ხილს, რომელიც პარფიუმერიაში, მედიკამენტებში, ინსექტიციდური, ფუნგიციდური ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის, ახალი ან გამშრალი, დაჭრილი და დაუჭრელი, დაქუცმაცებული ან ფხვნილის სახით გამოიყენება (HS 121190)“, დანარჩენი 5% კი - ძირტკბილას (HS 121110) და ჯანჯაფილის ფესვებს (HS 121190). ჯანჯაფილის ფესვების მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები ევროკავშირში არიან ჩინეთი,

სამხრეთ კორეა და აშშ, ძირტკბილას ფესვების ექსპორტს ევროკავშირში კი, ძირითადად, თურქმენეთი, ჩინეთი და აზერბაიჯანი ახორციელებენ.

სამკურნალო მცენარეების ექსპორტს გერმანიაში საქართველოც ახორციელებს. სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ქალთა კოოპერატივები მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებში აგროვებენ სხვადასხვა მცენარეს, მათ შორისაა: კრაზანა, ფარსმანდუკი, ფურისულა სამკურნალო, შავი კუნელის ფოთლები, ზაზუაწვერა, დიდგულა, ტყის მაჟალო, ასკილი და სხვ.

წელს, გერმანიაში კოოპერატივების მიერ წარმოებული ფურისულა გაიგზავნა, ოქტომბრის ბოლოს კი - ფარსმანდუკი და კრაზანა. წლის ბოლომდე გერმანულ ბაზარზე დაახლოებით 2 ტონა გამშრალი მაჟალო და ასკილი გაიგზავნება. ასკილი საქართველოდან ექსპორტზე აშშ-სა და იაპონიაშიც გადის.

სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს ცნობით, ევროპაში ველურად მზარდი სამკურნალო მცენარეების მოსავლიანობა შემცირებულია და ამ კუთხით, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს.

(წყარო: სამკურნალო მცენარეების საექსპორტო პოტენციალი - http://eugeorgia.info/ka/article/672/samkurnalo-mcenareebis-saeqsporto-potenciali/).

გერმანიაში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 50% უპირატესობას ფიტოპრეპარატებს ანიჭებს, მხოლოდ 20% თვლის, რომ ქიმიური საშუალებები ხასიათდებიან უფრო გარანტირებული ეფექტურობით.

**ბელორუსიის ბაზარი** - სამკურნალო მემცენარეობა წარმოადგენს ბელორუსიის აგროსამრეწველო კომპლექსის მნიშვნელოვან დარგს. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წარმოების საერთო მოცულობამ 2014 წელს უნდა შეადგინოს 800 ტონა. სამკურნალო მცენარეების მოშენებას, კულტივირებას ეძღვნება არაერთი სამეცნიერო კვლევა. აღნიშნულ პრობლემატიკაზე ბელორუსიაში დაცულია 2 საკანდიდატო დისერტაცია, გამოქვეყნებულია 30 სამეცნიერო სტატია, დაცულია 20-მდე სადიპლომო ნაშრომი, გამოცემულია 3 საწარმოო რეკომენდაცია სამკურნალო მცენარეების კულტივირებაზე. (წყარო: Тарасенко С.А., Тарасенко Н.И. Лекарственное растениеводство – важнейшее направление деятельности республиканского АПК. Сборник научных статей по материалам международной научно-практической конференции. Гродно, 5-6 июня 2014 года. С. 3-6.).

ბელორუსიის რესპუბლიკის წლიური მოთხოვნა სამკურნალო და სანელებელ-არომატულ მცენარეულ ნედლეულზე კვებით და ფარმაცევტულ მრეწველობაში გამოყენების მიზნით შეადგენს 696,4 ტონას. ბელორუსიის ფარმაცევტული დაწესებულებები მოიხმარს 50-ზე მეტი დასახელების სამკურნალო მცენარეულ ნედლეულს.

ბელორუსიის რესპუბლიკაში სამკურნალო და სანელებელ-არომატული მცენარეების მიერ დაკავებული ფართობი შეადგენდა: 2011 წელს - 828,7ჰა, 2012 წელს - 937,4ჰა, 2013 წელს 849,1ჰა. პლანტაციების 27 ჰა ეკავა ბრესტის ოლქის მეურნეობებს, 100,6 ჰა - ვიტებსკის, 587,0ჰა - გროდნოს, 114,6ჰა - მინსკის, 20,0ჰა - მოგილევის. წამყვანი მეურნეობებია: КСУП совхоз „Большое Можейково“ - გროდნოს ოლქი

(49,3%), СПК „Лучники“ - მინსკის ოლქი (10,6%), КФХ „Арника горная“ გროდნოს ოლქი (7,7%), ООО „Калина“ - ვიტებსკის ოლქი (7,5%). (წყარო: Якимович Е.А. Научное обоснование возделывания лекарственных и пряно-ароматических культур в Белоруси. Сборник научных статей по материалам международной научно-практической конференции. Гродно, 5-6 июня 2014 года. С. 6-11.).

**რუსეთის ბაზარი** - რუსეთის სახელმწიფო რეესტრში 1998 წელს დარეგისტრირებული იყო 264 სამკურნალო მცენარეული ნედლეული, 38 ნაკრები და 439 მცენარეული წარმოშობის კომპლექსური პრეპარატი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი აქვს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის და მათ ბაზაზე მომზადებული პრეპარატების ზრდის ტენდენციებს, კერძოდ: 1995 წელს 886-დან, 1040 – 2001 წელს.

დღეისათვის რუსეთის ფედერაციაში არის ერთი ყველაზე მსხვილი სამრეწველო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ფიტოთერაპიულ პროდუქციას ОАО „Красногорсклексредства“. მასზე მოდის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის რეალიზაციის 35%, ასორტიმენტის სპექტრის 28%, დისტრიბუციის დონის 84%, პროდუქციის ასორტიმენტი შეადგენს 170 დასახელებას.

ОАО „Красногорсклексредства“-ის შეფასებით რუსეთის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ბაზარი 1999 წელს შეადგენდა 22 მლნ აშშ დოლარს. აქედან 18% მოდიოდა მოსკოვზე, 5% კი სანკტ-პეტერბურგზე.

რუსეთის ფარმაცევტული ბაზრის 0,5-1,5% უკავია სამკურნალო მცენარეულ ნედლეულს. დიდი მოთხოვნაა შემდეგ სამკურნალო მცენარეულ ნედლეულზე: გვირილა, სალბი, თირკმლის ჩაი, კატაბალახა და სხვა.

რუსეთის ფედერაციის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ბაზრის სიტუაციური ანალიზი წარმოებული გაერთიანება „Союзэфирлекраспром“-ს მიერ, აჩვენებს, რომ 1977 წელს ბაზარს მიეწოდა 59 დასახელების სამკურნალო მცენარეული ნედლეული დაახლოებით 15000 ტონის რაოდენობით. ამ მოცულობაში 40,2% მოდის კულტივირებულ ნედლეულზე. არასაწარმოო სამკურნალო მცენარეულ ნედლეულზე მოთხოვნა გაიზარდა 40000 ტონამდე 85 სახეობაზე. ბაზარზე წარმოდგენილია სამკურნალო მცენარეული ნედლეულის 150 მსხვილი და წვრილი საბითუმო შემსყიდველები. სამკურნალო მცენარეულ ნედლეულზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა ფასების ზრდა, ზოგიერთ პოზიციაზე ფასი აღემატება 35%-ით მსოფლიო ფასებს.

პროფესორ ე.ე. ლოსკუტოვის მიერ ჩატარებულ მარკეტინგულ კვლევებში აღნიშნულია, რომ რუსეთში სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ასორტიმენტი წარმოდგენილია 280 სახეობით (27% ბალახი, 20,5% ფესვები ფესურებით, 19% ნაყოფები და თესლები, 16% ფოთლები, 17,5% სხვა). რუსეთის საწარმოები უშვებენ 120–ზე მეტი დასახელების სამკურნალო მცენარეულ ნედლეულს, ანუ საბაზო ასორტიმენტის 44,4%–ს. უპირატესი მოთხოვნით ბაზარზე გამოირჩევა 57 დასახელების სამკურნალო მცენარეული ნედლეული, რომელთა შორის წამყვანი პოზიცია უჭირავს გვირილას ყვავილებს და სალბის ფოთლებს (18,45%).

რუსეთში სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მომხმარებელია მოსახლეობის 16–30%, რომელთა ასაკი 16 წელზე მეტია. აქტიური მომხმარებელია ქალები 25 წელს ზევით. სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მოხმარებაში 16–34 წლის ასაკის ქალებს მომხმარებელთა საერთო რაოდენობაში 28% უკავიათ.

